სახელმძღვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის

მასწავლებლის გზამკვლევი

მეორე საფეხური

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

მეორე საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლების 6-14 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის რეკომენდაციები.
სახელმძღვანელო შეიქმნა საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს.

100 წელი
*საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან*

ავტორი:
მაია მელიქიძე

რედაქტორი:
მაია ბოჯორიშვილი

მხატვარი:
მაკა ჭებირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი:
რეზო თხილიშვილი

ISBN 978-9941-8-0785-5

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

წინასიტყვაობა

საქართველოდან ემიგრაციაში წასული ჩვენი პატარა თანამემამულეების დიდი ნაწილი უკიდურესად დაბალი ენობრივი კომპეტენციების გამო ვერ ახერხებს, სრულფასოვნად ეზიაროს არა მხოლოდ მშობლიურ ლიტერატურას, არამედ მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და კულტურას.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც მშობლიური ენის სწავლებასთან ერთად — ქართული ენის კურსის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების ათვისებას გაერთიანებული სწავლების პრინციპით.

მეორე საფეხურის სახელმძღვანელოები (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის გზამკვლევი და კალიგრაფიის რვეული), რომლებიც შეიქმნა ქართული საკვირაო სკოლებისათვის, გამიზნულია სუსტი ან საშუალოზე დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოზარდებისათვის და ეყრდნობა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის **II მოდულის** მოთხოვნებს.

სარჩევი

შესავალი 6

სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები 7

მეორე საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები 8

სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება 9

მეთოდოლოგიური საკითხები:

1. მეორე საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები 14
2. პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები 14
3. ძირითადი რეკომენდაციები:
   - ❖ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება 18
   - ❖ ლინგვისტური კომპეტენციების განვითარება 26
   - ❖ პოსტერები, დიაგრამები და სქემები სწავლების პროცესში 29

ტიპური დავალებები და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 35

ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები 48

1. პირველი ნაწილი – ვისწავლოთ წერა-კითხვა 49
2. მეორე ნაწილი – ზოგადი განმარტებები 62
   - ➢ **პირველი თემა** – დედამიწა და გარესამყარო 63
   - ➢ **მეორე თემა** – წიგნების თარო 71
   - ➢ **მესამე თემა** – რაზე ფიქრობენ ჩვენი თანატოლები 76
   - ➢ **მეოთხე თემა** – სამშობლო 86
   - ➢ **მეხუთე თემა** – მოგზაურობის ციებ-ცხელება 96
   - ➢ **მეექვსე თემა** – ჯანსაღი ცხოვრების საიდუმლო 103
   - ➢ **მეშვიდე თემა** – დღიურები 108
   - ➢ **მერვე თემა** – ფანტაზიის გაკვეთილები 115

მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები 121

დანართი

1. პროექტები და სახალისო აქტივობები 127
2. დამატებითი რესურსები 133
3. ცალკეულ დავალებათა პასუხები 139

შესავალი

მეორე საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებ გარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების 6-14 წლის სუსტი ან საშუალოზე დაბალი ენობრივი კომპეტენციების მქონე მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელო შეესაბამება საქართველოს ფარგლებ გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის სპეციალურად შექმნილი ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის II საფეხურის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას ევროსაბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების მიერ დადგენილი ენის ფლობის A2 დონის დაძლევას (იხ. „უცხოური ენების ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები; შესწავლა, სწავლება, შეფასება“, უცხოური ენების დეპარტამენტი, სტრასბურგი, 2000 წ.).

სახელმძღვანელო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ / კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვიტარებასა და II საფეხურის მიზნების მიღწევას.

სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები

ქართული ენის სახელმძღვანელო აგებულია თანამედროვე დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით. სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა და ენობრივი ცოდნის ათვისებას. ის ითვალისწინებს როგორც რეცეფციული, ისე პროდუცირებაზე ორიენტირებული სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სათანადო ადგილი ეთმობა როგორც მოსმენასა და კითხვას, ისე ლაპარაკსა და წერას.

გრამატიკული მასალა ისწავლება ფუნქციურად, საკომუნიკაციო კონტექსტების გათვალისწინებით. მოსწავლეს საშუალება ეძლევა დააკვირდეს, გაიაზროს და ისე გამოიყენოს ესა თუ ის გრამატიკული ფორმულა ან კონსტრუქცია. გრამატიკული სტრუქტურები წარმოდგენილია მარტივად აღქმადი და ფუნქციურად დასაბუთებული ნაწილების სახით.

სახელმძღვანელოს აგებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ქართული და უცხო სოციო-კულტურული რეალიების ინტეგრაცია სასწავლო მასალის საკომუნიკაციო მიზნებთან.

მეორე საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება 3 კომპონენტისაგან:



მოსწავლის წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც საანბანო პერიოდის, ისე ანბანის შემდგომი პერიოდის სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივი / კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებას.

მოსწავლის წიგნს დანართის სახით ახლავს გრამატიკული გზამკვლევი და ზმნური ლექსიკონი.



მასწავლებლის გზამკვლევი, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რეკომენდაციები და მითითებები; დამატებითი რესურსები და ა.შ.



„დედანი“, რომელიც ემსახურება საანბანო პერიოდში კალიგრაფიული ჩვევების გამომუშავებასა და ქართული ასოების მოხაზულობის დაუფლებას.

კომპონენტების ზოგადი დახასიათება

1. მოსწავლის წიგნი

სტრუქტურა და შინაარსი

მოსწავლის წიგნი შედგება 3 ნაწილისაგან.

პირველი ნაწილი („ვისწავლოთ წერა-კითხვა“) მოიცავს საანბანო პერიოდს და, ძირითადად, წერა-კითხვის ათვისებას ეთმობა. თუმცა, წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად საანბანო პერიოდშივე პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განვითარებაზე.

მეორე ნაწილი მოიცავს 8 თემატურ ერთეულს, ესენია:

1. დედამიწა და გარესამყარო

2. წიგნების თარო

3. რაზე ფიქრობენ ჩვენი თანატოლები

4. სამშობლო

5. მოგზაურობის ციებ-ცხელება

6. ჯანსაღი ცხოვრების საიდუმლო

7. დღიურები

8. ფანტაზიის გაკვეთილები

თითოეულ თემას გამოკვეთილი შინაარსობრივი და ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნები გააჩნია. ტემა იხსნება დასურათებული ე.წ. თემატური სარჩევით, რომელიც ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, გაიგონ — რას შეისწავლიან ისინი მოცემულ თემატურ ერთეულში. იქვეა მოცემული თემის ძირითადი ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნებიც. სწორედ ამ ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება თემაში მოცემული კომუნიკაციური და ენობრივი სავარჯიშოები.

თემაში შემოტანილ ახალ ენობრივ მასალას, საჭიროებისამებრ, იქვე ახლავს სხვადასხვა თემაში შემოტანილ ახალ ენობრივ მასალას, საჭიროებისამებრ, იქვე ახლავს სხვადასხვა ტიპის ენობრივი თვალსაჩინოება — გრამატიკული ფორმულები და კონკრეტული ენობრივი კონსტრუქციები, რომელთა დანიშნულებაც არის საკომუნიკაციო სიტუაციებში მათი ფუნქციური გამოყენება; წარმოდგენილია ცალკეულ ზმნათა უღლების ნიმუშები; საორიენტაციო შეკითხვები და ა.შ.

ახალი ენობრივი მასალის უკეთ გასააზრებლად წიგნშივეა ჩადებული შესაბამისი სავარჯიშოები გარკვეული რაოდენობით, დამატებითი ვარჯიშისათვის კი მასწავლებლის წიგნში შეთავაზებულია რეკომენდაციები და, ცალკეულ შემთხვევებში, დამატებითი აქტივობები მოსწავლეებისათვის.

შეძენილი ენობრივი ცოდნის განსამტკიცებლად წიგნი ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩაბმას ზეპირ ინტერაქციაში, რაც გულისხმობს შესატყვისი საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნას, დიალოგების გათამაშებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებასა და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. შესაბამისად, წიგნში მოცემულია მთელი რიგი კომუნიკაციური სავარჯიშოები, რომელთა მიზანია სამეტყველო აქტების განხორციელება. ეს სავარჯიშოები მთლიანად არის აგებული იმ ლექსიკური და გრამატიკული ფორმებითა თუ ენობრივი კონსტრუქციებით, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

რაც შეეხება ტექსტურ მასალას, მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებთან ერთად სახელმძღვანელო მოიცავს სასწავლო მიზნებით შედგენილ (დიდაქტიზებულ) ტექსტებსაც, კერძოდ:

- **მხატვრული ლიტერატურიდან** – ენის გასატეხები და გამოცანები, საბავშვო ლექსები, ნაწყვეტები ადაპტირებული მოთხრობებიდან, ლეგენდები;
- **არამხატვრული ლიტერატურიდან** – ა) პრაგმატული ტექსტები — რეცეპტი, განცხადება, ინსტრუქცია, გზამკვლევი; ბ) კორესპონდენცია — პირადი წერილები; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები; ე) ბიოგრაფიული ტექსტები — ბიოგრაფია, პორტრეტები, დღიური, მოგონება;
- **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:** თემატური დიალოგები, თხრობითი და აღწერითი ტექსტები; კითხვარები, ტესტები.

მესამე ნაწილი – დანართი, სადაც მოცემულია გრამატიკული გზამკვლევი და ზმნური ლექსიკონი.

გრამატიკული გზამკვლევის ფუნქცია:
გზამკვლევში თავმოყრილია ის ძირითადი გრამატიკული საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ენის ფლობის მოცემულ დონეზე კომუნიკაციის ხელშესაწყობად. საკითხები წარმოდგენილია მარტივი და ადვილად აღსაქმელი სქემების, თვალსაჩინოებებისა და ცხრილების სახით, რაც ეხმარება მოსწავლეს ენის სტრუქტურის გააზრებაში.

ზმნური ლექსიკონის შედგენის პრინციპები:
ზმნურ ლექსიკონში ზმნები დალაგებულია არა მორფოლოგიური ტიპის, არამედ სინტაქსური ყალიბის მიხედვით (ამოვდივართ სუბიექტის ბრუნვიდან). ამგვარი პრინციპით დალაგებული ფორმებით მოსწავლეს გაუადვილდება სინტაქსური მოდელის სწორად აგება.

შესაბამისად, გამოყოფილია ზმნის ორი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც აქვთ:
1. სახელობითში მდგარი სუბიექტი (ვხატავ (მე — ბიჭი მას); ვდგავარ/ვდგები (მე — ბიჭი)
2. მიცემითში მდგარი სუბიექტი (მიყვარს (მე — ბიჭს ის).

ცალკეა გატანილი თავისებური ზმნები.

ლექსიკონში ზმნების დალაგებისას ჩვენთვის ამოსავალია ზმნის საწყისი, რომელსაც ახლავს ზმნისწინი (ზმნისწინის შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი ზმნისწინია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებში ამა თუ იმ ზმნასთან. განსხვავებული ზმნისწინების შემთხვევაში დაფიქსირებულია ყველა, მაგალითად, წასვლა/მოსვლა. საწყისები დალაგებულია ანბანის რიგზე).

თავად ზმნისწინის დართვა მოსწავლეს უიოლებს მყოფადის წრის მწკრივთა წარმოებას. ობიექტური პირები ჩასმულია ფრჩხილებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირები ზმნას შეიძლება შეეწყოს და შეიძლება — არა, შესაბამისად, ზმნა, შესაძლოა, იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. კონკრეტულ ფორმასთან ფრჩხილებში მოცემული ციფრი კი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენ პირს შეიწყობს კონკრეტულად ეს ზმნა.

ვინიანი ზმნები წარმოდგენილია მესამე პირის ფორმით (ფრჩხილებში მითითებულია მრავლობითი რიცხვიც), ხოლო მანიანი ზმნები — პირველი პირის ფორმებით.

<u>ვინიანი</u> ზმნები:

საწყისი	აწმყო (რას აკეთებს?) S O O ის (მას) (მას)	უწყვეტელი (რას აკეთებდა?) S O O ის (მას) (მას)	წყვეტილი (რა გააკეთა?) S O O ის (მას) (მას)	წყვეტილი (რა გააკეთა?) S O O ის (მას) (მას)
დაბანა გაკეთება ცხოვრება	იბანს (ენ) (2) აკეთებს (ენ) (2) ცხოვრობს (ენ) (1)	იბანდა (ნენ) (2) აკეთებდა (ნენ) (2) ცხოვრობდა)ნენ) (1)	დაიბანა (ეს) (2) გააკეთა (ეს) (2) იცხოვრა (ეს) (1)	დაიბანს (ენ) (2) გააკეთებს (ენ) (2) იცხოვრებს (ენ) (1)

<u>მანიანი</u> ზმნები:

საწყისი	აწმყო (რას აკეთებს?) S O მე (ის)	უწყვეტელი (რას აკეთებდა?) S O მე (ის)
მოწონება სიყვარული	მომწონს (მოგვწონს) (2) მიყვარს (გვიყვარს) (2)	მომწონდა (მოგვწონდა) (2) მიყვარდა (გვიყვარდა) (2)

თავისებური ზმნები:

საწყისი	აწმყო (რას აკეთებს?) S O ის (მას)	წყვეტილი (რა გააკეთა?) S O ის (მას)	მყოფადი (რას გააკეთებს?) S O ის (მას)
ყოფნა წასვლა ჯდომა	ვარ / არის (1) მივდივარ / მიდის (1) ვზივარ / ზის (1)	ვიყავი/ იყო (1) წავედი / წავიდა (1) ვიჯექი / იჯდა (1)	ვიქნები / იქნება (1) წავალ / წავა (1) ვიჯდები / იჯდება (1)

2. მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნის ფუნქციაა, კონკრეტული რჩევებით, რეკომენდაციებითა და ცალკეული თემის ფარგლებში არსებული მეთოდური კომენტარებით გაუადვილოს მასწავლებლებს მუშაობა დასახული მიზნებისა თუ დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

რჩევებისა და რეკომენდაციების გარდა, წიგნი ცალკეულ შემთხვევებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს აგრეთვე სწავლა/სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს ამა თუ იმ საკითხის მიწოდებისა თუ ათვისების გასაიოლებლად. დეტალურად არის აღწერილი ისეთი სავარჯიშოები თუ ენობრივი საკითხებიც, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს შეიცავს როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც. ასევე ცალკეული საჭიროებებისათვის, დამატებითი რესურსის სახით, მასწავლებლის წიგნში ჩადებულია მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების პროცესში, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინოებები სქემებისა და ცხრილების სახით და შედარებით რთული სავარჯიშოების პასუხები.
შესაბამისად, მასწავლებლის წიგნი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები და კონკრეტულად მეორე საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები;
- მეორე საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები და მათი ზოგადი დახასიათება;
- მეთოდოლოგიური საკითხები, სადაც მიმოხილულია ზოგადი პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები; ასევე მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ლინგვისტური კომპეტენციების დასაუფლებლად;
- პოსტერების, დიაგრამებისა და სქემების როლი და ფუნქცია სწავლების პროცესში;
- ტიპური დავალებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები;
- ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- დანართი, რომელიც მოიცავს დამატებით რესურსებს, მინიპროექტებსა და შედარებით რთულ დავალებათა პასუხებს.

მეთოდოლოგიური საკითხები

1. მეორე საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები

ქართული ენის სწავლება ამ ეტაპზეც, ძირითადად, კვლავ მეორე ენის სწავლების მეთოდიკას ეფუძნება, თუმცა გაზრდილია მოთხოვნები: სწორი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება (ბუნებრივი ენობრივი უნარების კორექცია და მათი შემდგომი განვითარება); ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება; შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში მარტივი ადაპტირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება/გააზრება და შექმნა; საქართველოს მრავალფეროვანი კულტურის შესახებ საბაზისო ცოდნის დაგროვება.

რაც შეეხება ამ ეტაპზე ენის სწავლების პრიორიტეტულ მიზნებს, ესენია:

- წერა-კითხვის დაწყება/ ათვისება; წერისა და კითხვის უნარების განვითარება;
- სწორი მეტყველების კულტურის განვითარება (ენობრივი კომპეტენციის განვითარება);
- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- სხვადასხვა ტიპის მარტივი ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგება-გააზრებისა და შექმნის უნარის გამომუშავება.

2. პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები

შევჩერდებით მხოლოდ იმ რამდენიმე მეთოდზე, რომელთა აქტიური გამოყენებაც საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განსაკუთრებით, მოცემულ ეტაპზე მისაღწევი შედეგების უზრუნველსაყოფად. ესენია:

<u>დემონსტრირების ხერხი</u>, ანუ თვალსაჩინოებების გამოყენება.

აქ საუბარია ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენაზე, რომელიც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია. ამ მეთოდის გამოყენებას მასწავლებლებს განსაკუთრებით ახალი ენობრივი (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) საკითხების სწავლებისას ვურჩევთ. ამ შემთხვევაში საუბარია დამატებით პოსტერებისა და სქემების შექმნა და გამოყენება, რომელთა კონკრეტული ნიმუშებიც იხ. გვ. 30-34

სასწავლო მასალისა და ინფორმაციის მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნება, ასაკი და მათი განსხვავებული უნარები და ცოდნის დონე.

ინფორმაცია აუცილებლად უნდა მივაწოდოთ სხვადასხვა არხით დ ეს იქნება ვიზუალური, სამეტყველო თუ ჟესტიკულაციური.
რაც შეიძლება აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა რესურსი, კერძოდ:

- ვიზუალური (თვალსაჩინოებები; თემატური პოსტერები, გრამატიკული ცხრილები თუ სქემები, დაფაზე ან „ფლირჩატებზე“ გაკეთებული ჩანაწერები, კომპიუტერული მასალა და ა.შ.).
- სმენითი — როგორც აუდიოჩანაწერების სახით, ისე მასწავლებლის მხრიდან.

კეთებით ანუ პრაქტიკით სწავლება.

კეთებით სწავლა ეხმარება მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს გულისხმობს როგორც როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ისე სხვადასხვა მინიპროექტების განხორციელებასაც; აგრეთვე სწავლებას ბარათებითა და ა.შ. კეთებით სწავლების დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- პირველ რიგში, აქტივობის შესრულებამდე, მოსწავლეებს ზუსტად უნდა მივაწოდოთ საჭირო ინსტრუქცია და დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს შესასრულებელი ამოცანის პირობა;
- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ როლურ თუ სიტუაციურ თამაშებს (მით უფრო, მინიპროექტების განხორციელებას) წინ უნდა უძღოდეს გავარჯიშების ფაზა. უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებს აქვთ სათანადო ენობრივი კომპეტენციები მათ შესასრულებლად.
- როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

ინტერაქტიული სწავლება.

კომუნიკაციურობის პრინციპი არსებითია ინტერაქტიული სწავლებისას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გავზარდოთ კომუნიკაციური სიტუაციების რიცხვი, რათა მოსწავლეს კომუნიკაციის მეტი საშუალება მივცეთ, რაც ხელს შეუწყობს ენის უფრო სწრაფად ათვისებაში.

რას იძლევა ასეთი სიტუაციები? დ მოსწავლე კონკრეტულ კონტექსტთან მიმართებაში ირჩევს მზა ფრაზებს (კლიშეებს, ფორმულებს) და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის საკმარისად ფლობს ენას. ეს ზრდის მის მოტივაციასაც და უზრუნველყოფს შედეგსაც. ასეთი სიტუაციები იძლევა გამეორებული გამონათქვამების ხშირი გამეორების საშუალებასაც, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

თანამშრომლობითი სწავლება.

ამ მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს მოსწავლეთა ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად. თანამშრომლობითი სწავლებისას უნდა გამოვიყენოთ როგორც წყვილური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმები.

წყვილებში შეგვიძლია წარვმართოთ დიალოგები, მინიინტერვიუები; მოსწავლეები დავაწყვილოთ კონკრეტული საკითხავი, წერილობითი თუ ენობრივი ამოცანების გადასაჭრელად.
სასურველია, მოსწავლეთა დაწყვილება შედარებით სუსტი მოსწავლის დახმარების მიზნითაც ხდებოდეს.
რაც შეეხება ჯგუფურ მუშაობას, მისი მიზანია, ჯგუფის ყველა წევრმა ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეფექტურობისთვის აუცილებელია, წინასწარ განვსაზღვროთ ჯგუფის კომპოზიცია და ისე შევადგინოთ დავალება, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული ამოცანა ჰქონდეს შესასრულებელი.

ჯგუფური მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- მოსწავლეთა დაჯგუფებისას ერთ ჯგუფში არ უნდა მოვახვედროთ მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. ასეთ შემთხვევაში, სუსტი ძალების მქონე მოსწავლეები კარგავენ ჯგუფური მუშაობის აზრსა და ინტერესს და, შესაბამისად, სწავლის მოტივაციასაც.
- ფუნქციების გადანაწილებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები.
- აუცილებელია, მუდმივად ვაკონტროლოთ ჯგუფის მუშაობა.

<u>დიფერენცირებული სწავლება და ინდივიდუალური მიდგომები.</u>

დიფერენცირება არის ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებაზე და მოითხოვს სასწავლო პროცესის მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებას. შესაბამისად, დიფერენცირების საგანს წარმოადგენს შინაარსი, რესურსები და პროცესი. სწავლების დიფერენცირებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სამი მნიშვნელოვანი საკითხი:

1. სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობა;
2. მოსწავლეთა ფსიქოემოციური მხარის, უნარებისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება;
3. მოსწავლეთა თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების გაზრდის ხელშეწყობა.

არის სიტუაციები, როდესაც მიზანშეწონილი არ არის ზოგიერთი მოსწავლის უშუალოდ ჩართვა ამა თუ იმ აქტივობაში, ან მათთვის შეკითხვების დასმა. ცოდნა იმისა, რა სიტუაციაში როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მასწავლებელმა, ეს თავად მან უნდა განსაზღვროს მოსწავლეთა დინამიკაში დაკვირვების საფუძველზე.

უფრო გამართლებულია, რომ უფრო ძლიერ მოსწავლეს ვთხოვოთ, გაუძღვეს კონკრეტულ აქტივობას, ხოლო შედარებით სუსტს დავაკისროთ მეორეხარისხოვანი როლი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ უკანასკნელის უფრო უმტკივნეულო ჩართვას სამუშაო პროცესში.

როდესაც ბავშვი, ზოგადად, ზედმეტადაა დამოკიდებული სხვა ბავშვების ქცევაზე, მუდმივად არის იმის მოლოდინი, რომ ის საკუთარი ინიციატივით ვერ იმოქმედებს, ან სწორად ვერ უპასუხებს, ან ვერ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას და ა.შ.

მოსწავლე მუდმივად უნდა ჩავაყენოთ აქტიურ მდგომარეობაში. ეს მისცემს მას აზროვნების, ნებისყოფისა და ყურადღების ერთგვარი კონცენტრაციის საშუალებას.
არსებობს საფრთხე იმისა, რომ მასწავლებელმა არასწორად შეაფასოს ბავშვის უნარი. რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ეს?

- ერთ შემთხვევაში, მოსწავლის მოჩვენებითმა წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს მასწავლებლის გადაჭარბებული შეფასება, რაც უბიძგებს მოსწავლეს, მუდმივად დარჩეს ვიღაცის ჩრდილქვეშ;
- მეორე შემთხვევაში, ეს შეიძლება მართლაც იყოს მოსწავლის წარმატება, მაგრამ ამ ბავშვის ბუნებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა არ ჩათვალოს ეს წარმატებად, რაც უთუოდ გამოიწვევს მოსწავლეში საკუთარი თავისადმი რწმენის უფრო დაკარგვას და შესაბამის პროტესტსაც.

ეს საფრთხეები განსაკუთრებით ჩნდება ჯგუფური მუშაობისას. ამიტომ მუდმივად უნდა ვაკონტროლოთ ამ ტიპის ბავშვების ჩართულობის ხარისხი და მათ ისეთი დავალებები მივცეთ, რომლებიც არ (ან ნაკლებად) ითხოვს მათი მხრიდან გაუაზრებელ დამოკიდებულებას პარტნიორზე ან დამხმარეზე. როგორც წესი, ამ ტიპის ბავშვების პრობლება არის ის, რომ მათ ან საერთოდ არ აქვთ, ან დაკარგული აქვთ საკუთარი თავისადმი რწმენა.

<u>მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები.</u>

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ:

- გამოვიჩინოთ ინტერესი მოსწავლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე;
- შეცდომის მიუხედავად, გავამხნევოთ და შევაქოთ მოსწავლე;
- არ დავატანოთ ძალა მოსწავლეს, ილაპარაკოს ქართულად, ვიდრე ამას თვითონ არ გააკეთებს;
- მთავარია, დავინახოთ მოსწავლის მცდელობა და მის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი.

<u>მოსწავლის სწავლების ენის ფაქტორი ენის სწავლების პროცესში.</u>

ქართული ენის სწავლებისას სწავლების ენის ჩართვა სასწავლო პროცესში კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ. მართალია, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ მისი გამოყენება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, პირიქით, აუცილებელიც არის სწავლების ენაზე წარვმართოთ გაკვეთილი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს:

1. მეტ სტიმულს აძლევს მოსწავლეებს სწავლების პროცესში;
2. ზრდის მათ მოტივაციას;
3. საშუალებას იძლევა, მოსწავლემ შეადაროს ეს ორი ენა ერთმანეთს; შექმნას კონკრეტული ქვესისტემები;
4. ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციული მიგნებების ძიებაში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ ენაში არსებობს ერთი და იმავე ბგერებისაგან შემდგარი სიტყვები (საუბარია, ძირითადად, საერთაშორისო და ნასესხებ ლექსიკაზე და ა.შ.);
5. სწავლების ენის ჩართვა მოსწავლეს უადვილდებს ასევე იმ ზეწოლის დაძლევას, რომელიც განპირობებულია „ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადასვლით“.

ბოლოს, მოკლედ გვინდა შევეხოთ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მასალის საათობრივი განაწილების საკითხს.
ზოგადად, სასწავლო პროცესის, ისე როგორც კონკრეტული აქტივობის, ხანგრძლივობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, როგორია:

- მასწავლებლის პროფესიული გამოცდილება;
- მოსწავლეთა მოტივაცია;
- მზაობა;
- სასწავლო პროცესში ჩართულობა;
- მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები და ა.შ.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც. აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით შეზღუდვა არ არსებობს მით უფრო, რომ საკვირაო სკოლებისათვის არ არსებობს განსაზღვრული საათობრივი ბადე.

3. ძირითადი რეკომენდაციები

❖ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება

საკომუნიკაციო უნარების განვითარების თვალსაზრისით, პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლის ალაპარაკება. მოსწავლე ამ ეტაპზე იწყებს ნასწავლი ენობრივი მარაგის შედარებით უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს. პირად ან სხვის გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობს მისთვის საინტერესო და სასურველ თემებზე / ნაცნობ პრობლემებზე. შესაბამისად, უფრო მრავალფეროვანი ხდება საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლე მონაწილეობს, როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი.

ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება:

სამეტყველო ქცევა გულისხმობს სამეტყველო აქტში მონაწილე პირების (მთქმელისა და მსმენელის) ქმედებას, რომელიც მოიცავს არა უბრალოდ ინფორმაციის გაცვლას (აღქმას, გაგებასა და გადაცემას), არამედ მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენასაც, რაც ვერბალურთან ერთად არავერბალური ენის საშუალებით მიიღწევა. შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესში ლაპარაკთან ერთად მნიშნელოვან როლს ასრულებს მოსმენაც. მთქმელი და მსმენელი თანაბრად მონაწილეობენ კომუნიკაციის რთულ პროცესში, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად ხორციელდება. ამ პროცესის წარმატება სხვადასხვა ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია სათანადო ენობრივი კომპეტენციების ფლობასა და აგრეთვე კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებაზე.

არსებობს სამეტყველო ქცევის (საუბარია ზეპირმეტყველებაზე) ზოგადი პარამეტრები, რომლებიც ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციებში თანაბრად მნიშვნელოვანია, ესენია:

- მკაფიოდ და გარკვევით საუბარი;
- აზრის ჩამოყალიბება გასაგებად და თანმიმდევრულად;
- ლოგიკური მახვილების / ინტონაციის დაცვა; ინტონაციის გამოყენება სასვენი ნიშნების ფუნქციით;
- არავერბალური ენის ადეკვატური გამოყენება;
- ეტიკეტის დაცვა.

სამეტყველო ქცევა ვლინდება კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციებში, ესენია:

- **მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში მონაწილეობა** *(მაგ., სიტუაციური/როლური თამაშები);*
- **მინიდიალოგების გათამაშება** *(მაგ., ინტერაქცია ნაცნობი ტექსტის/თემის გარშემო —კითხვის დასმა და პასუხის გაცემა);*
- **საუბარი კონკრეტულ ფაქტებზე** მარტივი გეგმის/ინსტრუქციის მიხედვით *(მაგ., ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, სასურველი ან საოცნებო მოგზაურობის შესახებ და ა.შ.);*
- **მასწავლებლის მარტივი ზეპირი ინსტრუქციების შესრულება;**
- **მინიინტერვიუს მოწყობა** მეწყვილესთან და მიღებული **ინფორმაციის** სხვებისთვის **გაზიარება**;
- მიზნობრივი **იმიტირებული სიტუაციების ორგანიზება** *(მაგ., ეტიკეტური მეტყველების შესაბამისი ენობრივი ფორმულების გამოსაყენებლად და ა.შ.);*
- **მინიდიალოგების გათამაშება** ერთსა და იმავე თემაზე/საკითხზე განსხვავებული სამეტყველო სიტუაციების შეთავაზებით;
- **ტექსტის როლური ინსცენირება;**
- **მინიპრეზენტაციების გამართვა** *(მაგ., პრეზენტაცია „ფოტოს მოყოლილი ამბავი“ — მოსწავლეები წარადგენენ საოჯახო ალბომიდან შერჩეულ ფოტოსურათს და ყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს);*
- **საუბარი/თხრობა სხვადასხვა მიზნით** *(მაგ., საყვარელი წიგნის, ფილმის, მულტფილმის შესახებ საუბარი მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებულ მარტივ საორიენტაციო შეკითხვებზე დაყრდნობით ან ცოცხალი ინტერაქციის გზით);*
- სასწავლო მასალასთან დაკავშირებულ **სახალისო ვიქტორინებში მონაწილეობა.**
- **მინიდისკუსიებში მონაწილეობა** — *(მაგ., მათთვის ნაცნობი მარტივი პრობლემების გარშემო; ინტერესების შესახებ და ა.შ.);*
- **კონკურსის მოწყობა** გამომსახველობით კითხვაში და სხვა.

მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციების განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით, კერძოდ: ა) როგორც სასწავლო აქტივობა კონკრეტული საკითხის გასააქტიურებლად (მაგ., სამეტყველო ეტიკეტზე მუშაობისას; ვერბალური მასალის აღქმის, გაგებისა და გააზრებისათვის; სხვადასხვა მოდალობის მქონე წინადადებებზე სამუშაოდ; შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად და ა.შ.); ბ) სწავლების პროცესში მოსწავლეთა განსატვირთად (თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტუაციები შეესაბამებოდეს კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს და მათი მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდეს ასევე საკომუნიკაციო ქცევის ზოგად პარამეტრებზეც).

საკომუნიკაციო სიტუაციების მოსამზადებლად და განსახორციელებლად გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

1. ნებისმიერი სიტუაციის მომზადებისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ საკომუნიკაციო ამოცანები (რა არის მისი მიზანი), მოზარდების ინტერესთა სფერო და მათი ასაკობრივი თავისებურებები;
2. კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა დარწმუნდეთ, კარგად გაიაზრეს თუ არა მოსწავლეებმა საკომუნიკაციო სიტუაციები, კერძოდ:

    - ვინ წარმართავს დიალოგს ან საუბარს;
    - ვინ არის მისი თანამონაწილე დიალოგში; ვის ესაუბრება, ვის მიმართავს, ანუ, ვინ არის მსმენელი;
    - რა არის კომუნიკაციის მიზანი (ანუ, რის შესახებ იმართება დიალოგი, ან რას ეხება საუბარი, მაგ.: გაცნობას, მოკითხვას, დაპატიჟებას, ახსნა-განმარტებასა და სხვა).

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს მათ სამეტყველო ქცევას — სწორად შეარჩიონ და გამოიყენონ ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიები; შესაბამისი ენობრივი რესურსი (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები, სამეტყველო ეტიკეტის ნორმები და ა.შ.); მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებები (ინტონაცია, ჟესტები, მიმიკა და ა.შ.).

3. საკომუნიკაციო თემების შერჩევისას მოსწავლის ინტერესებისა და მისი ასაკობრივი თავისებურებების გარდა, გასათვალისწინებელია აგრეთვე სასწავლო მიზანი და კონკრეტული ჯგუფის მიღწევათა დონის მოთხოვნები.

<u>წერა-კითხვის უნარის დაუფლება:</u>

წერა-კითხვის უნარის დაუფლება, პირველ რიგში, გულისხმობს:

- ➢ ანბანური პრინციპის ცოდნას (წერილობითი კოდის გაშიფვრას — ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, ასოთა ცოდნას);
- ➢ მთლიანი სიტყვების ცნობას (სიტყვის ორთოგრაფიული ხატის „ამოკითხვას“);
- ➢ გამართულ/გაწაფულ კითხვას;
- ➢ წერის მოტორიკის დაუფლებას (ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას);
- ➢ სიტყვების / წინადადებების / ტექსტების წერას.

წერა-კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია ანბანის ცოდნა, რომელიც გულისხმობს ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, წერილობითი კოდის გაშიფრვას — ასოს ბგერად ქცევასა და, პირიქით, ბგერის ასოდ გარდაქმნას.

წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).

მართალია, ანბანზე მუშაობას ეინ უძღვის ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება, თუმცა კითხვის სწავლის დაწყების შემდეგაც ეს ორი კომპონენტი პარალელურად ვითარდება.

ფონოლოგიური უნარი, რომელიც ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლასა და მათ გამთლიანებას გულისხმობს, ხელს უწყობს კითხვის დაუფლებას. ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონემური ცნობიერება, მარტივად ეუფლებიან კითხვას.

წერა-კითხვის სწავლება პარალელური პროცესია, რომელიც მოიცავს 3 ეტაპს: წინასაანბანო, საანბანო და ანბანის შემდგომ პერიოდებს. წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათალისწინებით, შესაძლებებლია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).
წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე ინტენსიური მუშობა საანბანო პერიოდში მიმდინარეობს. ეს არის:

- ოპერირება ასოებით, მარცვლებითა და სიტყვებით;
- ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერება;
- სიტყვებისა და მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა;
- ასოების გამოყვანა;
- სიტყვების გამოწერა/გადაწერა და სხვა.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კითხვის უნარის გაუმჯობესებაა, ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი დავალებები შესთავაზოს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის წაკითხვაც მოუწევთ და წერაც.

<u>საანბანო პერიოდის პრიორიტეტები კითხვასა და წერაში:</u>

კითხვა	წერა
ასო-ბგერითი მიმართებები: ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან.	ნატიფი მოტორიკა: ასოების ნაწილების გააზრება (რკალი, რგოლი, სწორი ხაზი და ა.შ.) და მათი გამოსახვა.
სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა, ასოების გამონაწევრება (რაც გულისხმობს სიტყვის ასოებად დაშლის, ანუ ანალიზისა და ასოების სიტყვებად გამთლიანების, ანუ სინთეზის უნარს).	ბადიანი რვეულის სივრცითი მიმართებების ბადიან რვეულში ორიენტირება და სივრცითი მიმართებების გააზრება – შუა/ზედა/ქვედა.
სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა: ეს არის ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნა / კონვერტირება.	ასოების წერა: ასოთა გამოყვანა ოთხხაზოვან და ორხაზოვან სისტემებში, ცალხაზიან სისტემაზე გადასვლა.

კითხვის მოქნილობა: ნაწერი / ნაბეჭდი სიტყვების ავტომატური დეკოდირების უნარი.	სიტყვების, წინადადებების, მიკროტექსტების წერა: სიტყვების გადაწერა/ჩაწერა ინსტრუქციის მიხედვით, მაგ., მითითებულ ასოზე დაწყებული სიტყვები, ოთხასოიანი სიტყვები, თემატური სიტყვები და ა.შ. წინადადებების გადაწერა; კარნახით / დამოუკიდებლად წერა და ა.შ.

კითხვის სწავლება: სახელმძღვანელოში საანბანე პერიოდში კითხვა მინიმალიზირებულია და ის მოიცავს მხოლოდ წიგნში მოცემული სიტყვების, მარტივი წინადადებების, მინირეპლიკებისა და მიკროტესტების წაკითხვას.

კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსწავლის ასაკობრივი უნარები და შესაძლებლობები.
იმ მოსწავლეებს, რომელთაც უკვე ათვისებული აქვთ კითხვის უნარები სწავლების ენაზე, უკვე თავისუფლად არის შესაძლებელი მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მაინც გარკვეული დოზით უნდა მოხდეს.

აქვე შევნიშნავთ, რომ სწავლების საწყის ეტაპზე მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე ანუ დეკოდირებაზე სათანადო მუშობის წარმართვა (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბფერებსა და ბგერათშეთანხმებებს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, ფონეტიკის სწავლების ნაწილში). შესაძლებელია დამატებით გარკვეული ფონოლოგიური სავარჯიშოების შეთავაზებაც იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ექმნებათ პრობლემები კითხვაში.

ცალ-ცალკე წარმოვადგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით:

6-9 წლის მოზარდები	მათთვის სისტემური კურსის შეთავაზება პრიორიტეტული არ არის. გარდა ამისა, კითხვის სწავლება ამ ეტაპზე თავისებური მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს. პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს განუვითარდეს ფონემური ცნობიერება (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). რაც შეეხება წაკითხულის გაგებას, მათ მოეთხოვებათ ისეთი მარტივი საკითხავი ამოცანების გადაჭრა, როგორებიცაა: დასმული შეკითხვის პასუხის, ნახატის შესატყვისი წინადადების პოვნა ტექსტში; მთლიანი ტექსტის (დიალოგის, აბზაცის...) ან ცალკეული ინფორმაციის დაკავშირება სურათთან; ტექსტში მოძიებული ინფორმაციით მარტივი სქემებისა და ცხრილების შევსება; შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; არეული რეპლიკების თანამიმდევრობით დალაგება; სავარაუდო ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ვარიანტის შემოხაზვა, მონიშვნა, მითითება; ტექსტის მიხედვით სურათების დანომრვა; მოცემული კულტურული თვალსაჩინოებების მითითება / დასახელება (ილუსტრაციებზე ასახული ზღაპრის გმირები, ტანსაცმელი, ნუგბარი — ჩურჩხელა, გოზინაყი და სხვა); კონკრეტული კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნა და დასახელება (დღესასწაულები, საკუთარი სახელები, ბგერები, ზღაპრების პერსონაჟები...) და ა.შ;
10-14 წლის მოზარდები	მათი ასაკობრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით (მით უფრო, რომ სწავლების ენაზე ისინი უკვე ფლობენ წერა-კითხვისათვის აუცილებელ უნარებსაც), შეუძლიათ უფრო სწრაფი ტემპებით დაძლიონ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება. თუმცა, სწავლების საწყის ეტაპზე კარგი იქნება, თუკი საკმარისი დრო დაეთმობა წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე სათანადო მუშაობის წარმართვასაც (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებს). მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეები ავარჯიშოს როგორც უცნობი სიტყვებისა და წინადადებების დეკოდირებაზე, ასევე შესთავაზოს მათ უცნობი მიკროტექსტების დეკოდირებაც. რაც შეეხება წაკითხულის გაგებას, ამ ასაკობრივ ჯგუფს ენის ფლობის I დონეზე მოეთხოვება: მარტივი საკითხავი ამოცანების შესასრულებლად ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; დასმული შეკითხვების პასუხების, ნახატის შესატყვისი წინადადების, ერთი სემანტიკური ველის სიტყვების ტექსტში პოვნა; შემოწმება, სწორია თუ არა ესა თუ ის მოცემული ინფორმაცია; ტექსტიდან სხვადასხვა ინფორმაციის ამოკრება (მაგ., რეცეპტიდან — ინგრედიენტების, მოქმედებების; ანკეტიდან საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის და ა.შ.); ცხრილის შევსება მსგავსი ტიპის ტექსტების მონაცემებით (მაგ., სხვადასხვა ანკეტიდან, განცხადებებიდან, ღია ბარათებიდან, პირადი წერილებიდან და ა.შ.); ილუსტრაციებზე / ტექსტებში ასახულ სიმბოლურ, სოციოკულტურულ, საყოფაცხოვრებო რეალიებზე მითითება / დასახელება (მაგ. ჯვარი, ჩურჩხელა, მეჩეთი, ხალხური საკრავი, ტანსაცმელი და სხვა); სოციოკულტურული ნიშნით მსგავსება-განსხვავებების ჩვენება (მაგ., დღესასწაულები, პერსონაჟები, დროშა, ნუგბარი, საკუთარი სახელები) და ა.შ.

ხმამაღალი და ჩუმი კითხვა: აუცილებელია, რომ მასწავლებელმა იმუშაოს როგორც ხმამაღალ კითხვაზე, ისე ჩუმ კითხვაზეც. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ხმამაღლა უკვე მოსმენილი და ზეპირმეტყველებში დამუშავებული ტექსტები შევთავაზოთ. ტექსტის ხმამაღლა კითხვა არის სწავლების მეთოდი, რომელიც ხორციელდება გამართული, გაწაფული კითხვის ხელშესაწყობად. ხმამაღალი კითხვის შემოწმების ზოგადი კრიტერიუმებია:

- კითხულობს უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- სიტყვებს გამოთქვამს მკაფიოდ და გარკვევით;
- კითხულობს გამომსახველობით — ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ხმამაღალ კითხვაზე მუშაობისას მნიშვნელოვანია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება (მით უფრო, 6-7 წლის მოსწავლეებთან აუცილებელია გუნდური და წყვილებში კითხვა):

- <u>გუნდური კითხვა</u> — მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს რამდენჯერმე: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ნელა და გარკვევით და შემდეგ მოსწავლეები ერთად კითხულობენ იმავე ტექსტს რამდენჯერმე;
- <u>წყვილებში კითხვა</u> — მოსწავლეები ერთად ან რიგრიგობით კითხულობენ ტექსტს ხმამაღლა (წყვილებში მუშაობის დროს კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დააწყვილებს ძლიერი-სუსტის პრინციპით);
- ინდივიდუალური კითხვა — როცა ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე, ან კითხულობს მითითებულ ადგილს. აქვე შემოდის გაგრძელებებით წაკითხვაც, როცა მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეს კითხვას და აგრძელებინებს მეორეს.

რაც შეეხება ჩუმ კითხვას, ეს არის წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი და მას საკითხავი ამოცანების შესრულებისას უნდა მივმართოთ. სახელმძღვანელო ამ კუთხით საკითხავი ტექსტის ტიპებისა და საკითხავი ამოცანების მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს მოსწავლეებს.

წერის სწავლება: მოსწავლეები საანბანო პერიოდში იწყებენ ასოების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წერას. ძირითადი აქცენტი გადადის ბადიან რვეულზე (კალიგრაფიის რვეულზე). რაც შეეხება მოსწავლის რვეულში საანბანე თემაში მოცემულ ე.წ. წერით დავალებებს (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვაში გამოტოვებული ასოების ჩასმა, ცალკეული სიტყვის გადაწერა, წინადადებაში დაშვებული შეცდომის მოძებნა და გამოსწორება და სხვა), ისინი ემსახურება არა ასოების გამოყვანის ტექნიკის დაუფლებას, არამედ მათ იდენტიფიცირებას, ასოებისა და სიტყვების ამოცნობას, ასევე ემსახურება გარკვეულ ენობრივ მიზნებსაც — კონკრეტული ლექსიკისა თუ გრამატიკის სწავლებას.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის, ამიტომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ დავალებებს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც უწევთ და წერაც.

კითხვის მსგავსად, წერის უნარის განვითარებაც განსხვავებულია ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით. აქაც ცა-ცალკე წარმოვადგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით:

6-9 წლის მოსწავლეები	წერის უნარის განვითარება აუჩქარებელი ტემპით უნდა წარიმართოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების გადაწერა, არამედ წინადადებებისა და მიკროტექსტების კარნახით წერაც; ვინაიდან წერის სწავლება ამ ეტაპზე, ძირითადად, რეპროდუცირებას ეფუძნება, ამიტომ ეს პროცესი მოსაწყენი რომ არ გახდეს, მნიშვნელოვანია მათთვის მრავალფეროვანი, სახალისო და, რაც მთავარია, შინაარსიანი კონტექსტების შეთავაზება, მაგალითად: კითხვარის შევსება, სადაც ჩაწერს, რომელი საჭმელი უყვარს და რომელი — არა; პირადი ან ცხრილის მონაცემებით ანკეტის შევსება (სახელი, გვარი, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და ა.შ.); კონკრეტული ინფორმაციით ნაკლული ტექსტის შევსება (მაგ., ცხრილის მიხედვით წინადადებების შევსება; მოცემული რეპლიკებით დიალოგის / ნარატიული ტექსტის შევსება და ა.შ.); მოდელის მიხედვით ადამიანის, ცხოველის ან საგნის აღწერა და ა.შ.
10-14 წლის მოსწავლეები	კითხვის მსგავსად, მასწავლებელს შეუძლია უკვე ამ საფეხურზევე შესთავაზოს მათ წერის სისტემური კურსი. თუმცა, სწავლების საწყის ეტაპზე ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია (ერთი მხრივ, ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხოვნებისა და, მეორე მხრივ, ხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების გათვალისწინებით) ქართულ ანბანზე სამუშაოდ სათანადო დროის გამოყოფა. სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა: კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის. ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი დავალებები, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც მოუწევთ და წერაც, მაგალითად: მცირე (3-4 წინადადებიანი) აღწერითი ტექსტების შექმნა (მაგ., ცხოველის, საყვარელი სათამაშოს, საკუთარი ოთახის აღწერა; ოჯახის წევრის, მეგობრის, პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; გარემოს, ყოველდღიური საქმიანობების აღწერა, ტექსტის გარშემო დასმულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა და ა.შ. რაც შეეხება ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, მოსწავლეებს მოეთხოვებათ ისეთი პრაგმატული ხასიათის ტექსტების შედგენა, როგორებიცაა თავისი ან სხვისი გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი და ა.შ.; მოდელის მიხედვით მარტივი კორესპონდენციის შექმნა (მაგ., ღია ბარათის), ახალი მონაცემების მიხედვით რეცეპტის შედგენა, მოცემული რეპლიკებით დიალოგების აწყობა და ა.შ..

<u>წაკითხულის გაგება-გააზრება:</u>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე წაკითხულის გაგების უნარის გაღრმავება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ მათთვის ნაცნობი თემის გარშემო სასწავლო მიზნით შექმნილი ან სხვადასხვა ფუნქციური სტილის (როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული) მცირე ზომის ადაპტირებული ტექსტების გაგება და გაანალიზება როგორც შინაარსის, ისე მათი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით. ტექსტის ძირითადი შინაარსისა და კონკრეტული ინფორმაციის გაგებასთან ერთად, მოსწავლეებს ასევე მოეთხოვებათ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და მარტივი დასკვნების გამოტანა.
გამოიყენება როგორც დიდაქტიზებული, ისე ნახევრად ავთენტური ტექსტები, რომელთა მოცულობა და სირთულის დონე აღემატება წინა დონის ტექსტებისას.

<u>სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერილობით შექმნა:</u>

ამ ეტაპზე მოსწავლეებმა უკვე უნდა შეძლონ: სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის შედგენისას საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა; ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობით გადმოცემა; საკუთარი გრძნობებისა და სურვილების მარტივი ფრაზებით გამოხატვა; კონკრეტული პერსონაჟის, ფაქტისა და მოვლენისადმი საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა; კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარტივი დასკვნის გამოტანა და ა.შ.;
სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენა ამ ეტაპზე ითვალისწინებს მუშაობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების / მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში და წერის შემდეგ. წერითი მეტყველებისას სამეტყველო ქცევის ზოგადი პარამეტრებია:

- აზრის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება;
- სასვენი ნიშნების ფუნქციური გამოყენება.

შესასრულებელი სამუშაო ჯერ ზეპირად უნდა დამუშავდეს მაგალითის/მოდელის ჩვენებით და შემდეგ მოვთხოვოთ მოსწავლეებს მისი წერილობით შესრულება.

❖ ლინგვისტური კომპეტენციების დაუფლება

ენობრივი კომპეტენციის განვითარება გულისხმობს არამხოლოდ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. ძირითადი აქცენტი გადატანილია პრაქტიკული გრამატიკის სწავლებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი კონტექსტში სწავლება. ამიტომ, სწავლის პროცესში ენის საკითხები უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ტექსტს და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას. გრამატიკული საკითხების სწავლება კვლავ განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში უნდა მოხდეს შესწავლილი ენობრივი მექანიზმების, გრამატიკული თავისებურებებისა და შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით.

ენობრივი კომპეტენციის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ენის კომუნიკაციური ასპექტები; მისი მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად შეფასებისა და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვისათვის, ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად.
წარმატებული სოციალური ინტერაქცია გულისხმობს: მოსმენისა და საუბრის წესების ცოდნას; თავაზიან მეტყველებას; მეტყველების ეტიკეტური ფორმების (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, თხოვნა) მიზნობრივ გამოყენებას; სიტყვიერ და არასიტყვიერ კომუნიკაციას (ჟესტები, მიმიკა, ხმის დონეები, ინტონაცია); წერილობითი ტექსტის გრაფიკული სტრუქტურის ფუნქციურ გამოყენებას.

რაც შეეხება კონკრეტულ სფეროებს, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ფონეტიკა: ქართული ენა განსხვავდება სხვა ენებისაგან ფონემატური შედგენლობით, ფონემების პოზიციური რეალიზაციითა და შეხამების წესებით, განსხვავებულია ინტონაციაც.
სახელმძღვანელო ამ კუთხით მასწავლებელსა და მოსწავლეებს ისეთი ფონოლოგიურ სავარჯიშოებს სთავაზობს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ქართულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებზე, ბგერების იდენტიფიცირებასა და სიტყვაში მათ პოზიციაზე (სიტყვის დასაწყისშია თუ ბოლოში), ბგერების ჩანაცვლებით სიტყვების ტრანსფორმირებაზე და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ:

- <u>მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების გაგება და მათი წარმოთქმა</u> (თ-ტ, ქ-კ, ფ-პ, ც-წ, ჩ-ჭ); როგორც წესი, უცხოენოვან შემსწავლელებს განსაკუთრებით უჭირთ ყრუ ფშვინვიერისა და ყრუ მკვეთრი ბგერების გარჩევა, ამიტომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება ამ ფონემებზე (პური-ფური; პაპა-ფაფა; კარი-ქარი, ქუდი-კუდი...).
- <u>სიტყვები მცირე განსხვავებებით</u> (ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სიტყვებზე, რომლებიც წარმოთქმის თვალსაზრისით მსგავსნი არიან, მაგრამ მათი მნიშვნელობა განსხვავებულია (კუდი-ქუდი; კარი-ქარი; პირი-ფირი; ქარი-ქალი...). შესაბამისი სავარჯიშოები ნათელს ხდის სიტყვების სწორად აღქმის აუცილებლობას.
- <u>ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერები</u> (ც, ყ, ხ, ჩ, ჭ, წ). ასევე ხშირია მათი აღრევა ქართული ენის ათვისებისას, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათზე სათანადო მუშაობა.
- <u>თანხმოვანთა თავმოყრა</u>, რომელიც ასევე სირთულეს წარმოადგენს (ცეცხლი, ცხვირი, ბრდღვნის...) არაქართულენოვანებისათვის.

ლექსიკა: ლექსიკის მზამზარეული თარგმნა არ უნდა გახდეს სიტყვის (და, ზოგადად, აზრის) მნიშვნელობის მიწოდების ერთადერთი (თუნდაც, ძირითადი) საშუალება, მნიშვნელობა არ აქვს სწავლების რომელ საფეხურზეც არ უნდა ვიმყოფებოდეთ. უფრო მეტიც, სასურველია, რომ აუცილებელი საჭიროების გარდა მასწავლებელმა თავი აარიდოს მას. თარგმნის გარდა, არსებობს სიტყვის მნიშვნელობის მიწოდების სხვა, არათარგმნითი გზაც, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა.

სიტყვის მნიშვნელობის არათარგმნითი გზით მიწოდება განსაკუთრებით უწყობს ხელს არა მარტო უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებას, არამედ მის დამახსოვრებასაც. გთავაზობთ ლექსიკის სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ასევე შეუძლია გამოიყენეოს მასწავლებელმა ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლებისას.

სალექსიკონო ერთეულებზე მუშაობისას მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად შეასრულონ ლექსიკური დავალებები. თქვენ ჩაერიეთ შესასრულებელი დავალების დასაზუსტებლად და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.
სასურველია, მოსწავლეები ჩართოთ სახალისო თამაშებშიც, რომლებიც საგანმანათლებლო მიზნებთან ერთად განტვირთვის საუკეთესო საშუალებაცაა. გთავაზობთ ნიმუშებს:

<u>თამაში — „გამოიცანი, რა სიტყვაა!“</u>

მოსწავლეებმა უნდა ჩაიფიქრონ და აღწერონ სიტყვები. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ თავად შესთავაზეთ ზოგიერთ მათგანს მარტივი სიტყვა (უთხარით ყურში ისე რომ, სხვებმა არ გაიგონ) და პარალელურად დაეხმარეთ კითხვების ფორმულირებაშიც.

ასაკობრივად განსხვავებული მოსწავლეების შემთხვევაში, მსგავსი გამოცანა-თამაშების დროს (და არა მხოლოდ) დააწყვილეთ მოსწავლეები (ან მცირე ჯგუფებად დაყავით ისინი) და თქვენ პატარების მეწყვილედ (ან ჯგუფის წევრად) მიიღეთ მონაწილეობა (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე). ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში, უფროსებიც აღარ დაკარგავენ პატარებთან თამაშის მოტივაციას.

<u>თამაში — „ასოციაციობანა“:</u>

მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთთან კონკრეტული ლოგიკური ჯაჭვით არიან დაკავშირებული. თამაშის პრინციპს (ანუ, სიტყვებ შორის ლოგიკურ კავშირებს) განსაზღვრავს მასწავლებელი საგაკვეთილო საჭიროების გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს:

1. ერთი სემანტიკური ველის მქონე სიტყვები (მაგ, სიტყვები, რომლებიც გაზაფხულს უკავშირდება...);
2. საწყისი სიტყვიდან გამომდინარე (მაგ., თევზი — ბადე — თოკი — ძაფი — ნემსი და ა.შ.);
3. კონკრეტული ნიშან-თვისების გამომხატველი სიტყვები (შესაძლებელია, უფრო დავაკონკრეტოთ კიდეც, მაგ., ვწერთ დაფაზე სიტყვას — მთა. როგორი შეიძლება იყოს ის? და სხვა);
4. და ა.შ.

გრამატიკა: გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, შესაბამისად, ის არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტში ისწავლება.
არ არის რეკომენდებული გრამატიკული საკითხების აღწერით-თეორიული მიწოდება, წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები.

თუმცა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მასწავლებელს შეუძლია, მიმართოს სიტყვიერ ახსნასაც (ცხადია, სწავლების ენაზე) და, უფრო მეტიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პარალელების გავლება სწავლების ენასთან (უფრო კონკრეტულად ამის შესახებ გარკვეულ მითითებებსა და რჩევებს მასწავლებელს ცალკეული გრამატიკული საკითხის ანალიზისას ვთავაზობთ).

აქ ზოგადად შევნიშნავთ, რომ გრამატიკის სწავლებისას აუცილებელია:

- პირველ, რიგში, მოვერიდოთ გრამატიკული საკითხების კონტექსტიდან მოწყვეტით მხოლოდ თეორიულ სწავლებას;
- წესების ნაცვლად გამოვიყენოთ მყარი ენობრივი ფორმულები;
- პირველ რიგში, თვალსაჩინოებების გამოყენებითა და კონკრეტული მაგალითებით გავაგებინოთ, მივახვედროთ, დავაკვირვოთ ამა თუ იმ საკითხზე, პრობლემაზე. ახალი გრამატიკული საკითხის მიწოდებისას ადვილი და გასაგები თვალსაჩინოებების (სქემები, ცხრილები, დიაგრამები და ა.შ.) გამოყენება;
- მათ გასააქტიურებლად, კონკრეტულ ენობრივ სავარჯიშოებთან ერთად, მივმართოთ ყოფით სიტუაციებსა და საინტერესო კონტექსტებს;
- გამეორებადი გამონათქვამების (კლიშეების, გრამატიკული ფორმულების) ხშირი გამეორება, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ;
- და ბოლოს, სხვადასხვა სირთულის მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება, რასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი სახელმძღვანელო.

ბუნებრივია, კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ სიტყვიერი ახსნაც, რომელსაც, საჭიროებისამებრ, უნდა მიმართოს მასწავლებელმა (განსაკუთრებით ამ ეტაპზე ეს პროცესი თურქულ ენაზე უნდა წარიმართოს). კარგი იქნება, ამ დროს პარალელებსაც თუ გავავლებთ თურქულ ენასთან. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ დაინახონ ორ ენობრივ სისტემას შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება.

❖ პოსტერები, დიაგრამები და სქემები სწავლების პროცესში

<u>ინფორმაციული ბლოკები:</u>

ინფორმაციული ბლოკების შექმნა ტექსტის დამუშავების პროცესში ხელს უწყობს არა მხოლოდ წაკითხულის გაგების უნარის განვითარებას, არამედ ეს წარმოადგენს ასევე ერთ- ერთ მნიშვნელოვან რესურსს ზეპირი თუ წერითი კომუნიკაციისთვისაც.

ამ ბლოკების შექმნის მიზანია ტექსტში არსებული ინფორმაციების კონკრეტული საკითხის/თემის მიხედვით მოძიება და ერთი ღერძის გარშემო მათი განთავსება. ასეთი ღერძების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, მოცემული ტექსტი თავისთავად რამდენი და რა ტიპი ს ინფორმაციას მოიცავს.

ინფორმაციულ ბლოკებზე მუშაობის პრინციპები:

- პირველ ეტაპზე ჯერ მასწავლებელი ქმნის ნიმუშის სახით ასეთ ბლოკს დაფაზე მოსწავლეების ჩართულობით (დასვით კონკრეტული კითხვა და სთხოვეთ მოსწავლეებს შესაბამისი ინფორმაციის ტექსტში მოძიება).
- ამის შემდეგ მოსწავლეებმა ჯერ თავად (დამოუკიდებლად ან წყვილებში) იმუშაონ ამგვარ აქტივობებზე და პასუხების შეჯერების პროცესში ჩაერთოს მასწავლებელი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლის ჩართვა აუცილებელია.

ინფორმაციული ბლოკები შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერ საკითხზე, თუკი მის შესახებ მინიმუმ ორი ინფორმაცია მაინც არსებობს ტექსტში, მაგალითად:

1. თემა 2 — წიგნების თარო: ანდერსენის ბიოგრაფია



2. თემა 4 — სამშობლო: საქართველოს დედაქალაქი



ინფორმაციული ბლოკები ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათზე დაყრდნობით სხვისი ან საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი.

<u>პოსტერები ენობრივ საკითხებზე დაკვირვებისა და ათვისება- განმტკიცებისათვის:</u>

ა) ტექსტში მოცემული ინფორმაციის დახარისხებისა და ორგანიზებისათვის:



უკვე შევსებული სქემები შეგიძლიათ გამოიყენოთ ზეპირმეტყველების დროს (მათზე დაყრდნობით ასაუბროთ მოსწავლე).

ბ) <u>პრაგმატული ტექსტის გაგება-გააზრებისა და შექმნისათვის:</u> განცხადების სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლები:





<u>გ) ენობრივ საკითხებზე დაკვირვებისა და ათვისება-განმტკიცებისათვის.</u>

1. <u>სასურველი ან შესაძლებელი მოქმედების გამომხატველი ზმნური კონსტრუქცია:</u>



ზმნების პოსტერები: შესაძლებელია, ეს იყოს დიდი ფორმატის ქაღალდზეც, რომელიც დაიკიდება თვალსაჩინო ადგილას და პერიოდულად შეივსება ახალი მასალით. ცალ-ცალკე პოსტერზე განათავსეთ ერთი-ტიპის ზმნების პირველი და მესამე პირის ფორმები. კარგი იქნება, თუკი პირველი სუბიექტური პირის (ანუ მოქმედი პირის) ნიშნებს სხვა ფერში ჩაწერთ (**ვ** / **მ**). ასევე გამოკვეთეთ მესამე პირის ნაცვალსახელებიც (**ის** / **მას**). შესაძლებელია, ეს მოხდეს მათი წრეში ჩასმითაც (მასწავლებელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, რა იქნება მისთვის უმჯობესი. მთავარია, რომ ვიზუალურად ეს განსხვავება თვალში საცემი იყოს მოსწავლეებისათვის).

ეს პოსტერები მუდმივად გამოიყენეთ სხვადასხვა საჭიროებისამებრ. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

ვინიანი

მე	**ის**
ვარ	არის
ვდგები	დგება
ვცხოვრობ	ცხოვრობს
ვმოგზაურობ ...	მოგზაურობს ...

მანიანი

მე	**მას**
მქვია	ჰქვია
მომწონს	მოსწონს
მეხერხება	ეხერხება
მაინტერესებს ...	აინტერესებს ...

ამგვარი თვალსაჩინოება დაეხმარება მოსწავლეს ნასწავლი ზმნების სწორად გამოყენებაში და სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში. ყოველი ახალი ზმნის შეტანის დროს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს, რომელ ფორმატზე შეიტანოს (ანუ, ვინიანია ის ზმნა თუ მანიანი). მარკერებად შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველი სუბიექტური (ანუ მოქმედი) პირის ფორმებში არსებული პირის ნიშნები: ვ / მ (ვარ / მაქვს).

ლექსიკური პოსტერები (საუბარია როგორც სახელურ, ისე ზმნურ ლექსიკაზე): პოსტერების შექმნა მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლების თვალსაზრისითაც. ყოველი ახალი ლექსიკური ერთეული გადაგვაქვს პოსტერზე, სადაც ისინი გარკვეული ნიშნით შეგვიძლია დავახარისხოთ, მაგალითად: სემანტიკური ნიშნით, გრამატიკული ნიშნით და ა.შ.

სემანტიკური

მცენარე	გარემო
ვარ	არის
ვდგები	დგება
ვცხოვრობ	ცხოვრობს
ვმოგზაურობ ...	მოგზაურობს ...

გრამატიკული

საერთო ძირის მქონე
მოსწავლე
მასწავლებელი
სწავლა
სასწავლებელი ...

შეგვიძლია დავეყრდნოთ კონკრეტულ ძირს და აქედან გავშალოთ მისი სემანტიკური ველი:



სიტყვის პოლისემია (მრავალმნიშვნელიანობა): ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტექსტის გამოყენება, ვინაიდან პოლისემიური სიტყვის ესა თუ ის კონკრეტული მნიშვნელობა მხოლოდ კონტექსტში ვლინდება, აქცენტი კეთდება სწორედ კონტექსტუალურ მიმართებებზე. მაგალითად, სიტყვას ატარებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კონტექსტში. ის ნიშნავს გართობასაც, დასვენებასაც, ჩაცმასაც და სხვა: ის ატარებს დროს, მანქანას, არდადეგებს, შვილს მუსიკაზე და ა.შ.



<u>აზრობრივი დიაგრამების ნიმუში:</u>



ლექსიკური პოსტერები მუდმივად შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი რესურსი სხვადასხვა საჭიროების დროს, მაგალითად:

- <u>მარტივი ინტერაქციისათვის</u> (შენ რომელი მოგწონს აქედან? აქედან ვის რა ჰყავს სახლში? შენს კლასში ვინ არის ცნობისმოყვარე? და ა.შ.)

- <u>თამაში — „გამოიცანი, რა არის“:</u> ერთი ჩაიფიქრებს და აღწერს და დაახასიათებს, სხვებმა უნდა გამოიცნონ. მეტი ენობრივი კომპეტენციის შემთხვევაში, პოსტერების მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობები იზრდება.

- კონკრეტული ენობრივი საკითხის გააქტიურებისა და გასავარჯიშებლად.

მთავარია, რომ ნებისმიერ პოსტერზე მუშაობა — ახალი მასალის შეტანა იქნება ეს თუ სხვა რამ, აუცილებლად მოსწავლეების თანამონაწილეობით უნდა მოხდეს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვქმნით საჭირო სასწავლო რესურსებს თვალსაჩინოების სახით, თავად ეს პროცესი ცალკე აღებული მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებას.

ტიპური დავალებები და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

გთავაზობთ სახელმძღვანელოში შესული ტიპური დავალებების ძირითად სპექტრს და იმ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სწავლების პროცესში.

<u>ფონოლოგიური სავარჯიშოები:</u>

პირველ რიგში, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ასეთი სავარჯიშოები ტარდება მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ სიტყვებზე, ზეპირ მარცვლებსა და ბგერებზე და არა — ასოებზე, ნაწერ მარცვლებსა და სიტყვებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა წინ უსწრებდეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მასზე მუშაობა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენსაც მოსწავლის საჭიროება მოითხოვს.

ასევე მნიშვნელოვანია მუშაობის წარმართვა მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებითაც. ფონოლოგიური სავარჯიშოები შეიძლება იყოს მარტივიც და რთულიც. მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მარტივი სავარჯიშოებით და სწავლების პროცესში მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპისა და სირთულის აქტივობები შესთავაზოს პრინციპით — მარტივიდან რთულისაკენ!

დამატებით გთავაზობთ სახალისო თამაშებს ფონოლოგიური უნარების გასავითარებლად. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის აქტივობებში შეგიძლიათ ჩართოთ ისეთი ლექსიკა, რომელიც საჭიროებს განმტკიცებას:

გამოვიცნოთ სიტყვები! ჩუმად უთხარით ერთ-ერთ მოსწავლეს სიტყვა და სთხოვეთ, ხმამაღლა დამარცვლით წარმოთქვას ეს სიტყვა. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მარცვლები, გამოიცნონ, რა სიტყვაა და დაასახელონ. რეკომენდებულია, აქტივობაში თავდაპირველად გამოიყენოთ ორ- და სამმარცვლიანი სიტყვები და თანდათან გაზარდოთ მარცვალთა რაოდენობა. დამარცვლისა და გამთლიანების პროცესი რომ მოსაწყენი არ გახდეს, შესაძლებელია მას სახალისო შეჯიბრის სახე მიეცეს და სახალისო პრიზებითაც დააჯილდოვოთ ჯგუფები.

სიტყვების კატეგორიზაცია მარცვალთა რაოდენობის მიხედვით: ამ ტიპის აქტივობათა თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლისაგან რამდენიმე ოპერაციის შესრულებას მოითხოვს, კერძოდ, სიტყვის მარცვლებად დაშლას და სიტყვათა კატეგორიზაციას (დახარისხებას) შემადგენელი მარცვლების რაოდენობის მიხედვით. ამიტომ, სასურველია, ამ ტიპის (ანუ მრავალკომპონენტიან) აქტივობებს თამაშის სახე მისცეთ, რათა მოსწავლეებს მათი შესრულება გაუმარტივოთ. მოტივაციის გასაზრდელად შესაძლებელია, თამაშს ჯგუფებს შორის შეჯიბრის სახე მიეცეს, რასაც მოსწავლეების სახალისო პრიზებით დაჯილდოებაც მოჰყვება. თამაშის დაწყებამდე სასურველია, მოსწავლეებიც ჩავრთოთ მისი მომზადების პროცესში, მაგ., მათთან ერთად მოამზადეთ აქტივობისათვის საჭირო რესურსები (სათანადოდ მოაწყეთ სივრცე); პარალელურად აუხსენით, რისთვის დაგჭირდებათ ესა თუ ის საგანი / რა უნდა გააკეთოთ ამ რესურსების გამოყენებით და ა.შ. აქტივობის გართულება შესაძლებელია მრავალმარცვლიანი სიტყვების შემოტანით და, შესაბამისად, ყუთების რაოდენობის გაზრდით.

ა) მოსწავლეებთან ერთად მოამზადეთ სამი ყუთი (ყუთების რაოდენობა დამოკიდებულია სიტყვებში შემავალ მარცვალთა რაოდენობაზე). თითოეულ ყუთს დააწერეთ ის ციფრი, რამდენმარცვლიანი სიტყვისთვისაც არის ის განკუთვნილი (მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ აღნიშნული ციფრების ცნობა; თუ ეს ცოდნა მათ ჯერ არა აქვთ, გამოიყენეთ სიმბოლოები, მაგ., რკალები —)))))) ან მარტივი ნახატები, მაგ., მზე, ვარსკვლავი და სხვ.



ერთმარცვლიანი ორმარცვლიანი სამმარცვლიანი

ბ) მოსწავლეებთან ერთად შეაგროვეთ რესურსი: პატარა საგნები / ნივთები, რომლებიც ჩაეტევა ყუთში (მაგ.: კალამი, ფანქარი, ბურთი, წიგნი, ჭიქა, კოვზი...); სურათები ან ფოტოები, მაგ.:

და ა.შ.

გ) აუხსენით მოსწავლეებს თამაშის პრინციპი — დარიგებული მასალა გადაახარისხონ ყუთებში სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. საჭიროებისამებრ, თავიდან გაითამაშეთ აქტივობა იმ მოსწავლესთან ერთად, რომელსაც გაუჭირდა თამაშის პრინციპის გაგება.

დ) ამის შემდეგ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. ჯგუფებს დაურიგეთ ყუთები და ყველა საჭირო რესურსი — სურათები, საგნები, ნივთები და განსაზღვრეთ თამაშის დრო. შესაძლებელია ამ აქტივობის სხვადასხვაგვარად წარმართვაც, კერძოდ:

მიეცით თითო ჯგუფს თითო ყუთი. მოსწავლეებმა დარიგებული მასალიდან უნდა შეარჩიონ და ყუთში მოათავსონ ის ნივთები, რომელთა აღმნიშვნელი სიტყვებიც შედგება ყუთზე მითითებული მარცვლების რაოდენობისგან.

მარცვლების იდენტიფიცირება (მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში): გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია — წარმოთქვით სამოდელო მარცვალი (**მა-**), რომელიც უნდა სმოიცნონ მოსწავლეებმა მარცვალთა წყებაში (მაგ., **და, მო, ში, მა, თა, ჩა, მე, მა, მუ** და ა.შ.) და კიდევ ერთხელ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ტაში დაუკრან ამ მარცვლის გაგონებისას. საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად განახორციელებინეთ აქტივობის გამარტივებული ვარიანტი — შეამცირეთ მიწოდებულ მარცვალთა რაოდენობა, წარმოთქვით მხოლოდ ორი მარცალი და გაზარდეთ მათ შორის ინტერვალი. მიეცით მოსწავლეს დრო დასაფიქრებლად და სათანადო რეაქციისათვის. შეგიძლიათ გაართულოთ აქტივობა ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების მიჯრით წარმოთქმით: **ქუ/კუ/გუ; ჯი/ჩი/ჭი/ცი; ბა/ფა/პა** და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ პირველ ეტაპზე მარცვლები დაასახელოთ ნელა და გარკვევით. კარგად გავარჯიშების შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ტემპის უმნიშვნელო აჩქარება.

<u>წერისა და კითხვის დაუფლება:</u>

სახელმძღვანელო (საუბარია კალიგრაფიის რვეულზეც) მრავლად შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- ➢ ასოების გამოსახვა ბადიან რვეულში;
- ➢ ნაცნობი სიტყვების წერა ნახატების დახმარებით;

- სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა (არასწორად დაწერილი სიტყვების გასწორება; ნახატის მიხედვით სწორი ვარიანტების შემოხაზვა და ა.შ.);
- ასო-ბგერებისა და მარცვლების ცნობა (მოისმინე, იპოვე და შემოხაზე / დაასახელე / გააფერდე);
- სიტყვის ამოცნობა (ანალიზი და სინთეზი), მაგ.: მოცემული ასოებით სიტყვების შევსება; ნახატის დახმარებით სიტყვაში გამოტოვებული ასოების ამოცნობა და სიტყვის შევსება; არეულად მოცემული ასოებით სიტყვების აწყობა საყრდენების დახმარებით (საყრდენად შეიძლება იყოს, ერთ შემთხვევაში, სიტყვის ფოტოგრაფიული ხატი, ანუ გამოსახულება. მეორე შემთხვევაში კი ასაწყობი სიტყვის საწყისი ასო); საყრდენების დახმარებით კროსვორდის შევსება; მიჯრით მიწყობილ სიტყვაში სამოდელო სიტყვის ამოცნობა; გრძელ სიტყვაში მოკლე სიტყვის მოძებნა; რებუსის ამოხსნა; მოცემული სიტყვების ცხრილში მოძებნა და მათი მონიშვნა ან გაფერადება და ა.შ.);
- სიტყვების ამოკითხვა და გამოწერა / გადაწერა.

გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საანბანო პერიოდში წერა-კითხვის დაუფლებაზე სამუშაოდ:

ბადიან რვეულში ასოებზე მუშაობა (რომელიც მიმდინარეობს კალიგრაფიის რვეულში დ "დედანში") წარმართეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

<u>პირველი ეტაპზე</u>
ა) აჩვენეთ მოსწავლეებს ოთხხაზოვან ბადიან ფურცელზე გამოსახული ასოები. პირველ რიგში, ყურადღება მიაქცევინეთ ბადის სტრუქტურაზე — ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებზე. განმარტეთ, რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ამგვარი განლაგების პრინციპი;

ბ) დააკვირვეთ ასოებზე და დაუსვით შეკითხვები (განმარტებები წარმართეთ მათთვის ნაცნობ ენაზე, ანუ მათი სწავლების ენაზე): რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? ოთხ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს ამ ასოებს საერთო? და ა.შ.

გ) ყურადღება გაამახვილებინეთ მოსწავლეებს ასოთა მოხაზულობაზე — საიდან იწყება და სად მთავრდება ასოს გამოსახვა; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

<u>მეორე ეტაპზე</u> გადადით მორიგ ოთხხაზოვან ბადიან ფურცლებზე, სადაც ასოები (და ნაცნობი სიტყვები) მოცემულია ჯერ თვალსაჩინოდ, შემდეგ გამოსახულია წერტილებით და დაასრულებინეთ ასოების გამოწერა.

<u>მესამე ეტაპზე</u> გაჰყევით კალიგრაფიის რვეულში მოცემულ დანარჩენ სავარჯიშოებს კონკრეტული ასოს ფარგლებში.

მსგავსად იმუშავეთ ყველა ახალი ასოს შემთხვევაში.

სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კითხვის სწავლების შემამზადებელ ეტაპზე. მოსწავლე ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და პირდაპირი გზით ამოიცნობს მის მნიშვნელობას. კითხვის მთლიანობითი მეთოდი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებასა და ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას. ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სიტყვების გაშიფრვის წინმსწრებად მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა.
- ასაკობრივთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებსაც, ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ.

6-7 წლის ასაკის მოსწავლეებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, აუცილებლად დავიცვათ მარტივიდან რთულისაკენ სვლის პრინციპი. კარგი იქნება, თუკი მათთვის წინასწარ მოამზადებთ ბარათებს, სადაც მოცემული იქნება სამიზნე (ამოსაკითხი) სიტყვა სათანადო სიტყვათა ჩამონათვალში.
დაურიგეთ ბარათები მოსწავლეებს და სთხოვეთ, ამოიკითხონ მითითებული (გამუქებული / ცალკე გატანილი / დიდი შრიფტით დაწერილი) სიტყვა. ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალება — სიტყვათა ჩამონათვალში იპოვონ და შემოხაზონ იგივე სიტყვა.

ა)

	ოთახი
უთო	უთო
	თუთა

		ოთახი		
უთო	თუთა	ოთახი	თხა	ოთახი

ბ)

მზე	ხე	მზე	ია	ზღვა	მზე	ბურთი	ტყე	ზღარბი	მზე

ამის შემდეგ მიეცით მორიგი დავალება — გადახაზოს (ან მიუთითოს) ზედმეტი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში ნიმუშის მიხედვით.

თხა	თხა
თხა	თხილი
თხა	თხა

წიგნი	წიგნი
წიგნი	წიწაკა
წიგნი	ცხენი

კარგად გავარჯიშების შემდეგ ცოტა გაართულეთ დავალება. მიეცით სიტყვათა ჩამონათვალი და ერთ-ერთი (ამოსაკითხი / სამიზნე) სიტყვის შესაბამისი ნახატი. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯერ დაასახელონ, რა ხატია და შემდეგ იპოვონ და მიუთითონ (ხაზით დააკავშირონ) მისი შესაბამისი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში.

ა) ბადე
ბუდე
ბელი
ბალი

ბ) შეგიძლიათ, დავალება გაართულოთ ყველა სიტყვის შესაბამის ნახატთან დაკავშირებით:



საზამთრო
ბურთი
ყურძენი
ბატი

ყურძენი
ბატი
ბაყაყი
საზამთრო

ასო-ბგერების ცნობა. კონკრეტული სამიზნე ასოს (ან ასოების) მოძებნა ხდება სიტყვათა ჩამონათვალში და/ან კონკრეტულ წინადადებებში. საწყის ეტაპზე (როდესაც იწყებთ ახალი ასო-ბგერის სწავლებას), გირჩევთ ენის გასატეხების გამოყენებას. პატარა ასაკის მოსწავლეებისათვის ეს ენის გასატეხები კალიგრაფიის რვეულში მოცემულია იმ ფორმით, რომ მათ შეძლონ ამ ასოების გაფერადება (რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის), მაგალითად:

ა – წითლად ი – ყვითლად

ააი იაა. ააი გიაა. იაა, ააი მაიაა.

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი

მითითებული სიტყვების ამოკითხვა და გადაწერა. მიეცით მოსწავლეებს სიტყვათა ჩამონათვალი და გააცანით ისინი. დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლემ იცის მოცემული სიტყვების მნიშვნელობა.

ნაცნობი მგელი ჯიხვი ზამბახი მოგზაური ცული ლურსმანი მეზობელი ბიცოლა ბეჰემოტი ღიღილო ჩაქუჩი იასამანი

ამის შემდეგ გააცანით დავალება — სიტყვების ამ ჩამონათვალიდან უნდა ამოწერონ ის სიტყვები, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციაშია მითითებული. ჯერ ზეპირად შეასრულებინეთ მოცემული დავალება და შემდეგ სთხოვეთ მისი შესრულება წერილობით, მაგ., გადაწერონ ცხოველები.
შეამოწმეთ შესრულებული დავალება და ამის შემდეგ გადადით მორიგ დავალებებზე, მაგ., გადაწერონ: ყველა სულიერი / ვინ ჯგუფის სახელები / ნივთები და ა.შ.

შედარებით რთული ვარიანტია <u>ორი ტექსტის შედარებით მითითებული სიტყვების მოძიება ტექსტში და გადმოწერა.</u>
ამ შემთხვევაშიც უნდა იმუშაოთ იმგვარი თანმიმდევრობის დაცვით, როგორც აქტივობის მარტივ ვარიანტში იყო მითითებული — ჯერ ტექსტები გააცანით მოსწავლეებს ცალ-ცალკე (წააკითხეთ ხმამაღლა და ყურადღებით).
ამის შემდეგ შეადარებინეთ ეს ორი ტექსტი ერთმანეთს შეკითხვების დახმარებით: როგორ იწყება პირველი ტექსტი? როგორ იწყება მეორე? წაიკითხეთ მეორე წინადადება პირველ ტექსტში, მეორე ტექსტში. რა განსხვავებაა მათ შორის?

საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ დამატებითი შეკითხვით: რომელი სიტყვა არ წერია მეორე ტექსტში? და ა.შ.

პირველი ტექსტი	მეორე ტექსტი
ალექსის აქლემი თავის დღეში არ ენახა. ერთხელ **მინდვრად** დაინახა მწოლიარე აქლემი. ალექსი **გამბედავი ბიჭი იყო**, გაექანა და ზედ შეჯდა. აქლემი ნელა წამოიმართა **და** ალექსიც მაღლა-მაღლა წავიდა.	**პატარა** ალექსის აქლემი თავის დღეში არ ენახა. ერთხელ დაინახა მწოლიარე აქლემი. ალექსი გაექანა და ზედ შეჯდა. აქლემი ნელა წამოიმართა. ალექსი მაღლა-მაღლა წავიდა. **ალექსის ეგონა, ცაში მივყავარ ამ აქლემსო**.

ტექსტების გაცნობის შემდეგ შეასრულებინეთ ჯერ დავალებები თანმიმდევრობით:

ა) ჯერ ამოაწერინეთ ის სიტყვები, რომლებიც არის პირველ ტექსტში და არ არის მეორეში.

შეამოწმეთ შესრულებული დავალება და გადადით შემდეგ ინსტრუქციებზე.

ბ) ამოაწერინეთ ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში.

შესაძლებელია, მოსწავლეებს (შესაბამისი ასაკობრივი და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით) ინდივიდუალურადაც შესთავაზოთ უფრო მარტივი დავალებები მოცემული ტექსტების მიხედვით, მაგ.:

ა) მოაძებნინოთ ტექსტში ადამიანისა და ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვები და გადმოაწერინოთ.
ბ) მოაძებნინოთ ტექსტში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები / ზედსართავი სახელები და ა.შ.

<u>პროდუცირება:</u>

მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად მუდმივად განახორციელოთ ისეთი აქტივობები, როგორებიცაა:

- მარტივი ინტერაქცია ნაცნობი თემების გარშემო (მაგ.: რომელი საათია? რა მოსწონს / არ მოსწონს? და ა.შ.);
- ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა;
- მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში მონაწილეობა (მაგ., მინიინტერვიუების მოწყობა, გამოკითხვების ჩატარება კლასში კონკრეტულ თემაზე; კონკრეტული სიტუაციების გათამაშება; „მრგვალი მაგიდის მოწყობა“ და ა.შ.);
- საუბარი მარტივი საყრდენების გამოყენებით;
- სურათების, ფოტოების აღწერა;
- საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი და სხვა.

გთავაზობთ განმარტებებსა და რეკომენდაციებს.

1. მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია ნებისმიერ ნასწავლ ტექსტში მოცემული თემის გარშემო პირად გამოცდილებაზე გადატანით. მაგალითად, სასწავლო ტექსტი ეხება მოგზაურობის თემას. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მოამზადეთ მოსწავლეები ამ თემაზე ერთმანეთთან მინიინტერვიუების მოსაწყობად.

ა) შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად წინასწარ კითხვარის შედგენა, რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვან ერთმანეთს, მაგ., უყვარს თუ არა მოგზაურობა? სად / რომელ ქვეყნებში უნდა, რომ იმოგზაუროს? ვისთან ერთად და რატომ? და ა.შ.

ბ) მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია: საკუთარი ნახატების გარშემო; საყვარელ პერსონაჟებთან (ერთ-ერთი მოსწავლე მოირგებს „პერსონაჟის“ როლს, დანარჩენები უსვამენ შეკითხვებს) და სხვა.

2. კითხვარების შევსება ასევე შესაძლებელია ნებისმიერი ნასწავლი თემის, საკითხის გარშემო, რომელიც მათ პირად გამოცდილებაზე გასვლის საშუალებას იძლევა.

ა) კითხვარის მომზადებისას ენობრივ და კომუნიკაციურ მიზნებთან ერთად უნდა გაითვალისწინოთ თავად მოსწავლეების ენობრივი შესაძლებლობებიც. განსხვავებული საჭიროებების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მოუმზადეთ კითხვარები მოსწავლეებს.

ბ) კითხვარის გამოყენება რეკომენდებულია ასევე დიალოგური მეტყველებისთვისაც წყვილებში სამუშაოდ. ასეთ შემთხვევაში ამ აქტივობას კიდევ ერთი მიზანი ექნება — რამდენად ახერხებს მოსწავლე სამეტყველო ქცევის ადეკვატურად შეცვლას. მოსწავლეები კითხვარზე დაყრდნობით დასვამენ და უპასუხებენ ერთმანეთის შეკითხვებზე, მაგ.: მე ხშირად დავდივარ სასეირნოდ, შენ? მე იშვიათად ვზივარ კომპიუტერთან, შენ? და ა.შ.

3. "მრგვალი მაგიდის" მოსაწყობად მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ თემები თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. გაითვალისწინეთ, რომ ეს თემები უნდა ეთანაბრებოდეს მოსწავლეთა ენობრივ შესაძლებლობებს. სახელმძღვანელოს შინაარსის კონტექსტში შეარჩიეთ ასეთი თემები მოსწავლეებთან ერთად და მიეცით მათ დავალება
დ კონკრეტულად რა საკითხის გარშემო უნდა მოიძიონ ინფორმაცია.
განუსაზღვრეთ რაოდენობა: მოძიებული ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 15-20 წინადადებას. პატარებთან ეს რაოდენობა შეგიძლიათ 10 ერთეულამდეც შეამციროთ.
ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში, შეუცვალეთ ამოცანა და ამ თემის ფარგლებში სხვა რამ დაავალეთ, მაგალითად: თეთრი სპილოების საინტერესო ფოტოების მოძებნა;
მხოლოდ ნახატის შექმნა ან ნახატის შექმნის შემდეგ მისი აღწერაც. მიეცით სათანადო დრო ინფორმაციის მოსაძლიებლად და მოსამზადებლად.

4. სახალისო ვიქტორინების მოწყობა: მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად და ყველა ჯგუფთან ცალ-ცალკე იმუშავეთ ვიქტორინის შეკითხვების მომზადებაზე: შეკითხვები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ცოდნას და, ასევე სასურველია, ისინი ეხებოდეს სახელმძღვანელოს მასალას, რაც უზრუნველყოფს ნასწავლი ენობრივი ცოდნის (სათანადო ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების) განმტკიცებას.

ა) კარგი იქნება, თუკი შეკითხვების მომზადებაზე მუშაობაში ჩაერთვება ჯგუფის ყველა წევრი — ისინი თქვენი მითითებით მოაგროვებენ მასალას; შემდეგ თითოეული ჯგუფი თქვენთან ერთად განიხილავს ამ მასალას და ერთობლივად დაადგენთ შეკითხვების საბოლოო ვარიანტებსა და რაოდენობას; ეს მნიშვნელოვანია, რათა გაითვალისწინოთ ყველას ასაკობრივი ინტერესი და ენობრივი კომპეტენციები.

ბ) შეკითხვები შეარჩიეთ სირთულის მიხედვით და მიანიჭეთ სათანადო ქულები: მარტივი (1 ქულა), საშუალო (2 ქულა) და რთული (3 ქულა). შეკითხვის სირთულე სწავლების საწყის ეტაპზე გასაზღვრეთ თქვენ. მომდევნო ეტაპებზე (როცა მოსწავლეებს დაუგროდებათ სათანადო ენობრივი ცოდნა), შესაძლებელია, თქვენთან ერთად თავად მოსწავლეებმაც მიიღონ ამ კუთხით გადაწყვეტილება.

გ) კიდევ ერთხელ შეამოწმეთ შეკითხვების საბოლოო ვარიანტები და მოათავსეთ ისინი კონვერტში ვიქტორინის დაწყებამდე.

დ) მოსწავლეებთან ერთად შესაძლებელია სხვადასხვა ნომინაციის დაწესებაც: ყველაზე სწრაფი პასუხი; ყველაზე მეტი სწორი პასუხის მქონე; ენობრივად ყველაზე გამართული პასუხები; ყველაზე გაბედულები და ა.შ.

5. კონკურსის მოწყობა გამომსახველობით კითხვაში — „პოეზიის საღამო“: ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა...). კარგი იქნება, თუკი ხშირად მოასმენინებთ მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერებს.

ა) მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).

ბ) ჟიურის წევრებთან ერთად (რა თქმა უნდა, მათი სწავლების ენაზე) შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსიის მონაწილეებს.

გ) კონკურსის ჩატარება შესაძლებელია ორ ტურად: მონაწილეები ჯერ კითხულობენ (ზეპირად ამბობენ) ერთსა და იმავე ნაწარმოებს (როგორც პროზაულს, ისე პოეტურს), შემდეგ ტექსტს ირჩევენ საკუთარი სურვილით. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საკონკურსო პირობები, მაგ., საკუთარი სურვილით შერჩეული ტექსტების წაკითხვა.

დ) გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:

- ყურადღება მიაქციონ სასვენ ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
- იმეტყველონ გარკვევით და მკაფიოდ;
- სათანადოდ გამოიყენონ არავერბალური ენა — მიმიკა და ჟესტები;
- შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

ე) მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

<u>ლექსიკური სავარჯიშოები:</u>

სახელმძღვანელოში შეთავაზებული დავალებების გარდა მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლებისათვის აქტიურად გამოიყენოთ ისეთი აქტივობები, როგორებიცაა:

- სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენება;
- სიტყვიერი განმარტება (ეს, ძირითადად, ეხება აფიქსალურ ნაწარმოებ სიტყვებს და არა — კომპოზიტებს, მაგალითად, გამყიდველი: ის, ვინც ყიდის და ა.შ. თუმცა სრულიად შესაძლებელია, გამოვიყენოთ სიტყვიერი განმარტებაც;

- ლექსიკის სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა (მაგ., გრამატიკულ კატეგორიებად: სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ ადგილს, დროს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ.; სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან სულიერება/უსულოების მიხედვით და სხვა);
- ერთი ცნების ქვეშ გაერთიანება (მაგ., დასვენება, გართობა, გარემო, ჯანმრთელობა...)
- კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა და ა.შ.

სიტყვის მნიშვნელობის არათარგმნითი გზით მიწოდება განსაკუთრებით უწყობს ხელს არა მარტო უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებას, არამედ მის დამახსოვრებასაც.

<u>როლური თამაშები / მარტივი იმიტირებული საკომუნიკაციო სიტუაციები:</u>

როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და აქტიური ფორმაა, რომელიც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან შეგვიძლია გამოვიყენოთ. როლური თამაშები, გარდა სხვა ფუნქციებისა, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. სიმულაციური სიტუაციების გათამაშება განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სიმულაცია გულისხმობს რეალობის მსგავსი ხელოვნური სიტუაციების შექმნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. დიალოგების გასათამაშებლად, მნიშვნელოვანია, პატარა ასაკის მოსწავლეთა დახმარების მიზნით, ინტენსიურად გამოვიყენოთ ე.წ. მოდელირების სტრატეგია, რაც გულისხმობს:

- გასათამაშებელი დიალოგის ჩარჩოს მიცემას;
- წინასწარ მსგავს დიალოგებზე დაკვირვებას/მუშაობას;
- სანიმუშოდ პირველ ეტაპზე მასწავლებლის ჩართვას (მასწავლებელთან ერთად დიალოგის გათამაშებას).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს 6-7 წლის ასაკის მოსწავლეებთან, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ მეწყვილესთან დიალოგის გასათამაშებლად, ამიტომ ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაციის განხორციელება მის ჯეროვან მომზადებას გულისხმობს.

გთავაზობთ მარტივ და აუცილებელ რეკომენდაციებს:

1. ნებისმიერი სიტუაციის მომზადებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ დავალებაში მითითებული საკომუნიკაციო ამოცანები (რა არის მისი მიზანი), მოზარდების ინტერესთა სფერო და მათი ასაკობრივი თავისებურებები;
2. კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა დავრწმუნდეთ, კარგად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა საკომუნიკაციო სიტუაციები, კერძოდ:

    - ვინ წარმართავს დიალოგს ან საუბარს;
    - ვინ არის მისი თანამონაწილე დიალოგში; ვის ესაუბრება, ვის მიმართავს, ანუ, ვინ არის მსმენელი;
    - რა არის კომუნიკაციის მიზანი (ანუ, რის შესახებ იმართება დიალოგი, ან რას ეხება საუბარი, მაგ.: გაცნობას, მოკითხვას და სხვა).

3. მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ მოდელირების სტრატეგია და ჯერ თქვენ გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან. მხოლოდ ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის წარმართვამდე მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკომუნიკაციო სიტუაციები, ვინაიდან სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ინტერაქციისას ნასწავლი ენობრივი რესურსების (შესაბამისი ლექსიკის, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, მარტივი გრამატიკული საკითხების — ზმნის დრო, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა, დროსა და სივრცეში ორიენტირებისათვის საჭირო ენობრივი საშუალებები და ა.შ.) გამოყენება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად წაახალისოთ მოსწავლეები, შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვან და უპასუხონ შეკითხვებს; ნიმუშების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ მარტივ ყოფით სიმულაციურ სიტუაციებში, გაითამაშონ მარტივი დიალოგები და სხვა.

<u>წერის უნარის განვითარება:</u>

მოსწავლეთა წერის უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს მრავლად სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- გამოტოვებული ადგილების შევსება (სიტყვებში — ასოების, წინადადებებში სიტყვების, ტექსტებში — წინადადებების);
- კითხვარის, ანკეტის, ბარათისა, მინიგზამკვლევის და ა.შ. შევსება;
- კროსვორდის შევსება;
- წინადადებების დასრულება სხვადასხვა გზით (მაგ.: მოცემული ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის შერჩევით; კონტექსტით);
- მოდელის მიხედვით ახალი ტექსტის შედგენა;
- კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით, მსგავსი ტექსტის შედგენა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მოცემული დავალებები შესრულების თვალსაზრისით განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს და არ საჭიროებს დამატებით ახსნა- განმარტებებს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ:

1. დავალების შესრულებამდე, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით შესასრულებელი ამოცანის პირობა და მოცემული ლექსიკა;
2. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია, ჯერ ზეპირად შევასრულებინოთ მოსწავლეებს ეს დავალება და შემდეგ ვთხოვოთ მისი დაწერა;
3. დავალებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავაზუსტოდ წინმსწრებად, ესმით თუ არა მოსწავლეებს დავალებაში მოცემული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები და, საჭიროების შემთხვევაში, ვიმუშავოთ მათ გარშემო ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

<u>შეცდომების მოძებნა, დასახელება და გასწორება:</u>

ასეთი დავალებები ორი ტიპისაა: ერთი გულისხმობს ენობრივი შეცდომების გასწორებას, მეორე კი — შინაარსობრივს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტიპის აქტივობები ამოწმებს მოსწავლის ცოდნას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღებით ადევნოს თვალი მოსწავლეთა მუშაობის პროცესს.
ასეთი დავალებები ერთგვარ დიაგნოსტირების საშუალებასაც იძლევა — რამ შეიძლება განაპირობოს წარუმატებლობა. მოსწავლის მხრიდან არასწორი პასუხების მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ხასიათის, კერძოდ: ყურადღების გაფანტულობა, გადაღლა, ცუდად ყოფნა, ხელის შეშლა და ა.შ. სწორი დიაგნოსტირების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება, დაბალი ენობრივი კომპეტენციების შემთხვევაში კი გაზარდოს გავარჯიშების ფაზა, დაგეგმოს დამატებითი აქტივობები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

<u>უცნობი ტექსტის კითხვა:</u>

ამ ტიპის აქტივობების მიზანია მოსწავლეთა გავარჯიშება კითხვაში (კითხვის ტექნიკის დაუფლება) და მოსწავლეთა გაწაფულად კითხვის უნარის დიაგნოსტირება. ეს აქტივობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს, რამდენად ავტომატიზებულია მოსწავლეთა დეკოდირების უნარი, რამდენად აქვთ მათ განვითარებული კითხვის მოქნილობა.
შესაბამისად, მსგავსი აქტივობები მასწავლებელს დაეხმარება, განსაზღვროს, რა სახის პრობლემები აქვთ მოსწავლეებს კითხვაში იმისათვის, რომ სათანადოდ დაგეგმოს კითხვის სწავლების შემდგომი პროცესი. შესაძლებელია ამ აქტივობის შეთავაზება სხვადასხვა ვარიანტით.
მსგავსი აქტივობები შეგიძლიათ შეასრულებინოთ როგორც 6-7 წლის მოსწავლეებს, ისე უფროსი ასაკის დამწყებებსაც. მთავარია, რომ ტექსტის შედგენისას გაითვალისწინოთ, რომელი ასაკისათვის არის ის განკუთვნილი და ისე განსაზღვროთ მისი მოცულობა. გთავაზობთ ნიმუშებს.

პირველი ვარიანტი:
შესთავაზეთ მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი და ადვილად წასაკითხი სიტყვებისაგან შემდგარი ტექსტი, თუმცა სიტყვებ შორის მანძილი უნდა იყოს საკმაოდ არაბუნებრივი და არათანაბარი:

ეს ამბავი ერთ დიდ კარმიდამოში მოხდა, სადაც ბევრი სხვადასხვა შინაური ფრინველი ცხოვრობდა. შინაური იხვი საბუდარში, კვერცხებზე იჯდა და თავისი ჭუკების გამოჩეკას მოთმინებით ელოდა.
როგორც იქნა, ნანატრი დღე დადგა და კვერცხის ნაჭუჭების მსხვრევის ხმაც გაისმა. დედა იხვმა დაინახა, როგორ გამოყვეს თავი კვერცხებიდან პაწია ჭუკებმა.

აქტივობის პირველი ვარიანტის საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, სადაც სიტყვები გაფანტულადაა დაწერილი / დაბეჭდილი მიუხედავად იმისა, რომ მათი მნიშვნელობა მისთვის გასაგებია. თუ მოსწავლე სიტყვათა შორის ზედმეტი დაშორების გამო შეფერხებებით კითხულობს, აკეთებს პაუზებს, მასწავლებელს ექნება საფუძველი ივარაუდოს, რომ მოსწავლეს ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა კითხვის მოქნილობის დასახვეწად.

მეორე ვარიანტი:
შესთავაზეთ მოსწავლეებს ტექსტი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა მათთვის სრულიად უცნობი და გაუგებარია (შეგიძლიათ გამოიყენოთ რთული დარგობრივი ენით დაწერილი სამეცნიერო ნაშრომიც):

„წარმოიდგინეთ, ერთ დღეს გაიღვიძეთ და მიხვდით, რომ სინამდვილეში კომპიუტერული თამაშის რეალობაში ცხოვრობთ“ — აცხადებს მარკ ვან რაამსდონკი და აღწერს იმ ხმას, რომელიც სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმისთვის გამოდგება. თუმცა, ვანკუვერის ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის ფიზიკოსის — მარკ ვან რაამსდონკისთვის ეს სცენარი წარმოადგენს საშუალებას, რათა რეალობის შესახებ იფიქროს. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, როგორც იგი აცხადებს, ეს ჩვენს სამყაროს, თავისი სამი სივრცული განზომილებითურთ იმ სუბსტრატისგან პროექტირებულ ე.წ. ჰოლოგრამად აქცევს, რომელიც მხოლოდ გაცილებით დაბალ განზომილებებში არსებობს.

მეორე ვარიანტის საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, რომლის სიტყვების მნიშვნელობა და, შესაბამისად, შინაარსიც მას არ ესმის. მოქნილად კითხვისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს ავტომატურად და სწორად ამოიკითხოს მისთვის თუნდაც სრულიად უცხო და გაუგებარი სიტყვები.

ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ მხოლოდ თემის ძირითად კომუნიკაციურ და ენობრივ საკითხებს.

რაც შეეხება ცალკეულ დავალებებს, მათი აქ აღარ შევეხებით. საჭიროების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია ტიპური დავალებების თავში (გვ. 35). ცალკეულ შემთხვევებში (თუკი ამის საჭიროება იქნება), იქვე მოგაწვდით კონკრეტულ დავალებასთან დაკავშირებით დამატებით რეკომენდაციებს.

1. პირველი ნაწილი – (წინასაანბანო და საანბანო პერიოდი)

ვისწავლოთ წერა-კითხვა

საანბანო პერიოდის პრიორიტეტები:

- აქცენტირება პროდუცირებაზე;
- გამოთქმის კორექცია და ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერა-კითხვის უნარის დაუფლება;

<u>ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები</u> — არსებული ენობრივი ცოდნის გააქტიურება:

- წარდგენა/გაცნობა;
- საკუთარი თავისა და სხვისი, აგრეთვე საგნის და ა.შ. იდენტიფიცირება;
- დროსა და სივრცეში ორიენტირება;
- კუთვნილებისა და მარტივი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა;
- ადამიანის, საგნის, ცხოველის, გარემოს შედარებითი აღწერა-დახასიათება ნასწავლი / არსებული ენობრივი ცოდნის გამოყენებით;
- ყოველდღიურ საქმიანობებზე საუბარი;
- მოქმედების თანამიმდევრობის დაცვა.

გაცნობა — **ინტერაქცია ოჯახისა და ნათესავების გარშემო**

განახორციელეთ ინდივიდუალური ინტერაქცია თითოეულ მოსწავლესთან. მათთან დიალოგში გააააქტიურეთ მესამე პირიც (ვინ არის ეს / ის?).

ამის შემდეგ შესთავაზეთ სახალისო თამაშები, რაც დაგეხმარებათ როგორც გარემოსთან მათ ადაპტაციაში, ისე ერთმანეთთან დაახლოებაში:

მოსწავლეები სხდებიან წრეზე. ერთი მიესალმება დანარჩენებს, წარადგენს საკუთარ თავს (გამარჯობა, მე ვარ ...!) და გადადის სხვასთან (შენ ვინ ხარ?). ახლა ის მიესალმება სხვებს, წარადგენს თავს და ა.შ. ვიდრე ყველას არ მიეცემა მისალმების და წარდგენის საშუალება.
მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე თანაჯგუფელს (მაგ., 1 გოგოს და 1 ბიჭს). პრეზენტატორი ფურცელზე დააწებებს საკუთარ სურათს (ან დახატავს) და ასევე ხატავს შერჩეულ თანაჯგუფელებს. აფორმებს და წარადგენს საკუთარ თავს კლასის წინაშე ზეპირად. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით.

იმუშავეთ მოსწავლეებთან საოჯახო ფოტოსურათის (ან სხვა სურათების), ან საოჯახო სქემის დახმარებით.

სასურველია, საოჯახო სქემა (იგივე გენეალოგიური ხე) წინასწარ მოამზადოთ დიდ ფორმატზე (რომ ყველას თავისუფლად შეეძლოს დანახვა), რომელზედაც მიაკრავთ სურათებს (ამისათვის შესაძლებელია, გამოიყენოთ ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები. მთავარია, რომ იყოს სამი თაობა). სურათების ქვეშ მიამაგრეთ სტიკერები, რომლებზედაც ეწერება, ვინ არიან — დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა (და-ძმის რაოდენობა განსაზღვრეთ თავად). დაარქვან სახელები, მიუთითონ ასაკი და პროფესია და გააცნონ ერთმანეთს.

მსგავსი საოჯახო სქემის მომზადება შეიძლება საკუთარ ოჯახთან მიმართებაშიც.

სქემის გამოყენებით ასევე შეგიძლიათ ასაუბროთ მოსწავლეები ნათესავების, მეგობრებისა და კლასელების შესახებაც.



მსგავსი სქემების მომზადება შესაძლებელია ნებისმიერი სასაუბრო თემისათვის, მაგალითად:

სქემა — **ჩემი სკოლა**



შესაძლებელია **„მრგვალი მაგიდის“** მოწყობაც (ასეთ შემთხვევაში კარგი იქნება, თუკი მოსწავლეთა პრეზენტაციები, მათი სურვილისამებრ, გაფორმებული იქნება შესაბამისი ფოტომასალითაც.

რეკომენდაცია: საკუთარ თავზე საუბრისას გააააქტიურებინეთ **დავდივარ** (წასვლა) / **მივდივარ** (სიარული) ზმნებს შორის შინაარსობრივი და ფორმობლივი სხვაობა.

6-9 ასაკის მოსწავლეებისათვის შინაარსობრივი სხვაობის გააზრება სრულიად საკმარისია. რაც შეეხება უფრო მაღალი ასაკის მოსწავლეები, შინაარსობრივი განსხვავებებთან ერთად დააკვირვეთ ზმნურ ფორმებზე — მივდივარ/დავდივარ დ აჩვენეთ მათ შორის არსებული ფორმობლივი განსხვავებაც (**მი** / **და**).

<u>საკომუნიკაციო თემები სათანადო კლიშეებისა და ენობრივი კონსტრუქციების გათვალისწინებით:</u>

აქვე საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ საკომუნიკაციო თემების ნიმუშებს სათანადო შეკითხვებისა და სათანადო კლიშეებისა და ენობრივი კონსტრუქციების გათვალისწინებით ენის ფლობის I დონეზე. შესაბამისად, სწავლების საწყის ეტაპზე (საანბანო პერიოდში) მოცემული მასალა გამოგადგებათ არა მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციისათვის საჭირო თემების განსაზღვრაში, არამედ დიაგნოსტირებისთვისაც — მოსწავლეთა ენობრივი ხარვეზების გამოსავლენად.

	შეკითხვები	ენობრივი კონსტრუქციები
ვინაობა	რა გქვია? ვინ ხარ? როდის დაიბადე და სად?	მე მქვია... /მე ვარ... დავიბადე ...წელ-ს/თვე-ში/... თვე-ს; თბილის-ში
ასაკი	რამდენი წლის ხარ?	ვარ. . . . წლის
საცხოვრებელი ადგილი	სად ცხოვრობ?	ვცხოვრობ . . . -ში
ოჯახური მდგომარეობა	ვინ გყავს ოჯახში? ვისთან ერთად ცხოვრობ?	მყავს. . . . ვცხოვრობ . . . თან ერთად
საქმიანობა	სად სწავლობ? რომელ კლასში სწავლობ? რომელი კლასის მოსწავლე ხარ? რომელ კლასში სწავლობს შენი და/ძმა? სად მუშაობს ...? ვინ არის ...?...	ვსწავლობ ...-ში / ვარ ... -ის მოსწავლე; ჩემი ძმა სწავლობს ... მუშაობს ...-ში / არის ...
ჩემი სკოლა	სად არის შენი სკოლა/კლასი? რომელ სართულზეა შენი კლასი? როგორია შენი სკოლა/კლასი? რა აქვს შენს სკოლას/კლასს?...	არის ...-ის ცენტრში / ...-ის ახლოს, წინ, გვერდით, მარჯვნივ, უკან... არის დიდი / ნათელი / ორსართულიანი... სკოლას/კლასს აქვს ...
ჩემი სახლი/ბინა	სად არის შენი სახლი? რამდენსართულიანია? მერამდენე სართულზე ცხოვრობ? რამდენი ოთახი აქვს შენს სახლს? (დაასახელე ისინი) სად არის ... ოთახი? როგორია შენი სახლი/ოთახები?...	არის ...-ის წინ / გვერდით / მარჯვნივ / მარცხნივ /უკან / მაღლა... არის სამსართულიანი /-იანია ვცხოვრობ მესამე სართულზე ჩემს სახლს/ოთახს აქვს დიდი აივანი... ჩემი სახლი/ოთახი არის...
ინტერესები	რას სწავლობ? რაზე დადიხარ? რომელი საგნები გიყვარს/არ გიყვარს?	დავდივარ ...-ზე; ვსწავლობ ...-ს; მიყვარს + საწყისი (ხატვა, ცეკვა...)
არდადეგები	სად ვისთან ერთად ატარებ არდადეგებს? სად/ვისთან / ვისთან ერთად მიდიხარ არდადეგებზე? როგორ ატარებ იქ დროს?...	არდადეგებს ვატარებ . . .-ში, . . .-თან; ...-ში (მთაში) / ...-ზე (ზღვაზე) მივდივარ ...- თან ერთად; მხიარულად ვატარებ
ჩემი გარდერობი	რას იცვამ/არ იცვამ ხშირად, იშვიათად... რომელი (როგორი) ჩასაცმელი გიყვარს/არ გიყვარს/მოგწონს/არ მოგწონს? რატომ არ გიყვარს? სად ყიდულობ ...-ს?	ვიცვამ კაბას / მაცვია კაბა მიყვარს/არ მიყვარს ...-ის ტარება მიყვარს ..., მაგრამ არ მომწონს ... მაქვს წითელი ფერის ... ვყიდულობ ...-ში
ჩემი ერთი დღე	რომელ საათზე ...? როდის ...? რას აკეთებ ... -ის შემდეგ? ... საათზე? / შუადღისას?. .	ვდგები ... საათზე/დილით...; ... საათის/გაკვეთილის შემდეგ ვსწავლობ ქართულს / მივდივარ ...-ზე/ში

თავისუფალი დრო	ვისთან ერთად / როგორ ატარებ თავისუფალ დროს? რას აკეთებ თავისუფალ დროს? სად მიდიხარ თავისუფალ დროს?	თავისუფალ დროს ვარ . . .-ში/-თან ერთად მივდივარ . . .-ში/-ზე/-თან . . .-ის შემდეგ ვთამაშობ . . . დს / ვსაუბრობთ . . . დის შესახებ
ჩემი მეგობრები	რა ჰქვია შენს მეგობარს? როგორია ის გარეგნობით/ხასიათით? როგორი ხასიათი/გარეგნობა / თმა... აქვს? ...	ჰქვია ... გარეგნობით/ხასიათით არის ... აქვს კარგი (ცუდი) ხასიათი...

ასო-ბგერებზე მუშაობა:

ვისწავლოთ ხმოვნები:

რეკომენდაცია: წინასწარ დაწერეთ მოსწავლეების სახელები დიდ ქაღალდზე, რომ შეეძლოთ მათზე მუდმივად დაკვირვება (მარიამი, ნიკა, მარი, გიორგი, ლუკა, თომა...).

ასევე ჩაიწერეთ მათი ოჯახის წევრების სახელები, რომლებსაც გამოიყენებთ როგორც რესურსს ხმოვნებზე სამუშაოდ.

მუშაობის ეტაპები:

პირველი ეტაპი:

1. მიუთითეთ ვიზუალურად და დაასახელეთ ჯერ ერთი ხმოვანი (ა), გაიმეორეთ ნელა და გარკვევით და სთხოვეთ მოსწავლეებს, მათაც გაიმეორონ. შემდეგ გადადით მეორეზე (ი).
2. გაამთლიანეთ ხმოვნები: აი ია (თან მიუთითეთ ვიზუალურად). გაამეორებინეთ მოსწავლეებსაც.
3. მსგავსად შემოდის დანარჩენი ხმოვნებიც: ე — აი / ეი და ა.შ.

გასავარჯიშებლად:

- დაასახელეთ ხმოვანი და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;
- მიუთითეთ კონკრეტულ ასოს და მოსწავლეებმა უნდა გაახმოვანონ;
- მიუთითეთ კონკრეტულ ხმოვანს და გაახმოვანეთ სხვა. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ თქვენს შეცდომას და გაასწორონ.

ამის შემდეგ დაუბრუნდით ცალკეულ ხმოვანს და იმუშავეთ მის გამოწერაზე.

1. დააკვირვეთ ბადის სტრუქტურაზე — ოთხხაზოვანი პრინციპი; რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ასეთი განლაგების არსი;
2. აჩვენეთ ბადეში ამ ასოების (ხმოვნების) განლაგება. რომელი ხმოვანი რამდენ ხაზზე იწერება და რომელია ეს ხაზები.

3. დასვით შეკითხვები უკეთ დასაკვირვებლად: რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს საერთო? და ა.შ.
4. ყურადღება გაამახვილებინეთ ასოთა მოხაზულობაზე — საიდან ვიწყებთ და სად ვამთავრებთ ასოს წერას; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

<u>ამის შემდეგ შეასრულებინეთ წიგნში მოცემული დავალებები.</u>

გადადით მათ საკუთარ სახელებზე, მოაძებნინეთ სახელებში ხმოვნები და დაასახელებინეთ.

რეკომენდაცია: კარგი იქნება, თუ მისცემთ ბადიან რვეულში წინასწარ ჩაწერილ მოსწავლეთა სახელებს ხმოვნების გარეშე და სთხოვთ მათ შევსებას. ნიმუშად დაფაზე ჩამოკიდეთ ეს სახელები, რომ შეძლონ მათზე დაკვირვება — რომელ ხაზში უნდა დაწერონ, საიდან დაიწყონ, რა მიმართულებით წავიდნენ და ა.შ.

<u>მეორე ეტაპი:</u>

ამის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეთ ახალი ოთხხაზოვანი ბადიანი ფურცლები და ამუშავეთ ისინი ასოების გამოწერაზე მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად (იხ. მოსწავლისათვის განკუთვნილი სამუშაო მასალა):
კარგი იქნება, თუკი ცალკე გექნებათ მომზადებული ცარიელი ბადე ფორმატზე (ან წინასწარ დახაზავთ მას დაფაზე). სანიმუშოდ რამდენჯერმე გამოიყვანეთ ასო დაფაზე. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, იმუშაონ კალიგრაფიის რვეულში.

შენიშვნა: კალიგრაფიის რვეულში მუშაობას კლასში მხოლოდ გარკვეული დრო დაუთმეთ. თითო ასოსათვის გამოაწერინეთ მხოლოდ თითო ხაზი. კალიგრაფიის რვეულის ძირითადი სამუშაო დაავალეთ სახლში შესასრულებლად. მომდევნო გაკვეთილზე შეამოწმეთ რვეულები და, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალურად მიეცით მათ ესა თუ ის მითითება. კალიგრაფიის რვეული მოსწავლეების დამოუკიდებლად სამუშაო რვეულია.

ასოთა მოხაზულობაზე მუშაობას გარკვეული დრო დაუთმეთ ყოველ გაკვეთილზე იმისათვის, რომ აჩვენოთ, როგორ იწერება ესა თუ ის ასო. რაც შეეხება ამ კუთხით ვარჯიშს, კალიგრაფიის რვეულში მუშაობა, ძირითადად, სახლში უნდა მოხდეს.

ვისწავლოთ თანხმოვნები:

გაითვალისწინეთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია ხმოვნებზე სამუშაოდ. დამატებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც, კერძოდ, ხმოვნებისაგან განსხვავებით, თანხმოვნების სწავლებისას შემოდის ორი მნიშვნელოვანი აქტივობა:

- ➢ კონკრეტულ თანხოვანზე მიბმულია მოსასმენი ენის გასატეხი, რომელიც თავდაპირველად უნდა წაიკითხოთ ნელა და შემდეგ სწრაფად.

მოსწავლე ისმენს ენის გასატეხის ნელ ვარიანტს და ასახელებს, რომელი ასო ესმის ყველაზე ხშირად. რამდენჯერმე გაუმეორეთ ნელა და გარკვევით და სთხოვეთ, გაიმე-

ороს. ენის გასატეხის ათვისების შემდეგ შესთავაზეთ სწრაფი ვარიანტი და სთხოვეთ, შეეცადონ თავადაც სწრაფად გამეორებას.

- კალიგრაფიის რვეულში მოცემულია ეს ენის გასატეხები. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ მითითებული, ხშირად გამეორებული ასო ამ ენის გასატეხში და გააფერადონ.

რეკომენდაცია: ენის გასატეხის სიგრძე შეამოკლეთ მოსწავლის სმენითი მეხსიერებისა და იმპრესიული მეტყველების მოცულობის გათვალისწინებით, მაგ., თუ ოთხხაზიანი ენის გასატეხის გამეორება უჭირს, შეამოკლეთ ის.
ერთბაშად ყველა ენის გასატეხს ნუ ასწავლით. შეგიძლიათ გაკვეთილის განმავლობაში დაუბრუნდეთ ხოლმე ენის გასატეხებს, დაუთმეთ 2-3 წუთი და შემდეგ ისევ გააგრძელეთ მუშაობა. ეს ერთგვარი შესვენებაც იქნება მოსწავლეებისათვის და სახალისო აქტივობაც, რომელიც განწყობას ა უმაღლებთ.

მნიშვნელოვანია, ამ აქტივობების შესრულებისას დაიცვათ მითითებული თანმიმდევრულობა:

1. ჯერ ხდება წიგნში მოცემულ ბადიან ნაწილში არსებულ ასოებზე დაკვირვება ხმოვნებთან აღწერილი წესით;
2. შემდეგ შესაბამისი ენის გასატეხების მოსმენა და ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით;
3. სამუშაო რვეულში მოცემულ ენის გასატეხებში მითითებული ასოს მოძებნა და გაფერადება;
4. კალიგრაფიის რვეულში მუშაობა.

იმუშავეთ წიგნში მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

შენიშვნა: მსგავსი პრინციპით დამუშავდება დანარჩენი ასო-ბგერებიც.

რეკომენდაცია: გამოაწერინეთ ჯერ ცალკეული ასოები და შემდეგ გადადით ნასწავლი ასოებისაგან შემდგარ მარტივ სიტყვებზე.

<u>სიტყვების აწყობა მოძრავი ანბანით:</u>

მოძრავი ანბანის გაკეთება — სასურველია მის შექმნაში თავად მოსწავლეებს (განსაკუთრებით 6-7 წლის ასაკის ბავშვებს) მიაღებინოთ მონაწილეობა. ეტაპობრივად (როგორც ამას სახელმძღვანელო ითვალისწინებს) დაახატინეთ მათ ნასწავლი ასოები, გააფერადებინეთ და გამოაწერინეთ. მოამზადეთ რესურსი, რომელსაც მუდმივად გამოიყენებთ წერა-კითხვის დაუფლების პროცესში.
ასევე გააკეთებინეთ სასვენი ნიშნებიც (წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი), რომელთაც გამოიყენებთ საჭიროებისამებრ.
ასოების გამოყენებით ააწყობინეთ სიტყვები და მარტივი წინადადებები მოსწავლეებს. შეგიძლიათ ამ აქტივობას თამაშის / შეჯიბრის სახეც მისცეთ და გამოიყენოთ განტვირთვის დროს.

მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის / წინადადების შემოწმება — მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, ყველას ერთად შეამოწმებინეთ შემდეგი პარამეტრებით:

ა) არის თუ არა დაცული შუალედი სიტყვებ შორის?
ბ) სიტყვაში ასოები სწორად არის თუ არა ჩასმული?
გ) ქვედა და ზედა ასოები სწორად არის თუ არა განაწილებული ხაზზე?
დ) დასმულია თუ არა სასვენი ნიშნები?

რეკომენდაცია! იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც ძალიან უჭირთ კითხვა და ანბანის შემდგომ პერიოდშიც საჭიროებენ დამატებით მუშაობას, ეს რესურსი განსაკუთრებით გამოგადგებათ. როცა სხვები დამოუკიდებლად მუშაობენ და ასრულებენ ისეთ დავალებას, რომელიც რთულია კონკრეტული მოსწავლისთვის (ვინაიდან ჯერ კიდევ არ აქვს დაძლეული კითხვის პრობლემა), ამუშავეთ მოძრავი ანბანით.

ენობრივი საკითხები:
(წინარე ენობრივი ცოდნის შემოწმება და გააქტიურება)

საანბანო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ენობრივი ცოდნის გააქტიურებას, რომელიც უნდა ჰქონდეთ ამ ენის ფლობის დონეზე მოსწავლეებს. შესაბამისად, ამ პერიოდში ნებისმიერი ზეპირი კომუნიკაცია, რომელსაც მათ შევთავაზებთ, თავისთავად დიაგნოსტიკური ხასიათისაც უნდა იყოს — გამოვავლინოთ მოსწავლეთა ენობრივი ხარვეზები და დამატებით ვიმუშაოთ მათ გამოსასწორებლად. ამისათვის სასურველია, მივმართოთ **სახალისო აქტივობებს** (მით უფრო 6-7 წლის მოსწავლეებთან). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მივმართოთ ენობრივ სავარჯიშოებსაც.

გთავაზობთ შესაბამისი აქტივობების ნიმუშებს კონკრეტულ ენობრივ საკითხებთან მიმართებაში:

კუთვნილებითობის გამოხატვა: ვისი? — ჩემი, გიორგის, თეასი...

ა) <u>ვისია, ვისია?</u> — აიღეთ სხვადასხვა მოსწავლის ნივთი (მათ შორის, შეგიძლიათ, გამოიყენოთ საკუთარი ნივთიც) და ჩაყარეთ ყუთში. ამოიღეთ ჯერ ერთი, აჩვენეთ მოსწავლეებს და იკითხეთ — ვისია? ნივთის პატრონმა უნდა თქვას — ჩემი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე იტყვის მე, უსწორებთ და ამეორებინებთ. შემდეგ რამდენჯერმე ამოიღეთ მისი ნივთი, რომ მოსწავლემ თავისით თქვას — ჩემი.

ბ) გამოიცანით, ვისია? მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ყუთიდან ამოღებული ყველა ნივთი და დაასახელონ ვისია. შეგიძლიათ უთხრათ, რომ მხოლოდ ნაცვალსახელები თქვან (ჩემია, შენია, მისია) და პარალელურად მიუთითონ ჟესტიკულაციით, ან გამოიყენონ სახელიც (ეკასია, გიროგისია...).

მაქვს / **მყავს** ზმნების ფუნქციური გამოყენება.

ა) მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ეს ზმნები და ისე აღწერონ ჩაფიქრებული სიტყვები, რომლებსაც სხვები გამოიცნობენ. სასურველია, პირველ ეტაპზე მიმართოთ მოდელირების სტრატეგიას და თქვენ თავად განახორციელოთ ჯერ ეს აქტივობა, მაგ:

- აქვს ბიჭსაც და გოგოსაც, ქალსაც და კაცსაც. არის სხვადასხვა ფერის, სიგრძის. მოხუცებს ეს აქვთ თეთრი (თმა);
- არის სხვადასხვა ფერის. ზოგს ჰყავს ეს და ზოგს — არა. მე მყავს. ის წითელი ფერისაა. ამით ადამიანები დადიან (გადაადგილდებიან) ქალაქში (მანქანა).
- ცხოველია. აქვს გრძელი ფუმფულა კუდი. მე მყავს ეს ცხოველი სახლში. ამ ცხოველს უყვარს რძე (კატა). საჭიროებისამებრ, ვაგრძელებთ ახსნას — მის შვილს (ნაშიერს) ჰქვია კნუტი...
- და ა.შ.

ბ) ამბობთ: მე მაქვს (ან მყავს) და ასახელებთ სიტყვებს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ არასწორად დასახელებული სიტყვები და დაასახელონ, მაგალითად:

- მე მყავს: დედა, და, მეგობარი, ძაღლი, საათი, თუთიყუში, ფეხსაცმელი და ა.შ.
- მე მაქვს: სახლი, ძაღლი, ჩანთა, მანქანა, წიგნი, ჭიქა და ა.შ.

სივრცეში ორიენტირება:

- დაახატინეთ ოთახის ინტერიერები და გამოიყენეთ როგორც რესურსი. შეადარებინებთ ერთმანეთის ნახატები — ვის ნახატზე სად რა დგას, რა დევს და რა კიდია კედელზე.
- შეგიძლიათ დაახატინოთ კარნახითაც: ერთ შემთხვევაში, კარნახობთ თქვენ, მეორე შემთხვევაში — ერთმანეთს. მეორე ვარიანტის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოსწავლეები დააწყვილოთ განსხვავებული ასაკის მიხედვითაც (უფროსების კარნახით ხატავენ პატარები).
- ვინ სად ზის? — ერთ-ერთი მოსწავლე ერთი წუთის (ან უფრო ნაკლებიც. ეს დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე) განმავლობაში იმახსოვრებს, რომელი თანაჯგუფელი სად ზის (მაგ., თომას გვერდით, ფანჯარასთან, ნინოს უკან ...). შემდეგ ხუჭავს თვალებს ან დგება ზურგით და ასახელებს. შემდეგი მოსწავლის დროს იცვლება განლაგება.
- რა სად დევს / დგას? — თამაშის პრინციპი იგივეა.
- მოსწავლეები განალაგეთ ოთახში სხვადასხვა ადგილას. შემდეგ აღწერეთ ერთ-ერთი და დაასახელეთ, სად არის. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ (მაგ., არის მაღალი, დგას კარების მარჯვნივ; არის დაბალი, დგას კარადის წინ; არის გამხდარი და შავთმიანი და დგას ფანჯრის გვერდით). გაართულეთ საგნების / ნივთების შემოტანით: არის პატარა და მრგვალი, დევს მერხზე. ეს მერხი დგას ჩემი მაგიდის წინ და ა.შ. შემდეგ ერთი მოსწავლე ასახელებს და სხვებმა უნდა გამოიცნონ და ა.შ.

დროში ორიენტირება: რომელი საათია? როდის? რომელ საათზე? როდიდან რო-დემდე? რომელი საათიდან რომელ საათამდე?

- ასაუბრეთ, რას აკეთებენ ისინი კვირის ერთ ჩვეულებრივ დღეს? შაბათ-კვი-რას?
- შეადარებინეთ შაბათი ან კვირა ნებისმიერ სხვა დღესთან — როდის / რომელ საათზე რას აკეთებს...
- გამოიყენეთ გაკვეთილების ცხრილი და ჰკითხეთ, რომელ საათზე იწყება / მთავრდება პირველი, მეორე, მესამე და ა. შ გაკვეთილები.
- შეადგინეთ ერთი დღის სატელევიზიო პროგრამა და დაუსვით მის გარშემო შე-კითხვები (რომელ საათზე იწყება ფილმი? რა იწყება ცხრას რომ აკლია 15 წუ-თი? და ა.შ.)

8.00 — მულტფილმები
8.45 — ცხოველთა სამყაროში
3.30 — ზოოპარკში
5.20 — სპორტი
6.00 — ფილმი და ა.შ.

საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ სქემები და დააკვირვეთ მოსწავლეები შესაბამის ენობ-რივ მექანიზმზე. გთავაზობთ სქემებს:



რომელ ...? = აკონკრეტებს დროის მონაკვეთს:



როდიდან? — მიუთითებს მოქმედების დაწყების საწყის დროს:



შედარების გამოხატვა:

ამისათვის უნდა გამოიყენოთ მინიმუმ ორი ობიექტი, რომელსაც შეადარებენ მოსწავლეები (ფოტოები, ნივთები, ერთმანეთი ...)

ა) ...-**ზე დიდი / პატარა** ...

გაახსენეთ მოსწავლეებს ეს ენობრივი კონსტრუქცია. საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ სახალისო აქტივობები ამ კონსტრუქციის გამოყენებით;

- შეადარეთ მოსწავლეები ერთმანეთს ხან სწორად, ხან შეცდომით: — დიტო ნიკოზე მაღალია / დაბალია / შავთმიანია და ა. შ. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ შეცდომებს და გაასწორონ.
- საგნების შესადარებლად გამოიყენეთ კლასში არსებული რესურსები. მაგ., ეს წითელი ფანქარი შავ ფანქარზე ლურჯია; მაგიდა სკამზე დიდია. კარადა მაგიდაზე უფრო მაღალია და ა.შ.
- ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ წიგნის ან სხვა ნებისმიერი ილუსტრაციები და შეადარებინოთ მათზე გამოსახული ადამიანები, ცხოველები, ნივთები ერთმანეთს.

მოცემული ენობრივი კონსტრუქციის გასააქტიურებლად მონიშნეთ კალენდარზე რამდენიმე მოსწავლის დაბადების დღე და ყველას დაუსვით შეკითხვები:

- ვინ რამდენი დღით / კვირით / თვით უფროსი თუ უმცროსია (მაგ., რამდენი დღით უფროსია ნარგიზი ლეილაზე? რამდენი კვირით უმცროსია არჩილი დათოზე? ვინ არის 2 თვით უფროსი ნინოზე? ვინ არის 1 კვირით უმცროსი მურადზე? და ა.შ.)
- დაავალეთ მეწყვილეებს, დაადგინონ რამდენი წლით უფროსი თუ უმცროსია მისი მეწყვილე თავის და-ძმაზე.

გ) ...-**სავით როგორი?** — ჩემსავით, ნიკასავით, მზესავით...

საჭიროებისამებრ, გაახსენეთ ენობრივი კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენება ორი ადამიანის ან ცხოველის / ნივთის ერთმანეთთან შედარებისას. საჭიროებისამებრ, თვალსაჩინოებისათვის დაწერეთ წინადადებები დაფაზე და დააკვირვეთ მათზე:

- <u>ადამიანები შეიძლება იყვნენ ერთმანეთის მსგავსნი:</u>
  - ზაზა ნიკასავით პატარაა (ისეთია, როგორიც — ნიკა. ე.ი. ორივე პატარები არიან).
  - ნიკა ჩემსავით ცნობისმოყვარეა (ისეთია, როგორიც დ მე. ე.ი. ორივე ცნობისმოყვარეები ვართ).
- <u>ან შეიძლება იყვნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულნი</u> — ერთი მეორესთან შედარებით რაღაცით მეტი ან ნაკლებია:
  - ზაზა ნიკაზე (უფრო) მაღალია.
  - ნიკა ჩემზე (უფრო) კარგად წერს.
  - ჩემი ძმა ჩემზე პატარაა.
  - ნიკა ჩემზე ცუდად წერს.

სახელთა წარმოება: -იანი (აქვს შავი თმა / არის შავთმიანი...)

კვლავ ცნობილი მარტივი თამაში — <u>გამოიცანი, ვინ არის</u>. თამაში დაიწყეთ თქვენ. ჩაიფიქრეთ ერთ-ერთი მოსწავლე, აღწერეთ და მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ვინ არის. მაგალითად: არის მაღალი და შავთმიანი, აქვს გრძელი თმა და ლურჯი თვალები. საჭიროებისამებრ, დაამატეთ ბიჭია თუ გოგო. დასვით მსგავსი ტიპის შეკითხვები:

- ვინ არის კლასში სათვალიანი? ქუდიანი? საათიანი? ტელეფონიანი? დიდჩანთიანი? ...
- ვინ არის შავთმიანი? გრძელთმიანი? ლურჯთვალა?
- ვის აქვს სათვალე? გრძელი თმა? დიდი ჩანთა? და ა.შ.

ჰკითხეთ მათ უახლოეს გარემოცვაზე (ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, კლასელებზე):

- ვის ჰყავს ულვაშიანი / წვერიანი ბაბუა, მამა, ბიძა?
- ვის ჰყავს სათვალიანი ბებია ...?
- ვისი ბებიაა თეთრთმიანი? და ა.შ.

მოსწავლეებიც ჩართეთ არა მხოლოდ გამოცნობის, არამედ აღწერის პროცესშიც.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ. 28, 1 — შეავსეთ კროსვორდი და წაიკითხეთ, რა მიიღეთ გამუქებულ უჯრებში.

შესაძლებელია, მოსწავლეებს გაუჭირდეთ ფოტოების მიხედვით ქალაქების იდენტიფიცირება (რომელია თბილისი და რომელი — ქუთაისი). მთავარია, მათ დაასახელონ, რომელია იმერეთის მთავარი ქალაქი, საქართველოს დედაქალაქი და ა.შ.). საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მათ (პასუხები იხ. გზამკვლევის ბოლოს).

ცარიელ რგოლებში იწერება მხოლოდ შესაბამისი ციფრები. რაც შეეხება თავად დასახელებებს (ვარძია, ფიროსმანი, უშგული, ჯიხვი და ა.შ.), ისინი უნდა ჩაიწეროს მომდევნო დავალებაში — კროსვორდში.

სოციოკულტურული ცოდნის განმტკიცების მიზნით, შეგიძლიათ, მოსწავლეებს ამ აქტივობაზე დაყრდნობით შესთავაზოთ ასეთი დავალება: შეადგინეთ წინადადებები და გადაწერეთ რვეულში. პირველი წინადადება ნიმუშის სახით შეადგინეთ ხმამაღლა მოსწავლეების თანამონაწილეობით, მაგალითად: ქუთაისი იმერეთის მთავარი ქალაქია.

გვ. 30-31 — წავიკითხოთ და გავიაზროთ. **ობობა და მისი ქსელი:**

უცხო ლექსიკის შემთხვევაში, პირდაპირ ნუ გადაუთარგმნით მოსწავლეებს. დააკვირვეთ კონტექსტზე; მიმართეთ ნახატს (მაგ., ქსელის შემთხვევაში), მაგალიათად: დააკვირდით ნახატს. ეს სიტყვა — ობობას ქსელი არის ნახატზე. საჭიროების შემთხვევაში, გააგრძელეთ მისი ახსნა — არის მრგვალი, თეთრი ფერის ბადე. ზედ ზის ობობა.
დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეები მიაბრუნეთ ტექსტთან და სთხოვეთ, დაასახელონ ცალკეული აბზაცის ძირითადი სათქმელი — ანუ, რაზე, რის შესახებ არის საუბარი კონკრეტულ აბზაცში (1. ფიზიკური მონაცემები, გარეგნობა; 2. საკვები / რით იკვებებიან? 3. ქსელის დანიშნულება — რისთვის იყენებს ობობა ქსელს?). შეგიძლიათ, ამუშაოთ ყველა ერთად სამივე აბზაცზე, ან კონკრეტულ მოსწავლეს მისცეთ კონკრეტული აბზაცი და ბოლოს შეაჯამეთ ერთად.

რეკომენდაცია: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმუშავოთ ნებისმიერი ტექსტისა თუ აბზაცის მთავარ თემასა თუ ძირითად სათქმელზე. შედარებით პატარა ასაკის მოსწავლეებს საამისოდ შეურჩიეთ შედარებით მარტივი მონაკვეთები. ამ შემთხვევაში, ეს ტექსტი (ობობა და მისი ქსელი) მარტივია და 6-7 წლის მოსწავლეთა შესაძლებლობებს შეესაბამება.

გვ. 32 — მოხდენილი პასუხი:

ყურადღება მიაქცევინეთ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებზე კითხვების დახმარებით, ოღონდ რთულ რიცხვებს ამ ეტაპზე ნუ შეეხებით.

<u>შეკითხვების ნიმუშები:</u> რა მოხდა 27 დეკემბერს? სად დაიბადა იაკობ გოგებაშვილი? რა დაწერა იაკობ გოგებაშვილმა? ... რომელია „მასწავლებლის“ სინონიმი (მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა)?

2. მეორე ნაწილი – (ანბანის შემდგომი პერიოდი)

ზოგადი განმარტებები:

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ თემების აღწერისას დეტალურად აღარ გავყვებით თითოეული აქტივობის აღწერას. აქტივობის ტიპიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია ტიპური დავალებების თავში (გვ. 35).

საკითხავი დავალებების შესრულებისას დაიცავით შემდეგი პრინციპი:

- საჭიროებისამებრ, ერთი-ორი ნიმუში გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად;
- დასმული საკითხავი ამოცანის გადასაჭრელად მოსწავლებს ჩუმად წააკითხეთ დავალების წინადადებები და ამუშავეთ დამოუკიდებლად;
- შეამოწმეთ პასუხები;
- ამის შემდეგ მოსწავლეები ავარჯიშეთ ხმამაღალ კითხვაში;

რეკომენდაცია!

1. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად კონკრეტული მინიშნებებით ან წინასწარ მიეცით კონკრეტული საყრდენები.

2. იმ მოსწავლეებს, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ პრობლემები კითხვაში, ან უჭირთ ამგვარი დავალებების შესრულება, ვიდრე სხვები მუშაობენ, მათთან დამატებით იმუშავეთ კითხვის უნარების განვითარებაზე. შეასრულებინეთ მარტივი საკითხავი დავალებები იმავე ტექსტის გამოყენებით.

მსგავსი სტრატეგიები გამოიყენეთ სხვა ტექსტებთან და საკითხავ დავალებებთან მიმართებაშიც!

ნაკლული ტექსტის შევსება: პირველ რიგში, გააცანით ტექსტში ჩასასმელი სიტყვები მოსწავლეებს და დარწმუნდით, რომ ყველას ესმის მათი მნიშვნელობა. ამის შემდეგ შეასრულებინეთ დავალება. შეეცადეთ, რომ მოსწავლეებმა თქვენი ჩარევის გარეშე შეასრულონ დავალება. შეგიძლიათ ამუშავოთ ისინი წყვილებში. დაეხმარეთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

რაც შეეხება **ენობრივ საკითხებს**, სახელმძღვანელოში საკმარისად არის წარმოდგენილი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენობრივი ცოდნის ათვისებას. მთავარია, თანმიმდევრულად შეასრულებინოთ ისინი მოსწავლეებს.
აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ამა თუ იმ საკითხის არსებით მხარეებზე. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მოგაწვდით საკითხზე მუშაობის თანმიმდევრულ დინამიკას თავისი რეკომენდაციებითა და განმარტებებით, ასევე დამატებითი აქტივობების პაკეტით.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გააააქტიურეთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება; **რა იცით მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ?** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები: სად მიდის მზე ღამით? სად არიან მთვარე და ვარსკვლავები დღისით? გინახავთ ცა ღამით? დაგითვლიათ ვარსკვლავები ცაზე? რამდენი ვარსკვლავია? ხშირად უყურებთ ცას ღამით?

<u>დამატებითი აქტივობა 1:</u>
გაახსენეთ ან წაუკითხეთ ქართული ხალხური ლექსი — „მზე დედაა ჩემი...“ და დასვით კითხვა: ვინ არიან ლექსის მიხედვით მზე და მთვარე. მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართულ მითებში ქალი ყოველთვის მზეა, მთვარე კი მამაკაცია. ასწავლეთ ხალხური **ლექსი** — „მზე დედაა ჩემი...“ მოასმენინეთ სიმღერა. შესაძლებელია, ასწავლოთ მოსწავლეებს ეს მელოდიაც და შემდეგ ამღეროთ.

<u>დამატებითი აქტივობა 2:</u>
როგორია ცა წელიწადის სხვადასხვა დროს? შეგიძლიათ დაახატინოთ და შემდეგ მათზე ასაუბროთ.
<u>აქცენტი გადაიტანეთ მთვარეზე:</u> როგორი მთვარე გახსოვთ ყველაზე ხშირად — სავსე, ნახევარმთვარე თუ ნამგალა? რატომ იცვლის მთვარე ფორმებს? (მთვარის ფორმებზე საუბრისას, სასურველია, გამოიყენოთ ვიზუალური მასალაც) — რატომ არის ის ხან მრგვალი, ხან რკალისებური (ნამგალა), ხანაც — ნახევრად წრიული?

სავსე მთვარე

ნახევარმთვარე

ნამგალა მთვარე

პასუხების შემდეგ აჩვენეთ მოსწავლეებს წინასწარ მოძიებული ფოტომასალა და მიაწოდეთ მარტივი ინფორმაცია, მაგ., *მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს. მზე არა მხოლოდ დედამიწას, არამედ მთვარესაც ანათებს. როცა მზე მთლიანად ანათებს მთვარეს, მაშინ ჩვენ სავსე მთვარეს ვხედავთ, როცა მთვარის რკალივით ვიწრო ნაწილს ანათებს, მაშინ ნამგალა მთვარეს ვხედავთ* (შესაძლებელია, ინტერნეტიდან ვიდეომასალის მოძიება და ჩვენებაც).

მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს. ამიტომაც ვხედავთ მას სხვადასხვა ფორმით — ხან სავსეს, ხან ნახევრად სავსეს, ხანაც რკალივით ვიწროს, რომელსაც ნამგალა მთვარეს უწოდებენ. მთვარე დედამიწაზე 4-ჯერ უფრო პატარაა. იგი დედამიწიდან 400 ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

გვ. 35, 4-5: ჰორიზონტის მხარეები დღისით და ღამით.

<u>დამატებითი განმარტება საჭიროების შემთხვევაში:</u> გვეჩვენება, რომ შორს, ცა და ზღვა, ან ცა და ხმელეთი თითქოს ერთმანეთს უერთდება. ამ ადგილს ჰორიზონტის ხაზს უწოდებენ. შეიძლება ისიც გვეგონოს, რომ თუ პირდაპირ ვივლით, ჰორიზონტის ხაზამდე მივალთ. მაგრამ რაც წინ მიდიხარ, ჰორიზონტის ხაზიც ყოველთვის წინ „გადაინაცვლებს“. ის მუდმივად „იცვლის ადგილს“.

6-8 ასაკის მოსწავლეებისათვის ტექსტი, შესაძლოა, აღმოჩნდეს რთული. ამიტომ სასურველია, რომ წაკითხვამდე შეკითხვებით გავააქტიუროთ მათი წინარე ცოდნა ჰორიზონტის მხარეებთან მიმართებაში — ამისათვის გამოვიყენოთ რუკა ან გლობუსი და ისე დავსვათ შეკითხვები, მაგალითად:

- რომელია ჩრდილოეთი? სამხრეთი? ეს თუ სამხრეთია, მაშინ რომელი იქნება აღმოსავლეთი? და ა.შ. რატომ ჰქვია ჩრდილოეთ / სამხრეთ ამერიკა? სად მდებარეობს ის?
- დააკვირდით აფრიკის კონტინენტს — რომელი იქნება ჩრდილოეთ აფრიკა? სად იქნება სამხრეთი? და ა.შ.
- ამის შემდეგ შეგვიძლია მსგავსი გავარჯიშება საქართველოს რუკაზეც.

ჰკითხეთ: საიდან ამოდის მზე? საით ჩადის?

აჩვენეთ მოცემული ილუსტრაცია და შეკითხვების დახმარებით დააკვირვეთ მასზე. ყურადღება მიაქცევინეთ ჩრდილს და ჩრდილის მხარეს წარწერას — ჩრდილოეთი.

- თუ ჩრდილის მხარეს ჩრდილოეთია, სად იქნება სამხრეთი?

➢ იცით თუ არა, ჩვენი ჩრდილი ამ მდგომარეობაში დღის რომელ მონაკვეთშია? (შუადღისას, როცა მზე ზენიტშია)...



ამის შემდეგ გადადით ტექსტზე და წაიკითხეთ ერთად. პარალელურად მიუბრუნდით ამ სურათს და დააკვირვეთ მასზე.

როგორ განვსაზღვრავთ ჰორიზონტის მხარეებს ღამით? — ამას ეხება ტექსტის მეორე აბზაცი. წაკითხვის შემდეგ აჩვენეთ პატარა დათვის თანავარსკვლავედი და პოლარული ვარსკვლავი:



ტექსტის ამგვარი დამუშავების შემდეგ გადადით მე-5 დავალებაზე. ამ დავალების მიზანია, ენობრივად სწორად ჩამოაყალიბოს მოსწავლემ ფრაზა. ამისათვის მიუთითეთ ყუთში მოცემულ დაბოლოებებზე, რომლებიც უნდა გამოიყენოს მან წინადადებების დასრულებისას.

იმისათვის, რომ ეს სიტყვათშეხამება გაუჯდეთ, გამოიყენეთ კონტექსტები და ხშირად დაუსვით შეკითხვები, რომელთა პასუხისას მათ მოუწევთ შესაბამისი ფორმების გამოყენება: საიდან ამოდის მზე? საით ჩადის?

გვ. 37, 6:
სასურველია, რომ პატარებს ეს დავალება დამოუკიდებლად არ შეასრულებინოთ. იმუშავეთ ერთად. დავალების შესრულებამდე, დააზუსტებინეთ ამ სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობა.

<u>პასუხი:</u> ა) გარეგნობაზე მიუთითებს (როგორია გარგნობით?) — ჯუჯა, გიგანტი ბ) მიუთითებს მდგომარეობაზე (როგორ მდგომარეობაშია?) — გაყინული, მძიმე, ბნელი, ნათელი, გავარვარებული, მსუბუქი გ) მიუთითებს მდებარეობაზე (სად?) — ახლო, შორი

შენიშვნა: აქ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები მიხვდნენ ამ სიტყვების სემანტიკას (შინაარსს) — რის შესახებ შეიცავენ ისინი ინფორმაციას

გვ. 37, 7: ტექსტის თემა და იდეა

თუკი პატარებს სწავლების ენაზე ჯერ არ აქვთ ნასწავლი ეს საკითხები, აჯობებს, რომ მათ არ შეასრულებინოთ ეს დავალება. ვიდრე უფროსები ამ დავალებაზე მუშაობენ, პატარებს შესთავაზეთ ვარსკვლავების ტექსტის გამოყენებით სხვა აქტივობები, მაგალითად:

- ➢ დახატონ ვარსკვლავები ღამის ცაზე იმ მონაცემებით, როგორც ეს ტექსტშია და შემდეგ შეადარებინეთ ნახატები ერთმანეთს და ასაუბრეთ მათზე. დაეხმარეთ კითხვებით:
- აბა, სად არის ცისფერი ვარსკვლავები?
- რომლებია გიგანტი / ჯუჯა ვარსკვლავები?
- აბა, შევადაროთ შენს ნახატზე გიგანტი ვარსკვლავი და მზე რა ზომის არიან?
- მზე უფრო დიდია თუ გიგანტი ვარსკვლავი?
- აბა, ვნახოთ ტექსტში, როგორ წერია... და ა.შ.

გვ. 38, III — მეორე აბზაცის სქემა:

ძირითადი აზრი — სხვადასხვა ფერის ვარსკვლავი სხვადასხვა ზომისაა.
კონკრეტული ინფორმაციები —
ა) ჯუჯა ვარსკვლავები წითელი და თეთრი ფერისაა.
ბ) თეთრი ჯუჯა ვარსკვლავები წითელ ჯუჯა ვარსკვლავებზე პატარაა.
გ) თეთრი ჯუჯა ვარსკვლავები და მზე ერთი ზომისაა.
დ) გიგანტი ვარსკვლავები მზეზე და თეთრ და წითელ ვარსკვლავებზე ასჯერ და უფრო მეტად დიდია.

გვ. 44 — ტექსტი: მიუნჰაუზენის მოგზაურობა მთვარეზე

რეკომენდაციები <u>6-7 წლის ბავშვებთან სამუშაოდ:</u> ტექსტის ილუსტრაციებზე მუშაობა წარმართეთ მარტივი შეკითხვების დახმარებით: რა არის პირველ სურათზე? მეორე სურათზე? რომელ სურათზეა გემი? ვინ არის გემში? სად არის გემი — ზღვაში, ცაში თუ კოსმოსში? საიდან ჩანს? რა არის, თქვენი აზრით, ეს მრგვალი სხეული? რა ჩანს მის ზედაპირზე? რამდენი ასეთი მრგვალი სხეულია მეორე სურათზე? რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან? (მაგ., ფერით) და ა.შ.

სურათების აღწერის დროს შეამოწმეთ, რამდენად ახსოვთ ნასწავლი სახელური და ზმნური ლექსიკა მოსწავლეებს. დააკონკრეტეთ დეტალები შეკითხვებით:
საჭიროებისამებრ, მოინიშნეთ სიტყვები, რომლებიც აღარ ახსოვთ მოსწავლეებს და იმუშავეთ მათზე. ლექსიკაზე მუშაობისას გაითვალისწინეთ ზემოთ მითითებული რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები გაითვალისწინეთ შემდგომი მუშაობის დროსაც.

ილუსტრაციები ყოველთვის იძლევა შესაძლებლობას, რომ მას სხვა მიზნობრივი დატვირთვაც მივცეთ, მათ შორის, გამოვიყენოთ მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლადაც.

რაც შეეხება სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხავ დავალებებს, თუკი რთული აღმოჩნდება მათთვის მათი შესრულება (მით უფრო, თუ ჯერ კიდევ არ აქვთ დაძლეული კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები), ნუ დაატანთ ძალას. მათთვის საკმარისი იქნება მხოლოდ ნახატების შექმნა მითითებებით.

შესაძლებელია, მარტივი საკითხავი დავალებების მოფიქრება და შეთავაზებაც, მაგალითად:

- მითითებული მონაკვეთიდან კონკრეტული სიტყვების, მარტივი წინადადებების მოძებნა და ამოწერა.

ნუ შეეცდებით, რომ პირველივე წაკითხვისას ყველა სიტყვა განუმარტოთ ან გადაუთარგმნოთ მოსწავლეებს. უცნობი სიტყვების შემთხვევაში, გამოიყენეთ ის რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია მეთოდურ განმარტებაში ლექსიკის სწავლებისას.

შენიშვნა: რაც შეეხება მოსწავლეებისათვის უცნობ ლექსიკასა და გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც შეხვდებათ მათ — კონტექსტის მიხედვით მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მათი გაგება. შესაბამისად, ეს არ შეუშლის ხელს მათ დავალების შესრულებაში. აუცილებლობის შემთხვევაში, არ გამოირიცხება თარგმნაც.

გვ. 47 — **მოგზაურობა უცხო პლანეტაზე**

ეს წერითი დავალება შემოქმედებითი ხასიათისაა და მოსწავლეებს მეტ თავისუფლებას აძლევს. პირველ რიგში, კარგად გააცანით დავალების პირობა და რვეულში მოცემული ინსტრუქცია. გააცანით ცხრილი და ცხრილში მოცემული შეკითხვები.

კარგი იქნება, თუკი ჯერ შესთავაზებთ, რომ დახატონ ის პლანეტა, რომელზეც უნდა «იმოგზაურონ». ეს უფრო გაუმარტივებთ დავალების შესრულებას, რადგან ფაქტიურად საკუთარი ნახატების აღწერა მოუწევთ.
ხატვის დასრულების შემდეგ დაუსვით შეკითხვები ნახატების გარშემო — *როგორი პლანეტაა? როგორია ის დედამიწასთან შედარებით? დედამიწასთან ახლოს არის თუ შორს? რით ჰგავს და რითი განსხვავდება ეს პლანეტა დედამიწისაგან? რა არის ამ პლანეტაზე? როგორი ამინდი იცის? არის თუ არა სახლები და როგორი სახლებია?*

მსგავსი შეკითხვები დაუსვით ადამიანებზეც, რომლებიც იმ პლანეტაზე ცხოვრობენ.
ამის შემდეგ გააცანით ამბის დასაწყისი და შეასრულებინეთ დავალება.
სასურველია, რომ ის არა ინდივიდუალურად, არამედ მცირე ჯგუფებში შეასრულებინოთ. ასეთ შემთხვევაში, ნახატებიც შესაძლებელია, რომ ჯგუფებმა ერთად დახატონ.

გვ. 48 — ტექსტი: დედამიწის ზღაპარი

ამ შემთხვევაშიც პატარა ასაკის მოსწავლეებთან გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციები,

გვ. 54 — დავწეროთ საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი

დავალების შესრულებამდე ყურადღება გაამახვილებინეთ 51-ე გვერდზე მოცემული ტექსტების სტრუქტურულ მახასიათებლებზე წიგნში მოცემული მითითებების შესაბამისად.

შენიშვნა 1: სამივე ტექსტი ერთსა და იმავე თემას ეხება, რაც უფრო მკაფიოდ აჩვენებს სხვადასხვა ტიპის ტექსტის სტრუქტურულ და ენობრივ თავისებურებებს.

<u>საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის მახასიათებლები:</u>

- სტრუქტურა — რუბრიკები: განმარტება, საცხოვრებელი ადგილი (ბინადრობა), ფიზიკური მონაცემები, საკვები
- ენობრივი ნიშნები: ზედსართავებისა და მიმღეობების ჭარბი გამოყენება, ზმნების ძირითადად ერთი დროის ფორმით ხმარება

<u>წერითი დავალების შეფასების სქემა:</u>

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• იცავს ტექსტის სტრუქტურას და გამოყოფს რუბრიკებს; • გადმოსცემს ყველა საჭირო ინფორმაციას რუბრიკების მიხედვით.	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს; • იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას.	0 – 1 – 2

სამუშაოს დასრულების შემდეგ შეგიძლიათ, შესთავაზოთ ტექსტი მურა დათვის შესახებ და შეადარებინოთ საკუთარ ნაწერებთან — როგორ გაართვეს სამუშაოს თავი.

მურა დათვი

მურა დათვი გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ძირითადად, ბინადრობს ტყის მასივებსა და მთებში.
მისი სხეულის სიგრძე ორ-ნახევარ მეტრამდეა და იწონის 480 კილოგრამამდე.
აქვს განიერი თავი, მსხვილი და მოკლე კისერი, პატარა თვალები და მოკლე კუდი.
იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. მისი საყვარელი საკვებია თაფლი, კენკროვანი ნაყოფი. უარს არც თევზსა და ჭიანჭველებზე ამბობს.
მურა დათვები ცივ და თოვლიან ზამთარს ძილში ატარებენ. სძინავთ 75-195 დღე.

შენიშვნა 2: 6-8 წლის მოსწავლეებს წერითი დავალების შესრულების ნაცვლად, შეგიძლიათ, „თეთრი დათვის“ დამუშავების შემდეგ მისცეთ ტექსტი მურა დათვის შესახებ და შეასრულებინოთ ქვემოთ მოცემული დავალებები (ცხადია, არა — დამოუკიდებლად!):

<u>უპასუხეთ შეკითხვებს:</u>

1. სად არის თეთრი დათვი გავრცელებული?
2. რომელ კონტინენტებზე ვხვდებით მურა დათვს?
3. სად ბინადრობენ თეთრი და მურა დათვები?
4. რამდენს იწონის თეთრი დათვი? მურა დათვი?
5. როგორ გამოიყურებიან გარეგნულად?
6. რით იკვებებიან თეთრი და მურა დათვები?
7. რას აკეთებს მურა დათვი ზამთარში?
8. რატომ არ იძინებს თეთრი დათვი ზამთარში?

<u>შეადარეთ დათვები ერთმანეთს. შეავსეთ ცხრილი შესაბამისი ინფორმაციით.</u>

	თეთრი დათვი	**მურა დათვი**
გავრცელების არეალი		
ბინადრობა		
ფიზიკური მონაცემები		
საკვები		
დამატებითი ინფორმაცია		

ძირითადი ენობრივი საკითხები:

შედარების გამოხატვა: ა) ..-ზე დიდი / პატარა...

გაახსენეთ მოსწავლეებს ეს ენობრივი კონსტრუქცია. საჭიროების შემთხვევაში, თავიდან შესთავაზეთ სახალისო აქტივობები ამ კონსტრუქციის გამოყენებით (იხ. ზემოთ, საანბანო ნაწილში);

ამის შემდეგ შეასრულებინეთ ამ ენობრივ საკითხზე მოცემული დავალებები (გვ. 40-41).

ზმნებზე მუშაობა (გვ. 42):

ის რას აკეთებს?	ის რას აკეთებს?
ცხოვრობ**ს**	იბად**ება**
ბინადრობ**ს**	კვდ**ება**
არსებობ**ს**	გრძელდ**ება**
მდებარეობ**ს**	ჩნდ**ება**
ჩან**ს**	ქრ**ება**
მოგზაურობ**ს**	ინთ**ება**
მოძრაობ**ს**	ხდ**ება**
ბრუნავ**ს**	ნათდ**ება**
ტრიალებ**ს**	ბნელდ**ება**
კაშკაშებ**ს**	ღამდ**ება**
ანათებ**ს**	თენდ**ება**
ქრი**ს**	ბრუნდ**ება**
ყინავ**ს**	ტრიალდ**ება**

ვიდრე წიგნში მოცემულ დავალებებს შეასრულებინებთ მოსწავლეებს, გარკვეული დრო დაუთმეთ ამ ზმნების როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ მხარეს. უცნობი ზმნების მნიშვნელობების დაზუსტების შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს რამდენიმე დავალება, კერძოდ:

- გადაიყვანონ ეს ზმნები პირველ პირში — ის ცხოვრობს / მე ვცხოვრობ, ის იბადება / მე ვიბადები და ა.შ.

- მონიშნონ ზმნები, რომლებიც პირველ პირში არ იხმარება (ანუ პირნაკლი ზმნები). შემდეგ დააკვირვეთ 43-ე გვერდზე მოცემულ ბლოკზე და სთხოვეთ შეადარონ — დაემთხვა თუ არა მათი დავალება.

- რატომ არ აქვთ ამ ზმნებს პირველი პირი? — დააკვირვეთ სემანტიკაზე (გამოხატავს ბუნების მოვლენების მდგომარეობასა და მოქმედებას, გარდა ერთისა — ეს არის „მდებარეობს“).

- შეადარებინეთ, როგორ არის ეს ზმნები მათი სწავლების ენაზე — არის თუ არა მსგავსება-განსხვავება?

მოცემულ თემის მთავარი საკომუნიკაციო მიზანია საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა:

- წაკითხული წიგნების მიმართ;
- საკუთარი სურვილებისა და ინტერესების მიმართ;
- სხვადასხვა დროს შესრულებული საკუთარი მოქმედების მიმართ;
- პერსონაჟისა და მისი ქცევის მიმართ და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარტივი დასკვნების გაკეთება.

რაც შეეხება ენობრივ მიზნებს, წამყვანია ზოგადად, წარსულში შესრულებული მოქმედების გამოხტვა:

ა) წარსულში დასრულებული მოქმედება (რა მოხდა? — წყვეტილის მწკრივი)
ბ) წარსულში არაერთგზის შესრულებული მოქმედების გამოხატვა (რა ხდებოდა? — უწყვეტლის მწკრივი)

შენიშვნა: ამ ეტაპზე მთავარია, მოსწავლეებმა დაინახონ მათ შორის შინაარსობრივი / ფუნქციური სხვაობა. სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებები და დავალებები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ეს შეძლონ.
თუმცა, თემის ენობრივი საკითხების მიმოხილვაში დამატებით შეთავაზებულია თვალსაჩინოებები და დავალებები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ, თუკი ამას კონკრეტული საჭიროებები მოითხოვს.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

რაც შეეხება თემაში წარმოდგენილ აქტივობებს, გაჰყევით მათ თანამიმდევრულად და გაითვალისწინეთ ის ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც მითითებულია ზემოთ.

მოცემული ტექსტები არ არის რთული და მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ მათი გაგება. მათ არ მოეთხოვებათ ამ ტექსტების არც სიტყვასიტყვით გაგება და არც მათი დასწავლა და მოყოლა. მთავარია, გაიგონ ზოგადი შინაარსი — რაზეა საუბარი და მიხვდნენ ავტორის მთავარ სათქმელსა და ცალკეულ დეტალებს.

ტექსტების გასააზრებლად საკმარისია წიგნში მოცემული დავალებების შესრულება, რომლებიც არ არის რთული და შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს.

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად გადაწყვიტოს და მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილს მისცეს ეს დავალებები შესასრულებლად.

გვ. 66, 1-2: ტექსტი — **„სად ცხოვრობს მეზღაპრე?“**

რეკომენდაციები 6-7 წლის ბავშვებთან სამუშაოდ: ტექსტზე მუშაობა წარმართეთ მარტივი შეკითხვების დახმარებით და ზუსტად მიუთითეთ, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს პასუხი.
შესაძლებელია, მარტივი საკითხავი დავალებების მოფიქრება და შეთავაზებაც, მაგალითად:

- მითითებული მონაკვეთიდან კონკრეტული სიტყვების, მარტივი წინადადებების მოძებნა და ამოწერა;
- ცხრილის შევსება კონკრეტული ინფორმაციით, მაგ.: ამოწეროს მახასიათებელი სიტყვები (როგორი?) მხოლოდ პირველი აბზაციდან და მიუთითონ, რა ინფორმაციას შეიცავენ და ა.შ.
- შესაძლებელია, მისცეთ ერთ-ერთი ეპიზოდი დასახატად. შემდეგ სთხოვეთ ისაუბროს თავის ნახატზე. შემდეგ თავიდან წააკითხეთ ის ეპიზოდი და დააკავშირებინეთ საკუთარ ნახატთან — როგორ არის ტექსტში და რა დახატა მან და ა.შ.

გვ. 74. — ბიოგრაფიული ტექსტი ბარონ მიუნჰაუზენზე:

პირველ რიგში, იმუშავეთ ილუსტრაციებზე ზემოთ მოცემული მითითებებით. ეს შეიძლება იყოს სურათის გარშემო კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, სურათების აღწერა და ა.შ. ნუ შეეცდებით, რომ პირველივე წაკითხვისას ყველა სიტყვა განუმარტოთ ან გადაუთარგმნოთ. უცნობი სიტყვების შემთხვევაში, გამოიყენეთ ის რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია მეთოდურ განმარტებაში ლექსიკის სწავლებისას (გვ. 27).

სასურველია, რომ ტექსტთან მოსწავლეები მიიყვანოთ კონკრეტული საკითხავი ამოცანებით, მაგალითად:

- წაიკითხეთ პირველი აბზაცი და დაასახელეთ, სადაური იყო ბარონი მიუნჰაუზენი?
- მოძებნეთ მეორე აბზაცში ადგილები, რომლებიც ახასიათებს ბარონს — როგორი იყო ის?
- რას საქმიანობდა ბარონ მიუნჰაუზენი? მოძებნეთ ტექსტში და წაიკითხეთ და ა.შ.

გვ. 76 — ამუშავეთ მოსწავლეები ბიოგრაფიულ ცნობარზე კითხვების დახმარებით: ვინ არის, სად და როდის დაიბადა, სადაურია და რას საქმიანობდა?

დამატებითი აქტივობები თემის გარშემო

<u>მკითხველთა კლუბი</u> — კონკურსის მოწყობა გამომსახველობით კითხვაში

გამომსახველობითი კითხვა გულისხმობს წერილობითი ტექსტის შინაარსის სხვისთვის გადაცემას. ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა...). რეკომენდებულია, მასწავლებელმა ხშირად მოასმენინოს მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერები და ასაუბროს ისინი მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

1. მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).
აქტივობის შესასრულებლად მიეცით მოსწავლეებს შემდეგი ინსტრუქცია: „შეარჩიეთ ლექსები ან კონკრეტული ეპიზოდები თქვენთვის სასურველი ნაწარმოებებიდან, ისწავლეთ ზეპირად და მოემზადეთ კონკურსისათვის“.

2. ჟიურის წევრებთან ერთად შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსიის მონაწილეებს.

3. კონკურსის ჩატარება შესაძლებელია ორ ტურად: მონაწილეები ჯერ კითხულობენ (ზეპირად ამბობენ) ერთსა და იმავე ნაწარმოებს (როგორც პროზაულს, ისე პოეტურს), შემდეგ ტექსტს ირჩევენ საკუთარი სურვილით. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საკონკურსო პირობები, მაგ., საკუთარი სურვილით შერჩეული ტექსტების წაკითხვა.

4. გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:
- წაკითხვამდე განსაზღვრონ, რისი აქცენტირება სურთ ტექსტში;
- ივარჯიშონ შესაბამის ინტონაციებზე, რომლითაც უნდა გამოხატონ ტექსტში მოცემული ემოციები;
- ყურადღება მიაქციონ სასვენ ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
- იმეტყველონ გარკვევით და მკაფიოდ;
- სათანადოდ გამოიყენონ არავერბალური ენა — მიმიკა და ჟესტები;
- შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

5. მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით; მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

შეფასების სქემა გამომეტყველებით კითხვაში:

კრიტერიუმები	ნინო	სანდრო	ელენე
მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს — **კი / არა**			
აქცენტებს აკეთებს საკვანძო სიტყვებზე — **კი / არა**			
ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს — **კი / არა**			
ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით — **კი / არა**			
ხმის სიმაღლისა და ჟღერადობით ზუსტად გადმოსცემს ავტორისეულ განწყობას — **კი / არა**			
ცდილობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებას — **კი / არა**			

„მრგვალი მაგიდა“ თემაზე — „წიგნები“.

გთავაზობთ სავარაუდო შეკითხვებს: რა არის წიგნი? როდის დაიწყე კითხვა? როდის წაიკითხე პირველი წიგნი? რა ერქვა? რატომ კითხულობ? რომელია შენი საყვარელი გმირი? წიგნის რომელი გმირი იქნებოდი? და ა.შ.

ძირითადი ენობრივი სახითხი:

წარსულში შესრულებული მოქმედება — წარსული განგრძობითი დრო (**უწყვეტელი** — რას აკეთებდა?); სახელმძღვანელოში მოცემული განმარტება და დავალებები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ და გაიაზრონ მათ შორის არსებული განსხვავება როგორც შინაარსის, ისე წარმოების თვალსაზრისით.
აუცილებლობის შემთხვევაში (მით უფრო, პატარებთან) კარგი იქნება, თუკი პარალელებს გაავლებინებთ სწავლების ენასთან, რადგან ეს უკეთ დაეხმარება ამ ენობრივი საკითხის გაგებასა და გააზრებაში.
რაც შეეხება მის ათვისებას, ამას უნდა მიაღწიოთ სათანადო კონტექსტებში მათი ინტენსიური გამოყენებით. აუცილებელი საჭიროებისათვის გთავაზობთ დამატებით თვალსაჩინოებებს:

- პირველ რიგში, გაახსენეთ **დროის მარკერები**. გამოიყენეთ ცხრილი, წააკითხეთ მოცემული სიტყვები და სთხოვეთ, დაასახელონ, რომლები მიუთითებს **ახლანდელ** დროზე, რომლები — **წარსულზე** და რომლები — **მომავალზე**?

ადრე გუშინ ერთი საათის წინ შარშან... გასულ წელს წინა დღეს...	ახლა დღეს ამ წუთას	მერე ხვალ შემდეგ ერთი საათის შემდეგ მომავალ წელს გაისად...

- რაც შეეხება წარსულში შესრულებული მოქმედების გამოხატვას უწყვეტლის ფორმით, გამოიყენეთ თვალსაჩინოება და ისე დააკვირვეთ მოსწავლეები ზმნურ ფორმებზე:

რას აკეთებს? ახლა დათო **წერს**. ის ახლა სკოლაში **მიდის**...
რა გააკეთა? დათომ გუშინ **დაწერა**. ის გუშინ **წავიდა** სკოლაში...
რას გააკეთებს? დათო ხვალ **დაწერს**. ის ხვალ **წავა** სკოლაში...

- გამოიყენეთ სქემა და აუხსენით მოსწავლეებს, რომ წარსულში შესრულებული მოქმედება ქართულში ორგვარად გამოიხატება. ეს ნიშნავს, რომ არის წარსულის ორი ფორმა:

1. წყვეტილი — **რა გააკეთა მან** გუშინ/ერთი საათის წინ...?
2. უწყვეტელი — **რას აკეთებდა ის** გუშინ/ორ საათზე...?

წარსულში შესრულებული მოქმედება

რა გავაკეთე	**რას ვაკეთებდი**
ერთხელ	მრავალჯერ
წყვეტილი	**უწყვეტელი**
დავწერე	ვწერ**დ**ი
ვითამაშე	ვთამაშობ**დ**ი
წავედი	მივდი**ოდ**ი...

ბოლოს მიაწოდეთ მყარი ფორმულები უწყვეტლის გამოყენებასთან დაკავშირებით:

- წარსული ამბების გადმოცემისას ყოველთვის ვიყენებთ **უწყვეტელს**, თუ ვსაუბრობთ არაერთხელ შესრულებულ მოქმედებაზე!

დაკვირვების გზით გაამახვილებინეთ ყურადღება წარმოების წესსზე: ვხატავ — ვხატავ-**დი**; ვერთობ-ი — ვერთობ-**ოდი**; მივდი-**ვარ** — მივდი-**ოდი**;

- წარსული ამბების გადმოცემისას, თუ ვსაუბრობთ <u>არაერთხელ</u> შესრულებულ მოქმედებაზე, ინტენსივობის გამომხატველ სიტყვებთან ყოველთვის ვიყენებთ უწყვეტლის მწკრივის ფორმას (რას აკეთებდა?).

არასოდეს იშვიათად ხანდახან... დილაობით შაბათობით ზაფხულობით...	+ **რას აკეთებდა?**

განმარტება: მსგავსი ანალიზი, ცხადია, სასურველია 10-11 წლის ზემო ასაკის მოსწავლეებთან.

მოცემულ თემის მთავარი საკომუნიკაციო მიზანია საკუთარი თავის ან სხვისი აღწერა-დახასიათება; საუბარი საკუთარი ინტერესებისა და საქმიანობების, სასურველი და საინტერესო პროფესიების შესახებ; შედარება — როგორი იყო ადრე და ახლა როგორია? შეიცვალა თუ არა? რა უყვარდა, რა მოსწონდა და რა აინტერესებდა ადრე და ახლა რა უყვარს, რა მოსწონს და რა აინტერესებს და ა.შ.

შესაბამისად, შემოდის ისეთი ენობრივი საკითხები, როგორებიცაა: მანიანი ზმნები — გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები (მომწონს, მიყვარს, მაინტერესებს, მეხერხება); ყველაზე ძალიან...; მეტად /ნაკლებად ... სახელის წარმოება (მზარეული — მზარეულობა); ზმნის საწყისი; მსაზღვრელ-საზღვრული.

თემაში შემოდის არგუმენტირებულ მსჯელობაზე მუშაობა მათთვის ნაცნობ და საინტერესო თემაზე, კერძოდ, კომპიუტერის დადებით და უარყოფით მხარეებზე. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოხატონ საკუთარი პოზიციები, შეფასება-დამოკიდებულებები სხვათა პოზიციების გარშემო.

ამ ეტაპზე მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციები საშუალებას იძლევა, გაუმკლავდნენ ამ გამოწვევებს. მთავარია, თანმიმდევრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ შეასრულებინეთ მათ სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები და მითითებები.

კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით, დაეხმარეთ ცალკეულ მოსწავლეებს დავალებების შესრულებაში, ან ამუშავეთ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში.
რაც შეეხება კონკრეტულ გრამატიკულ საკითხებს, ამ თემაში სიახლე არ შემოდის. შესაბამისად, ხდება წინარე ენობრივი ცოდნის განმტკიცება (კონკრეტული საკითხების შესახებ იხილეთ ქვემოთ, თემის ენობრივ საკითხებში).

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

შევეხებით სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობას და შემოგთავაზებთ კონკრეტულ რეკომენდაციებს.

გვ. 82 — ანკეტა და სავიზიტო ბარათი:

გაახსენეთ ან თავიდან კიდევ ერთხელ განუმარტეთ, რა არის ანკეტა და რისთვის არის ის საჭირო (ეს არის კითხვარი, რომლის მიზანია რესპონდენტისაგან კონკრეტული მონაცემების მიღება); ასევე მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ანკეტა და, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ სად და რისთვის ავსებს ანკეტას და რა ტიპის ინფორმაცია აინტერესებთ მისგან.
ამ შემთხვევაში საუბარია ავტობიოგრაფიული სახის ანკეტის შევსებაზე.

<u>სავიზიტო ბარათის შექმნა:</u>

სავიზიტო ბარათის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები:

- პირადი მონაცემები — სახელი და გვარი, პროფესია, სამუშაო ადგილი, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა (სურვილით)

მოცემული დავალებების მიზანია არა მხოლოდ ამ ტიპის ტექსტების წაკითხვისა და გაგება-გააზრების უნარის განვითარების ხელშეწყობა, არამედ ამ ცოდნის წარმატებით გამოყენება პრაქტიკაში.
სავიზიტო ბარათის შექმნამდე დაამუშავებინეთ ინფორმაცია ლევან გიორგაძის შესახებ:

რა ვიცით? — არის თბილისელი, მაგრამ მუშაობს გორის საავადმყოფოში; არის ბავშვთა თვალის ექიმი, არის 25 წლის, სანდროს მამიდაშვილი

რა არ ვიცით? — არ ვიცით საავადმყოფოს მისამართი, ლევან გიორგაძის ტელეფონის ნომერი და არ ვიცით არც ელექტრონული ფოსტის (იმაელის) მისამართიც.

<u>რა გვჭირდება სავიზიტო ბარათისთვის</u> იქიდან, რაც ვიცით? — ყველაფერი, გარდა ორი ინფორმაციისა — არ გვჭირდება მისი ასაკი და არც ის, რომ სანდროს მამიდაშვილია.
გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ იმუშაონ დამოუკიდებლად. მოიფიქრონ ის ინფორმაცია, რაც არ ვიცით და შეავსონ რვეულში მოცემული სავიზიტო ბარათი.
აუცილებლობის შემთხვევაში, დააწყვილეთ მოსწავლეები ან ამუშავეთ მცირე ჯგუფებში.

გვ. 84 — მხატვრული ტექსტი: **„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“**.

მოყვანილი ნაწყვეტი შეეხება მოთხრობის მთავარი გმირის ზურიკო ვაშალომიძის ცხოვრების ერთ პატარა ეპიზოდს — *მან დაასრულა სკოლაში სწავლა. რა უნდა გააკეთოს ზურიკომ მომავალში, რა პროფესია უნდა აირჩიოს? — აი, რაზე საუბრობენ ბებია, ზურიკო და მათი ერთგული მეზობლები — ილიკო და ილარიონი ამ ნაწყვეტში.*

შენიშვნა 1: შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად გადაწყვიტოს და მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილს მისცეს ეს ტექსტი წასაკითხად.

შენიშვნა 2: კითხვისას ნუ შეჩერდებით უცნობი სიტყვების დასაზუსტებლად. აუცილებელი არ არის, ყველაფერი დეტალურად ესმოდეს მოსწავლეს ტექსტებში. ტექსტის ზოგადი შინაარსი და ცალკეული კონტექსტები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ ძირითადი შინაარსი.

შესაძლებელია, ამ ფილმის ერთობლივი ყურებაც.

გვ. 86 — <u>განცხადებებზე</u> მუშაობა ჯანი როდარის მხიარული ლექსის მიხედვით.

სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები მარტივი და სახალისოა 6-7 წლის მოსწავლეებისთვის.

უფრო მაღალი ასაკის (12-14 წლის) მოსწავლეებს შეგიძლიათ დამატებით შესთავაზოთ უფრო სერიოზული ამოცანები, კერძოდ: ამუშაოთ განცხადების შინაარსობრივ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე და შესთავაზოთ რეალური განცხადებების შექმნა. გთავაზობთ ნიმუშებს თავისი დავალებებით:

<u>განცხადების მიზანი და შინაარსი შეიძლება იყოს:</u>

- ინფორმაციის მიწოდება
- ახსნა-განმარტება
- თხოვნა

გააცანით განცხადების ფორმები და ამუშავეთ მათ შორის განსხვავებებზე. გთავაზობთ კონკრეტულ დავალებებს:





ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული განცხადება შემდეგი მითითებით — გაეცანით ქვემოთ მოცემულ განცხადებას და დაასახელეთ:

1. ვინ არის განცხადების ავტორი;
2. ვინ არის ადრესატი;
3. რა არის განცხადების მიზანი: ინფორმაციის მიწოდება , ახსნა-განმარტება თუ თხოვნა

1

თბილისის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორს,
ბატონ **დავით სიხარულიძეს**

ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლის
ნათია გურამის ასულ ცერცვაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ჩვენი კლასის „მკითხველთა კლუბის“ აქტიური წევრი. ძალიან მიყვარს მხატვრული კითხვა. ხშირად ვმონაწილეობ სასკოლო სპექტაკლებშიც.
გთხოვთ, ჩამრიცხოთ სკოლის “ნორჩ მსახიობთა თეატრში”.

ნათია ცერცვაძე

25 სექტემბერი, 2017 წ.

ამის შემდეგ მიეცით მორიგი დავალება: წაიკითხეთ მოცემული განცხადებები და შეასრულეთ დავალებები.

- ერთ-ერთ განცხადებაში დარღვეულია განცხადების ფორმა და შინაარსი. დაასახელეთ, რომელია ეს განცხადება;
- მიუთითეთ, რა არის იმ განცხადებაში არასწორი;
- სწორად გადაწერეთ ეს განცხადება რვეულში.

2

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პარასკევს, 28 დეკემბერს, 14 საათზე, სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართება ახალგაზრდა მწერლებთან შეხვედრა.

სკოლის დირექცია

20.12.2016 წ.

3

თბილისის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამარჯობა, ბატონო დირექტორო. 2-დან 15 თებერვლის ჩათვლით ვიმყოფებოდი ტურნირზე, რის გამოც გავაცდინე სკოლა.
გთხოვთ, გაცდენილი საათები ჩამითვალოთ საპატიოდ.

მომავალ შეხვედრამდე,

გელა რაზმაძე

უპასუხეთ შეკითხვებს სამივე განცხადების მიხედვით.

1) რომელ განცხადებაშია წარმოდგენილი:
   - ინფორმაციის მიწოდება —----------
   - ახსნა-განმარტება —----------
   - თხოვნა —----------
2) რატომ არ არის მეორე განცხადებაში მითითებული ადრესატის ვინაობა?
3) როდის არის დაწერილი ნათია ცერცვაძის განცხადება?
4) რას სთხოვს ის დირექტორს?
5) სად იყო გელა რაზმაძე 15 თებერვალს?
6) რის გამო წერს ის ახსნა-განმარტებას?

შეადგინეთ მსგავსი განცხადებები რვეულში.

შეფასების სქემა:

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• იცავს განცხადების ფორმასა და შინაარსობრივ მოთხოვნებს. უთითებს: ➢ განცხადების ადრესატს ➢ განცხადების ავტორს ➢ განცხადების დაწერის თარიღს ➢ განცხადების მიზანს	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს; • იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას.	0 – 1 – 2

გვ. 94. — წიგნი თუ კომპიუტერი?

6-7 წლის მოსწავლეებისათვის თავისთავად არ უნდა იყოს ეს თემა უინტერესო (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი კომპიუტერის ეპოქაში ცხოვრობენ).

მათთვის შესაძლებელია, რთული აღმოჩნდეს დარგობრივი ლექსიკა, პროცენტები და ა.შ. ამიტომ გაუმარტივეთ ამოცანები, მაგალითად:

- ➢ პირველ დავალებაში გამოტოვეთ კვლევა და მისი შედეგები და პირდაპირ გადადით მათ პირად გამოცდილებაზე (დ).
- ➢ ბავშვების რეპლიკების მარტივად გაგება-გააზრებისათვის დაეხმარეთ კონკრეტული შეკითხვებითა და მინიშნებებით: რა უყვარს ნინოს? კომპიუტერი უფრო მნიშვნელოვანია მისთვის თუ წიგნი? თორნიკესთვის რა არის უფრო მნიშვნელოვანი? რას ამბობს ანასტასია? და ა.შ.
- ➢ შესთავაზეთ ცხრილი, სადაც უნდა მონიშნონ შესაბამისი უჯრა — ვისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია და ა.შ.

ენობრივი საკითხები:

კიდევ ერთხელ გაამახვილებინეთ ყურადღება მოცემულ კონსტრუქციებზე. არ არის საჭირო ამ კონსტრუქციის გრამატიკული დამუშავება. საკმარისია მისი, როგორც მყარი ენობრივი ფორმულის დამახსოვრება და შესაბამის კონტექსტებში სწორად გამოყენება:

მე მინდა ვიყო / მე მინდა გავხდე + ვინ? (მხატვარი, ექიმი...)
მას უნდა, რომ იყოს / გახდეს + ვინ?

ამისათვის საჭიროა, მოსწავლეებს მივცეთ აქტიური ინტერაქციის საშუალება. წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების შესრულების პარალელურად, მუდმივად ჩააყენეთ ისინი მოპასუხის როლში, რათა ხშირად შეძლონ ამ ენობრივი კონსტრუქციის გამოყენება, მაგალითად:

- *დიტო, შენ რა უფრო გაინტერესებს — ხატვა თუ სპორტი? ვინ გინდა, რომ იყო — მხატვარი თუ სპორტსმენი?*
- *ანასტასია, შენ რა უფრო გეხერხება — სიმღერა თუ ცეკვა? შენ ვინდა გინდა, რომ გახდე — მომღერალი თუ მოცეკვავე?*
- *დიტო, ვინ უნდა, რომ იყოს ანასტასიას? / ანასტასია, ვინ უნდა დიტოს, რომ გახდეს?*

ყურადღება მიაქციეთ ზმნის — **მეხერხება** მნიშვნელობის გარკვევას. მოსწავლეებმა უნდა გაარჩიონ, რა განსხვავებაა ზმნებს — **მეხერხება** და **მიყვარს** — შორის.
ასევე გააქტიურეთ კონსტრუქცია — მიყვარს (*მაინტერესებს...*), **მაგრამ** არ მეხერხება (*არ გამომდის*).

❖ მიზეზშედეგობრივი კონსტრუქცია:

გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია ერთ-ერთი მოსწავლის ინტერესებთან მიმართებაში, მაგალითად: *ნინოს უნდა, რომ იყოს მხატვარი იმიტომ, რომ მას ხატვა ეხერხება.*
დაწერეთ ეს წინადადება დაფაზე და ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს მის კონსტრუქციაზე:

ვის? ↓ ვინ? ↓

ნინოს (მას) **უნდა, რომ იყოს** მხატვარი **იმიტომ, რომ** მას ეხერხება ხატვა.

მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ ცხრილი — რა მაინტერესებს და ვინ მინდა, ვიყო. ინტერესები დაასახელებინეთ მოსწავლეებს, რაც შეეხება შესაბამის პროფესიებსა და ხელობებს (საქმიანობებს), დაეხმარეთ მათ მის შევსებაში.

გთავაზობთ ნიმუშს:

მაინტერესებს **რა?**	**მინდა ვიყო** **ვინ?**
სპორტი	სპორტსმენი
ხატვა	მხატვარი
კულინარია	მზარეული
ცეკვა	მოცეკვავე
სიმღერა	მომღერალი
თევზაობა...	მეთევზე...

ამის შემდეგ აჩვენეთ სქემა, რომელიც შეგიძლიათ წინასწარ მოამზადოთ, ან იქვე გაა-კეთოთ მოსწავლეებთან ერთად. საჭიროებისამებრ, გაავარჯიშეთ მოსწავლეები სქემის გამოყენებით.

უნდა, რომ იყოს (გახდეს) + (ვინ?) **იმიტომ, რომ** ეხერხება / მოსწონს / აინტერესებს... + (რა?)

დატოვეთ დაფაზე (ან კედელზე) სქემა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს წინადადების სწორად კონსტრუირებაში და გამართეთ მათთან ინტერაქცია.

❖ სახელის მრავლობითობა:

ვინაიდან ქართულში მრავლობით რიცხვში სახელის გადაყვანისას ზოგიერთი სახელი კარგავს გარკვეულ ხმოვნებს (ზოგი ხმოვანს კარგავს ბოლოში, ზოგი კი — შუაში), ამიტომ სასურველია, რომ გარკვეული დრო დაუთმოთ მოცემული სიტყვების მრავლობით რიცხვის ფორმებს და მუდმივად მათთან ერთად იმუშაოთ პოსტერზე.
მოსწავლეებთან ერთად შეცვალეთ მოცემული სიტყვების რიცხვი. დააკვირვეთ ისეთ სიტყვებზე, რომლებსაც მრავლობითში გადაყვანისას ფუძეში მოსდით ცვლილება.

გთავაზობთ ნიმუშს:

მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**	**მხოლობითი რიცხვი**	**მრავლობითი რიცხვი**
ექიმი	ექიმები	მხატვარი	**მხატვრები**
ვეტერინარი	ვეტერინარები	მებაღე	**მებაღე-ები**
მკერავი	მკერავები	მასწავლებელი	**მასწავლებლები**
მძღოლი	მძღოლები	პოლიციელი	პოლიციელები
მეზღვაური	მეზღვაურები	მომღერალი	**მომღერლები**
გამყიდველი	**გამყიდვლები**	სპორტსმენი	სპორტსმენები
მზარეული	მზარეულები	ფეხბურთელი	ფეხბურთელები
მშენებელი	**მშენებლები**	მოცურავე	**მოცურავე-ები**

დამატებით, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პატარებთან (შესაძლებელია დიდებთანაც) უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი თეორიული მსჯელობა, უბრალოდ უნდა ვაჩვენოთ, რა ხდება და ნელ-ნელა მივიყვანოთ გარკვეული კანონზომიერებების აღმოჩენამდე.

უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომების დაშვების ალბათობა დიდი იქნება (მოსალოდნელია მათგან დაების, ძმაებისა და ა.შ. ფორმათა ხმარება), ამიტომ საჭიროა, მოთმინებით აღიჭურვოთ და ნელ-ნელა, მიზანმიმართულად იმუშავოთ ამ პრობლემის დასაძლევად.

რა თქმა უნდა, აუცილებლად, ყოველ ჯერზე, უნდა გასწორდეს არასწორი ფორმები. უნდა მოვიფიქროთ მეტი სიტუაციური და კომუნიკაციური აქტივობები, სადაც აუცილებელი იქნება მრავლობითის გამოყენება.
იმისათვის, რომ მოსწავლეებისათვის მოსაწყენი არ გახდეს პროცესი, გთავაზობთ ერთ სახალისო აქტივობას:

- **რა შემეშალა?** — მასწავლებელი მცდარად ასახელებს ინფორმაციას. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა შეცდომა დაუშვა მასწავლებელმა და გაასწორონ, მაგალითად: ვეტერინარი მკურნალობს ბავშვებს (უნდა იყოს: ცხოველებს).

მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მობილიზებას, ყურადღების კონცენტრაციისა და, ზოგადად, მათი მოტივაციის გაზრდას — უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.
მეორე მხრივ, ამ აქტივობებს საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვთ. მასწავლებლის მიერ ხელოვნურად დაშვებული შეცდომები ორიენტირებულია მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებზე. ეს შეიძლება იყოს როგორც ლექსიკური ცოდნის, ისე კონკრეტული გრამატიკული საკითხის განმტკიცება, მაგალითად:

- <u>ლექსიკური:</u> მკერავი მუშაობს კლინიკაში (უნდა იყოს: ატელიეში); ვეტერინარი უვლის ცხოველებს (სწორია: მკურნალობს) და ა.შ.

- <u>გრამატიკული:</u> მეზღვაური მუშაობს გემში (უნდა იყოს: გემზე — თანდებულების სწორად გამოყენება); მომღერალები მღერიან (უნდა იყოს: მომღერლები — მრავლობითი რიცხვის სწორად წარმოება) და ა.შ.

❖ მარტივი წინადადების კონსტრუირება (აგება)

როცა საუბარია სინტაქსის გამართულობაზე, პირველ რიგში, ეს ეხება სუბიექტისა და ობიექტის სწორად გაფორმებას, სიტყვათა სწორი თანმიმდევრობის დაცვას და ა.შ.
შესთავაზეთ მოსწავლეებს რამდენიმე დავალება ზეპირად შესასრულებლად:

1. **ცხრილის შევსება.** დახაზეთ ცხრილი დაფაზე. შეავსეთ პირველი სვეტი პროფესიებით (**ვინ?**), ცხრილის მეორე და მესამე სვეტები კი შეავსებინეთ მოსწავლეებს. აუცილებლობის შემთხვევაში დაეხმარეთ მათ.

ვინ?	აკეთებს?	რას?
მზარეული	ამზადებს	კერძს / საჭმელს
ფოტოგრაფი	იღებს	ფოტოებს
მეყვავილე	უვლის	ყვავილებს
მკერავი	კერავს	ტანსაცმელს
მქსოველი	ქსოვს	სვიტრს
მხატვარი	ხატავს	სურათს
მომღერალი	მღერის	სიმღერას

2. მოცემული წყვილებით წინადადებების აგება. თქვენ ასახელეთ თემატურ წყვილებს და მოსწავლეებმა ისინი წინადადებებად უნდა აქციონ, მაგალითად:

   - მშენებელი / სახლის აშენება (მშენებელი აშენებს სახლს)
   - მასწავლებელი / ბავშვებთან მუშაობა
   - ფოტოგრაფი / ფოტოების გადაღება
   - მკერავი / ტანსაცმლის კერვა
   - მებაღე / მცენარეების მოვლა
   - მზარეული / კერძების მომზადება და ა.შ.

3. ასახელებთ მხოლოდ პროფესიას და წინადადება უნდა დაამთავრონ მოსწავლეებმა, მაგალითად: მშენებელი ... (აშენებს სახლს)

❖ **ზმნის ტიპები** — **ვ**ინიანი / **მ**ანიანი.

გაახსენეთ (თუ საჭიროა, თავიდან აუხსენით) მოსწავლეებს მათი წარმოების წესი, კერძოდ, დააკვირვეთ:

➢ პირველი სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნიშანზე (მე ვარ, მე ვწერ // მე მაქვს, მე მიყვარს);

➢ მესამე სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნაცვალსახელის ბრუნვაზე (ის არის, ის წერს // მას აქვს, მას უყვარს).

ამ ორი განსხვავებული ზმნური სინტასური კონსტრუქციის გახსენება-გამოყენებისათვის შესთავაზეთ მოსწავლეებს როგორც ენობრივი სავარჯიშოები, ისე სათანადო სიტუაციები.

❖ **წარსული განგრძობითი დრო**

მოცემული ენობრივი საკითხი არ არის უცხო მოსწავლეებისათის. მისი მიზანია ამ ენობრივი ცოდნის განმტკიცება ახალი კონტექსტების დახმარებით.

აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიყენეთ მეორე თემაში მოცემული მითითებები (გვ. 73) და თვალსაჩინოებები უწყვეტელთან დაკავშირებით.

სასურველია, თემის დაწყებამდე გაახსენოთ და მოატანინოთ მოსწავლეებს ის ნახატები ან ფოტოები, რომლებზეც იმუშავეს სასწავლო წლის დასაწყისში.
შესაძლებელია, თავიდან შესთავაზოთ იმ დავალების შესრულება (გვ. 3, №3-4) და შემდეგ შეადარებინოთ — რა შეიცვალა და რა არა.

ჰკითხეთ, იციან თუ არა ლექსები საქართველოზე და, მათი სურვილის შემთხვევაში, სთხოვეთ წაიკითხონ.
წაუკითხეთ ნაწყვეტი ანა კალანდაძის ლექსიდან — „საქართველოო ლამაზო!“ და შემდეგ მოასმენინოთ ამავე ლექსზე შექმნილი სიმღერა ცისფერი ტრიოს შესრულებით: https://www.youtube.com/watch?v=-i0b-fmQQJY

ანა კალანდაძე

საქართველოო ლამაზო!

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო...
„სხვა საქართველო სად არი?“

ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა — არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება
„სხვა საქართველო სად არი?“

მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში — ტყე დანაბინდები,
ტყეში — ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარეევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

აჩვენეთ ცოცხალი კადრები საქართველოზე (ნიმუშისათვის გთავაზობთ რამდენიმეს. შეგიძლიათ, თქვენ თავად მოძებნოთ და შეარჩიოთ თქვენი სურვილისამებრ):
საქართველოს ბუნება: https://www.youtube.com/watch?v=LtfEtfXEUl0
https://www.youtube.com/watch?v=bdmLmWY2cK4

ა) აჩვენეთ საქართველოს რუკა და გაახსენეთ რეგიონები:

ინფორმაცია: საქართველოს კუთხეებია: აღმოსავლეთის ბარში კახეთი და ქართლი, მთაში — თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ხევი; დასავლეთის ბარში — იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია და აჭარა, ხოლო მთაში — სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. სამხრეთ საქართველოში — მესხეთი და ჯავახეთი.

ბ) ამის შემდეგ დააკვირვეთ მოსწავლეები რუკაზე მოცემულ ეთნოჯუფებზე და მათ ჩაცმულობაზე — ვინ როგორ იმოსებოდა ძველ საქართველოში. ჰკითხეთ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ ჩაცმულობაში.

გ) ცალ-ცალკე ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ რომელი რეგიონიდან არის, მიაკარით „სტიკერით“ შესაბამის რეგიონს ფურცელზე დიდი ასოებით დაწერილი მათი სახელები და ხმამაღლა გაიმეორეთ ყველას გასაგონად, მაგ., თომა არის ფშავიდან, თომა ფშაველია. აი, ნახეთ, როგორ იმოსებოდნენ თომას წინაპრები ძველ საქართველოში! ახლა ვნახოთ, საიდან არის ანა და ა.შ.

დ) აჩვენეთ საქართველოს ეთნოკულტურული რუკა და იმუშავეთ მასზე დაკვირვებით: მიუთითეთ წარწერაზე და სთხოვეთ, წაიკითხონ, როგორ იწოდება საქართველო — გეორგია. რატომ ეძახიან საქართველოს ასე, რას ნიშნავს „გეორგია“?

გამოთქმული ვერსიების შემდეგ მოსწავლეებს მარტივად მიაწოდეთ შესაბამისი ინფორმაცია:

ეს არის მიწის მუშაკთა, „გეორგიანთა“ ქვეყანა (ბერძნულად მიწას ჰქვია გეა), ხოლო, მეორე მხრივ — ეს არის „წმიდა გიორგის სამწყსო“! წმინდა გიორგი საქართველოს მფარველი წმინდანია დ მის საპატივცემულოდ საქართველოში ყველაზე ხშირად ვაჟებს სწორედ გიორგის არქმევენ.

ე) სთხოვეთ, აღწერონ რუკაზე მოცემული საქართველო; მოძებნონ და დაასახელონ მათთვის ნაცნობი / საინტერესო ადგილები, ღირსშესანიშნაობები და ა.შ.
გაახსენეთ რეგიონები და ჰკითხეთ, რომელ რეგიონშია თოვლით დაფარული მწვერვალები, შავი ზღვა, კოშკები და ა.შ.

ამის შემდეგ გადადით წიგნზე და თანმიმდევრულად შეასრულეთ იქ მოცემული დავალებები.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ. 102-103: დუმბაძის „რა არის სამშობლო?“

ბ) პარალელი დოჩანაშვილის სიტყვებთან ჩანს ამ მონაკვეთში:
„... იქნებ რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია — „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“ ან იქნებ აკაკის „განთიადია“ სამშობლო? ან ვაჟას სიმღერა დ „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!“ ვფიქრობ, სამშობლო დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ არის, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახია“, პაატა სააკაძეა, ქეთევანის დაშანთული მკერდი, თამარის გვირგვინი და „ვეფხისტყაოსანია“ ...

შენიშვნა 1: პირველ რიგში, მიეცით საშუალება, რომ თავად დაასახელონ ვერსიები ტექსტიდან, თუნდაც ეს იყოს მცდარი. საჭიროების შემთხვევაში, მიეცით მინიშნებები — მაგ., მოძებნეთ ამ ეპიზოდში! დოჩანაშვილის ფრაზაში ყურადღება მიაქციეთ სიტყვას — ადამიანი!

მთავარია, მოსწავლეები ჩავაყენოთ აქტიურ მდგომარეობაში, წავახალისოთ და ამგვარად უფრო მოტივირებულები გავხადოთ.

შენიშვნა 2. 6-7 წლის ბავშვებთან იმუშავეთ ტექსტის არა გააზრებაზე, არამედ მის გაგებაზე მარტივი შეკითხვების დახმარებით:

- რომელ კლასში იყო დუმბაძე? რა ჰკითხა მას მასწავლებელმა? რა უპასუხა პატარა ნოდარმა მასწავლებელს? რატომ დაიწყო ტირილი? რა საერთო აქვს სამშობლოს დედასთან?
- მოაძებნინეთ კონკრეტული ინფორმაცია და ამოაწერინეთ, მაგ.:

ქართველი პოეტები	თავდადებული ქართველები

- წააკითხეთ ვასილ გულეურის ლექსი, დაახატინეთ და შემდეგ ასაუბრეთ ნახატის გარშემო. შეადარებინეთ მისი დახატული „რუკა“ საქართველოს რუკასთან.

ლუკას რუკა

მოუტანა მამამ ლუკას
საქართველოს დიდი რუკა.
უთხრა: რამდენიმე ფერით
აქ ხატია ყველაფერი.
დაიხსომებ, იოლია, —
თეთრად დ კავკასიონია,
ლურჯი ფერით დ შავი ზღვა და
ტბები, წყლები დაიხატა,

მწვანედ არის დაბლობები,
ყავისფერად — დიდი მთები,
ეს წრეები, ეს ლაქები —
სოფლები და ქალაქები.
გადასწია თავი უკან
და უცქერის რუკას ლუკა.
თვალი კარგად გააყოლა,
მერე მკლავი დაატოლა,
გააკეთა ბოლოს დასკვნა:
— არ მჯეროდა, მაგრამ, რა ვქნა,
მართალია, აბა რაა —
საქართველო პატარაა!

შენიშვნა 3: წაუკითხეთ ტექსტში მითითებული ლექსები. მიაწოდეთ ინფორმაცია თავდადებული ქართველების შესახებ... მოასმენინეთ „შენ ხარ ვენახი“

გვ. 105, 3-4 — ლექსები
მოცემული დავალებების შესრულების შემდეგ მიეცით ქვემოთ მოცემული ტექსტი და შეასრულებინეთ დავალებები:

- დაუსვით შეკითხვები: რომელ კუთხეებს ასახელებს იაკობ გოგებაშვილი? არის თუ არა ამ ტექსტში საქართველოს ისტორიული მხარეები?

- რომელ მთას ვუწოდებთ სურამის მთას? სად მდებარეობს სურამის მთა (ანუ სურამის ქედი, იგივე ლიხის ქედი)? აჩვენეთ რუკაზე, სად არის ეს ქედი. მიუთითეთ, რომელია აღმოსავლეთი საქართველო და რომელი — დასავლეთი.

- ამის შემდეგ აჩვენეთ საქართველოს საზღვრები: ჩრდილოეთით — კავკასიის მთები, დასავლეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით — დაღესტნის მთები, სამხრეთით — სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი.

საქართველო და მისი ნაწილები

საქართველოს ნაწილებს, ანუ კუთხეებს, ყველას თავისი სახელი ჰქვია. აი, ეს სახელები: კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, აფხაზეთი.
ქართლსა და იმერეთს შორის გაწოლილია ერთი გრძელი მთა, რომელსაც სურამის მთას ვუწოდებთ. ეს მთა საქართველოს ყოფს ორ ნაწილად: აქეთა ნაწილს ჰქვია აღმოსავლეთ საქართველო, იქითა ნაწილს — დასავლეთ საქართველო.
საქართველოს ესაზღვრება: ჩრდილოეთით კავკასიის მთები, დასავლეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით — დაღესტნის მთები, სამხრეთით — სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი.

იაკობ გოგებაშვილის მიხედვით

დაუბრუნდით ტექსტს: რამდენი აბზაცისაგან შედგება? რომელ აბზაცში იყო საუბარი საქართველოს კუთხეებზე? სურამის ქედზე? რის შესახებ იყო საუბარი მესამე აბზაცში?

მიეცით რუბრიკები და დააკავშირონ აბზაცებთან: **საზღვრები, კუთხეები, საქართველოს ნაწილები**

გვ. 114-115: ლევილის ქართული მამული (ტექსტის გაგება და გააზრება)

მოცემული ტექსტები არ არის რთული და მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ მათი გაგება. მათ არ მოეთხოვებათ ამ ტექსტების არც სიტყვასიტყვით გაგება და არც მათი დასწავლა და მოყოლა. მთავარია, გაიგონ ზოგადი შინაარსი — რაზეა საუბარი და მიხვდნენ ავტორის მთავარ სათქმელსა და ცალკეულ დეტალებს.

ტექსტების გასააზრებლად საკმარისია წიგნში მოცემული დავალებების შესრულება, რომლებიც არ არის რთული და შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს.

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად გადაწყვიტოს და მხოლოდ უფროსი ასაკის მოსწავლეებს მისცეს ეს დავალებები შესასრულებლად, თუმცა როგორც ინფორმაცია, აუცილებელია, რომ გააცნოს პატარებსაც.
შესაძლებელია, მათ ვთხოვოთ ტექსტებიდან მარტივი და კონკრეტული ინფორმაციების მოძიება (მაგ., ქართული სამზარეულო, გარემოს აღწერა და ა.შ.).

პროექტი — **პირადი წერილის შექმნა:**

პირადი წერილის მახასიათებელი ნიშნები:

- ტექსტის სტრუქტურა
- ენობრივი ფორმულები
- ეტიკეტი

წერითი დავალების შესრულებამდე, კარგად დარწმუნდით, აქვთ თუ არა მოსწავლეებს ის ენობრივი ცოდნა, რომლის გამოყენებაც მოუწევთ მათ წერითმეტყველებაში. თუ საჭირო იქნება, კვლავ გააგრძელეთ მუშაობა და მსგავსი წერილი შესთავაზეთ მოსწავლეებს სავარჯიშოდ.

დამატებით სამუშაოდ გთავაზობთ ახალ სამოდელო წერილს თავისი აქტივობებით, რომელსაც გამოიყენებთ იმის მიხედვით, იქნება თუ არა ამის საჭიროება:

გამარჯობა, ბექა!

როგორ ხარ? როგორ არიან თინა დეიდა და გურამი ბიძია? ორივე მომიკითხე.

ბექა, **მინდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი გაგაცნო**. მას ნიკა ჰქვია. ნიკა ჩემზე ერთი წლით უფროსია. სამი თვის წინ გადმოვიდა ჩვენს ეზოში საცხოვრებლად.

მე და ნიკა მალე დავმეგობრდით. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ნიკაც ჩემსავით მხიარული და ცნობისმოყვარეა, გარეგნობით კი ჩემთან შედარებით უფრო მაღალი და გამხდარია, აქვს დიდი თაფლისფერი თვალები და ქერა თმა.

ნიკა ფეხბურთზე დადის. იცი, რა მაგრად თამაშობს ფეხბურთს? მეც ვაპირებ მასთან ერთად სიარულს. რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გაგაცნობ.

აბა, შენ იცი, ნახვამდის!

სანდრო
24 ოქტომბერი, 2017 წ.

ა) წააკითხეთ წერილი და დაუსვით <u>შეკითხვები:</u> *ვინ არის წერილის ავტორი? ვინ არის ადრესატი (ანუ, ვის წერს წერილს?) როდის არის წერილი დაწერილი? რა არის წერილის მიზანი, დანიშნულება? (საუკეთესო მეგობრის გაცნობა); სად არის მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება? საიდან ჩანს, რომ წერილის ადრესატი მისი თანატოლია? როგორ მიესალმებოდა, მოიკითხავდა, დაემშვიდობებოდა უფროსს?*

ბ) წერილის ფორმალური მხარის (*მისალმება, მოკითხვა, წერილის ძირითადი სათქმელი, დამშვიდობება და ხელმოწერა*) დამუშავების შემდეგ ამუშავეთ ცალკეული აბზაცის შინაარსზე, მის ძირითად სათქმელზე:

- *რა არის პირველ აბზაცში გადმოცემული? — <u>მოკითხვა;</u>*
- *რომელ აბზაცშია წარმოდგენილი წერილის მიზანი? — <u>მეორეში</u>.*
- *კონკრეტულად რა ინფორმაციაა მოცემული ნიკას შესახებ ამ აბზაცში? — <u>ვინაობა, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი;</u>*
- *რომელ აბზაცში ახასიათებს სანდრო ნიკას? — <u>მესამე აბზაცში;</u>*
- *რის შესახებ საუბრობს ის მეოთხე აბზაცში? — <u>ნიკას გატაცებებზე (რა აინტერესებს ნიკას) და თავის სამომავლო გეგმებზე (რას აპირებს თვითონ სანდრო).</u>*

სქემის დახმარებით, გაახსენეთ ფამილარული და თავაზიანი ფორმები, რომელთა გამოყენებაც შესაძლოა დასჭირდეთ წერილში:



ბოლოს მიეცით მოსწავლეებს წერილი დასაწერად.

შეგიძლიათ, თქვენ თავად განუსაზღვროთ მოსწავლეებს საკომუნიკაციო სიტუაცია (წერილის ადრესატი და წერილის მიზანი).

წერითი დავალების შეფასების სქემა იხ. მომდევნო გვერდზე:

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• იძლევა მის პირად ინფორმაციას; • აღწერს მის გარეგნობასა და ხასიათს, რა უყვარს და რა აინტერესებს; • უთითებს, სად და როდის გაიცნო; • საუბრობს, რით ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს მისალმების, მიმართვის, მოკითხვისა და დამშვიდობების ენობრივ ფორმულებს; • გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას.	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • შედარებითი დახასიათებისას სწორად იყენებს შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს; • სწორად იყენებს ნასწავლ ლექსიკას.	0 – 1 – 2

დამატებით გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს რეზო ინანიშვილის მოთხრობიდან — „პატარა ბიჭის წერილი დედას", რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სურვილისამებრ და წააკითხოთ მოსწავლეებს. ტექსტი არ არის რთული და შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს. ტექსტს იქვე ახლავს ორიოდე აქტივობა გასააზრებლად (იხ. დანართში, გვ. 137).

ენობრივი საკითხები:

მნიშვნელოვანი ენობრივი საკითხები, რომელიც აქ მუშავდება, არ არის მოსწავლეებისთვის უცხო. შესაბამისად, წიგნში მოცემული დავალებების შესრულება მათ არ უნდა გაუჭირდეთ. ეს დავალებები ემსახურება დამუშავებული ენობრივი საკითხის ათვისებასა და მის განმტკიცებას. ჩვენი მიზანია მოსწავლეთა წინარე ენობრივი ცოდნის კიდევ ერთხელ გააქტიურება და სხვადასხვა კონტექსტში მისი სათანადოდ გამოყენება.

ზმნები: ყოფს, ესაზღვრება, აკავშირებს, აკრავს

წარმოდგენილი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს, სათანადოდ გაიაზრონ ამ ზმნების კონტექსტური გამოყენება და შეძლონ სწორი სინტაქსური კონსტრუქციების (ანუ წინადადებების) აგება. ნუ შეეცდებით ამ ზმნური ფორმების მორფოლოგიურ დამუშავებას. საკმარისია ის, რომ მოსწავლეებმა დაინახონ მათ შორის განსხვავება. რაც შეეხება ამ ზმნების დამახსოვრებას, ნუ დააძალებთ მოსწავლეებს მათ მყისიერ დაზეპირებას. ეს თანდათან უნდა მოხდეს. ამისთვის კი საჭიროა კონტექსტში მათი ხშირი გამოყენება.

მოცემული დავალება ემსახურება იმას, რომ მოსწავლემ თვალსაჩინოდ დაინახოს და, შესაბამისად, გაიაზროს ფორმათწარმოების ორი განსხვავებული წესი:



მიზანი ამ ფორმების დამახსოვრება და მათი სწორი გამოყენებაა, რასაც უნდა მიაღწიოთ სათანადო კონტექსტებში მათი ინტენსიური გამოყენებით.

მარტივი წინადადების სტრუქტურა — ძირითადი და დამატებითი ინფორმაცია (გვ. 114)

აქ ყურადღება გამახვილებულია წინადადებაში არა სიტყვათა წყობაზე და ამ სიტყვებ შორის გრამატიკულ კანონზომიერებებზე (სიტყვათშეხამებების სისწორეზე, შეთანხმებებზე, შესიტყვების სწორად შედგენის ერთგვარ წესებზე), არამედ მარტივი წინადადების საზღვრებში ინფორმაციის გადმოცემაზე, წინადადების შინაარსზე.

რთული რიცხვები:

ბუნებრივია, მოსწავლეებს გაუჭირდებათ ამ რიცხვების ერთბაშად დამახსოვრება და ეს არც უნდა მოვითხოვოთ. სასურველია, გამოვიყენოთ ყველა სიტუაცია და ყოველ ჯერზე, როცა კი ამის საჭიროება იქნება, დავსვათ სათანადო შეკითხვები.

კომუნიკაციური თვალსაზრისით, მოცემული თემის პრიორიტეტია მოგზაურობასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება.

სამეტყველო ფუნქციებია:

- ინფორმაციის გაცვლა მოგზაურობასთან დაკავშირებით; გეგმები, განზრახვა; ინტერესები და სურვილები;
- პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება;
- შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა;
- არჩევანის გაკეთება და დასაბუთება.

შეასრულებინეთ წიგნში მოცემული დავალებები თანმიმდევრულად. მოცემული დავალებით აქტიურდება მიზეზშედეგობრივი კავშირის (იმიტომ, რომ) სათანადოდ გამოყენება და ასევე **მომწონს, მიყვარს, მაინტერესებს** ზმნების სინტაქსური კონსტრუქციები. ეს ენობრივი საკითხი მოსწავლეებისათვის ნაცნობია, ამდენად, არ უნდა გაუჭირდეთ შესაბამისი დავალებების შესრულება.

ახალი ენობრივი საკითხი, რომლის დამუშავებაც აქ იწყება, ეს არის მომავალში შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულების გადმოცემა, რომელიც მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმით გამოიხატება. სახელმძღვანელოში მოცემული მარტივი განმარტებების გარდა ქვემოთ (იხ. ენობრივი საკითხები) დამატებით მოცემულია რეკომენდაციები და თვალსაჩინოებები, რომელიც შეუძლია მასწავლებელს გამოიყენოს აუცილებლობის შემთხვევაში.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ.. 130, 1 — ცნობილი მოგზაურები და მოგზაურობები

მოცემული მოგზაურებიდან (თომას კუკი, ჯუმბერ ლეჟავა, ფილეას ფოგი და ჩახრუხაძე) ფილეას ფოგი არ არის რეალური პიროვნება. ის ცნობილი ფრანგი მწერლის — ჟიულ ვერნის სათავგადასავლო რომანის — „80 დღე დედამიწის გარშემო“ — პერსონაჟია. ამ ჩამონათვალში მისი შეყვანა ერთგვარი პროვიკაციაა მოსწავლეებისთვის.

ინფორმაცია მასწავლებლებისთვის ჩახრუხაძის ტექსტთან დაკავშირებით:

მექა — საუდის არაბეთის მექას პროვინციის დედაქალაქი. მდებარეობს წითელი ზღვიდან 80 კმ-ში. ქალაქი ისლამის უწმინდეს ადგილად ითვლება და ჰაჯის მიხედვით ყველა ფიზიკურად ჯანმრთელ და შეძლებულ მუსლიმანს მოეთხოვება ამ ადგილის მონახულება სიცოცხლეში ერთხელ მაინც.
ქალაქი საუდის არაბეთში, ჰიჯაზის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი; მუსლიმანთა რელიგიური ცენტრი, სადაც მდებარეობს ქააბას ტაძარი (620 ათასი).

ბასრა — სიდიდით მეორე და მთავარი საპორტო ქალაქი ერაყში. VIII-IX საუკუნეებში სახალიფოს მნიშვნელოვანი კულტურული და ეკონომიკური ცენტრია. 1258 წელს დაიპყრეს მონღოლებმა.

ბაღდადი — ერაყის დედაქალაქი (1921-იდან) 5.672.516 მაცხოვრებელით (2005 წლის 1 იანვრის მონაცემებით). გაშენებულია მდინარე ტიგროსის ნაპირებზე, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ცენტრალური და სამხრეთი აზიის ქვეყნების დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე.

თავრიზი — ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსტანის ადმინისტრაციული ცენტრი.

შენიშვნა: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ რთულ რიცხვებს.

გვ. 136, 2 — ინსტრუმენტალისი (**რით?**)

ამ დავალებების შესრულებისას ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეებმა სწორად გამოიყენონ სახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა — **რით?** *კომპასით, თერმოსით, მზის სათვალით და ა.შ.*

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი პოზიციის დასაბუთებისას (მე-3 დავალება) სწორად გამოიყენონ წინადადებაში კავშირი: **იმიტომ, რომ.**

გვ. 141 — მოგზაურობა უცხო ქვეყანაში

პირველ რიგში, მოსწავლეებს დაამუშავებინეთ ილუსტრაციები. სთხოვეთ, აღწერონ ფოტოები — *რა არის მათზე გამოსახული? სად არის ეს ფოტოები გადაღებული? წელიწადის რომელ დროს? და ა.შ.*

ჰკითხეთ, რა იციან თურქეთისა (კაბადოკია) და მექსიკის შესახებ — დაასახელონ 3 რამ, რაც მათთვის ამ ქვეყნებთან ასოცირდება.
ჰკითხეთ, აქვთ თუ არა ამ ქვეყნებში მოგზაურობის სურვილი? რატომ აქვთ ან რატომ არ აქვთ? სურვილის შემთხვევაში, რისი ნახვა სურათ / რას ნახავენ იქ?

ამის შემდეგ წააკითხეთ ფოტოების ქვეშ მოცემული ინფორმაციები და დაეხმარეთ მათთვის უცნობი ლექსიკის დაზუსტებაში.
ბოლოს გააცანით დავალების პირობები და შეასრულებინეთ მოცემული დავალებები.

გვ. 143 — აღმოაჩინეთ საქართველო!

ეს ქვეთემა მოსწავლეებს სთავაზობს, უფრო ახლოს მიიყვანოს ისინი მშობლიურ ქვეყანასთან. მოცემული დავალებების დახმარებით მათ შესაძლებლობა ეძლევათ, მეტ-ნაკლებად (რის საშუალებასაც ენის ფლობის კონკრეტული დონე იძლევა) ახლოს გაიცნონ საქართველო და კონკრეტული რეგიონები; მოიძიონ მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციები და შეადგინონ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მინიგზამკვლევი (გვ. 147, პროექტი).

<u>ნაკლული ტექსტის შევსება:</u>

ამ დავალების შესრულების სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ჩასასმელია არა ცალკეული სიტყვები, არამედ წინადადებები, რაც უფრო მეტ დაფიქრებას ითხოვს მოსწავლეებისაგან. სასურველია, რომ მოსწავლეები წყვილებში ამუშაოთ (დააჯგუფოთ უმცროსი და უფროსი ასაკის მოსწავლეები). აუცილებლობის შემთხვევაში, დაეხმარეთ მათ კონკრეტული მინიშნებებით.

პირველ რიგში, წააკითხეთ ჩასასმელი წინადადებები და დარწმუნდით, რომ ყველას ესმის მათი მნიშვნელობა. ჰკითხეთ, რა იციან მათ რუსთაველის წარმომავლობის შესახებ. მიაწოდეთ ინფორმაცია მის შესახებ:

> ხალხური გადმოცემით, პოეტი მესხი უნდა იყოს. მესხად თვლის მას პოეტი არჩილ II. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანიც მიგვანიშნებს შოთას მესხურ წარმოშობაზე. შეასძლებელია, სახელწოდება რუსთაველი უკავშირდებოდეს მესხეთის რუსთავს, რომელიც მდებარეობს ახალციხე-ასპინძის შარაგზის მახლობლად.

პირველი წინადადება შეასრულეთ მოსწავლეებთან ერთად. გააკეთეთ მინიშნებები რუსთაველზე და დაელოდეთ მათ პასუხებს.

ამის შემდეგ ამუშავეთ დამოუკიდებლად. აკონტროლეთ სიტუაცია და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს მსგავსი აქცენტების დასმით.

დაუბრუნდით ბავშვების რეპლიკებს. პატარებს მიეცით მარტივი საკითხავი ამოცანები, კერძოდ: ამოწერონ ან მონიშნონ, რისი ნახვა შეიძლება:

- მესხეთ-ჯავახეთში?
- სვანეთში?
- სამეგრელოში?

გვ. 148 — წავიკითხოთ და გავიაზროთ

მოსწავლეებს ვაცნობთ საქართელოს ერთ-ერთი ულამაზეს კუთხეს — სვანეთს: მის მდებარეობას; სოფელ უშგულს, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ევროპაში ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილია. ვუყვებით სვანურ კოშკებზე — რამდენსართულიანია, რა სიმაღლისაა, რით არის აშენებული და ა.შ.

მოცემული ინფორმაციები როგორც თემატურად, ისე ლექსიკურად პირდაპირ შეესაბამება მოცემული თემის ენობრივ მოთხოვნებს. მოცემული ტექსტები არ არის რთული და მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ მათი გაგება.

მათ გასააზრებლად საკმარისია წიგნში მოცემული დავალებების შესრულება, რომლებიც არ არის რთული და შეესაბამება ენის ფლობის მოცემული დონის მოთხოვნებს.

გთავაზობთ ორიოდე დავალებას ტექსტის გაგება-გააზრებისათვის:

ა) უპასუხეთ შეკითხვებს:

- რატომ არის სვანეთში ზეცა პატარა?
- რას ადარებს მწერალი ჩანჩქერებს?
- რა ბინადრობს საჯიხვეებში?
- სად მდებარეობს საჯიხვეები?

ბ) მოძებნეთ და დაასახელეთ, როგორ ახასიათებს მწერალი: მთას, საჯიხვეებს, მყინვარებს, კოშკებს.

შენიშვნა: ლეგენდის გაცნობის შემდეგ დააკვირვეთ ფოტოზე და აუხსენით, რომ კავკასიონის ქედზე ეს ორი მწვერვალი — უშბა და თეთნულდი — მართლაც ისე დგას, თითქოს ერთმანეთს პირისპირ მისჩერებიან.

ენობრივი საკითხები:

თემის საკომუნიკაციო მიზნიდან გამომდინარე, აქტიურდება მომავალი დრო.

<u>თემის ძირითადი გრამატიკული საკითხები:</u>

- მომავალში შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულება (სურვილი, შესაძლებლობა, აუცილებლობა)
- II კავშირებითი და მისი ფუნქციები
- მინდა / შემიძლია + II კავშირებითი

სურვილებისა და განზრახვის გადმოსაცემად შემოდის მოსწავლეებისათვის ნაცნობი ენობრივი ფორმულა ახალ კონტექსტში — **მინდა, შემიძლია / შეგიძლია + საწყისი**.

ვიდრე მეორე კავშირებითს მიუბრუნდებოდეთ, კიდევ ერთხელ გააააქტიურეთ მყოფადის მწკრივის ფორმათა წარმოება. დარწმუნდით, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ ამ მწკრივის გაგება და ფუნქციური გამოყენება და ისე გადადით ახალ ენობრივ საკითხზე:

მთავარი ენობრივი საკითხია მომავალში შესასრულებელი სასურველი, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედების გამოხატვა. ქართულში ამის გადმოსაცემად გამოიყენება II კავშირებითის ფორმა:

მინდა გავაკეთო ... / შემიძლია გავაკეთო ... / უნდა გავაკეთო ...

მინდა შემიძლია უნდა	+ II კავშირებითი

ვიდრე უშუალოდ დაიწყებთ ამ საკითხის დამუშავებს, გაახსენეთ მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი ენობრივი ფორმულა, რომელიც ისწავლეს მათ საკუთარი ინტერესების / სურვილებისა და განზრახვის გადმოსაცემად:

მე მინდა ვიყო + ვინ? (ექიმი, მასწავლებელი, მშენებელი...)

მას უნდა, რომ იყოს + ვინ? (ექიმი, მასწავლებელი, მშენებელი...)

პარალელურად შესთავაზეთ მოსწავლეებს ეს ენობრივი ფორმულები და ისე დააკვირვეთ მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე (სასურველია, რომ ისინი წინასწარ მოამზადოთ დიდ ფორმატზე, ან დაწეროთ დაფაზე, რომ ამისათვის არ დაიკარგოს დრო):

როდის? — მომავალში (ხვალ, ზეგ, ერთი კვირის შემდეგ, როცა გავიზრდები და ა.შ.)	
ვინ მინდა, რომ ვიყო?	რა მინდა, რომ გავაკეთო? რა შემიძლია, რომ გავაკეთო? რა უნდა გავაკეთო?
მინდა ვიყო მასწავლებელი, ექიმი, მხატვარი, ფეხბურთელი, მებაღე, მეზღვაური და ა.შ.	**მინდა / შემიძლია / უნდა** დავხატო, წავიდე, ავაშენო, ვუმკურნალო, ვითამაშო და ა.შ.

ამ ენობრივ ფორმულას ვიყენებთ მაშინ, როცა ვსაუბრობთ ჩვენს მომავალ პროფესიაზე / პროფესიულ საქმიანობაზე.

ამ ენობრივ ფორმულებს ვიყენებთ მაშინ, როცა გამოვხატავთ, ზოგადად, ჩვენს დამოკიდებულებას მომავალში შესასრულებელი მოქმედებისადმი.

ჩამოწერეთ შესაბამისი წინადადებები, რათა უკეთ გაიაზრონ მოსწავლეებმა, რას ნიშნავს მომავალში შესასრულებელი მოქმედების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება:

მე მინდა, რომ ხვალ წავიკითხო ეს წიგნი.

მე შემიძლია, ხვალ წავიკითხო ეს წიგნი.

მე ხვალ უნდა წავიკითხო ეს წიგნი.

საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ მათი სწავლების ენა და ისე გააგებინეთ ამ წინადადებებში გამოხატული მოდალობებ შორის არსებული განსხვავება (სურვილი, შესაძლებლობა და აუცილებლობა). გაავლეთ პარალელი მათს საკომუნიკაციო ენასთან — როგორ გამოვხატავთ ამ მოდალობებს იმ ენაში? რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის ამ თვალსაზრისით?

ამ ენობრივ საკითხს ეხება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ინტერაქტიული დავალებები და წმინდა ენობრივი სავარჯიშოები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, სათანადოდ გაიაზრონ ნაწავლი ზმნების კონტექსტური გამოყენება და, ზოგადად, შეძლონ სწორი სინტაქსური კონსტრუქციების (ანუ წინადადებების) აგება.

მოცემული დავალებები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ და გაიაზრონ მათ შორის არსებული განსხვავება როგორც შინაარსის, ისე წარმოების თვალსაზრისით.

შენიშვნა 1: ამ ეტაპზე ნუ მოსთხოვთ მოსწავლეებს ამ ფორმათა ერთბაშად, მყისიერ დაზეპირებას. მათი დაუფლებისათვის აუცილებელია სათანადო საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნა, რომლებშიც მოსწავლეებს ბუნებრივად მოუწევთ მათი გამოყენება, მით უფრო, რომ მოცემული ენობრივი კონსტრუქციები საკმაოდ აქტიური ხმარებისაა და ყოველდღიურად გამოიყენება შესასრულებელი მოქმედებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად — *რა უნდათ, რომ გააკეთონ; რა შეუძლიათ, რომ გააკეთონ ან რა უნდა გააკეთონ მათ აუცილებლად, მაგალითად:*

- *თომა, რა უნდა გააკეთო დღეს საღამოს? — უნდა წავიკითხო წიგნი, უნდა ვუყურო ჩემს საყვარელ გადაცემას, უნდა წავიდე სტუმრად, უნდა ვითამაშო ეზოში ? უნდა გავერთო მეგობრებთან ერთად, უნდა მივეხმარო მშობლებს და ა.შ.*

შენიშვნა 2: ვინაიდან ეს აქტივობები ფორმების გაგება-გააზრებისათვის სრულდება, ამიტომ გრამატიკული სავარჯიშოები (*მაგ., ზმნური ფორმების არჩევა და ჩასმა წინადადებებში, ცხრილების შევსება, წინადადებების შეცვლა / გადაყვანა ერთი დროდან მეორეში, სახელის არჩევა და ჩაწერა შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციებში* და *ა.შ.*) თქვენთან ერთად უნდა შერულდეს.

რაც შეეხება დიალოგების აგებას, ან სხვა საკომუნიკაციო სიტუაციებზე მუშაობას, მიეცით მოსწავლეებს საშუალება, რომ დამოუკიდებლად გაართვან მათ თავი. დაეხმარეთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

კომუნიკაციური თვალსაზრისით, მოცემული თემის პრიორიტეტია ინტერაქცია ჯანსაღი ცხოვრების გარშემო; არგუმენტირებული მსჯელობა მავნე ჩვევებზე, არასწორ კვებაზე, კომპიუტერთან დაკავშირებულ პრობლემებზე; საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და პოზიციის გამოხატვა დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით და ასევე სხვების პოზიციების შეფასება.

ახალი ენობრივი საკითხი, რომლიც მუშავდება, წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითის გაგება-გააზრება და მისი ფუნქციური გამოყენება.
სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებები და შეთავაზებული ენობრივი და კომუნიკაციური სავარჯიშოები ხელს უწყობს არა მხოლოდ საკითხის ჯეროვნად გაგება-გააზრებას, არამედ მის ათვისებასაც. დამატებით ამას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი:

- ბრძანებითის მწკრივის ფორმათწარმოების სიმარტივე (რომელიც ეყრდნობა მათთვის ნაცნობ და უკვე ნასწავლი მწკრივების ფორმებს);
- ასევე თავად ბრძანებითის აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში (საუბარია საკლასო ინსტრუქციებზე: მოდი(თ), დაწერე(თ), აიღე(თ), გადაშალე(თ) და წაიკითხე(თ), ადექი(თ), დაჯექი / დასხედით და ა.შ.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ. 150, 1:
პირველი დავალების შესრულების შემდეგ დაუბრუნდით ფოტოებს და იმუშავეთ ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

აქ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ილუსტრაციების მრავალმხრივ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში. სთხოვეთ:

1. აღწერონ ფოტოები ჯერ ცალ-ცალკე — რა არის მათზე გამოსახული? რომელ ფოტოზეა ტბა, ზღვა, თოვლიანი მთები, ტყე, მინდორი...? სურათების აღწერის დროს შეამოწმეთ, რამდენად ახსოვთ ნასწავლი სახელური და ზმნური ლექსიკა მოსწავლეებს.
2. შეადარებინეთ ფოტოები ერთმანეთს — რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
3. მოაძებნინეთ მითითებული ქვეყნები (და, შესაძლებლობის ფარგლებში, კონკრეტული კუნძულებიც) რუკაზე.

ამის შემდეგ გადადით მორიგ დავალებებზე და შეასრულეთ ისინი მოცემული მითითებებით.

გვ. 153, 5.
დავალების შესრულებამდე, დაამუშავეთ ბლოკებში მოცემული დროის მარკერები:
- რომლები მიუთითებენ დღე-ღამის მონაკვეთებს?
- გაახსენეთ საათის ცნობა. საჭიროებისამებრ, გაავარჯიშეთ სქემის გამოყენებით:

შეადარეთ მოცემული წინადადებები ერთმანეთს.



1. **გვიან** ვიღვიძებ.
2. **დილით გვიან** ვიღვიძებ.
3. **კვირას დილით გვიან** ვიღვიძებ.
4. **კვირას დილით გვიან. 10 საათზე**, ვიღვიძებ.

სქემის გამოყენებით ასაუბრეთ ყოველდღიური საქმიანობის შესახებ:

- დღის რომელ მონაკვეთში, როდის, რომელ საათზე რას აკეთებენ?
- რას აკეთებენ ...-ის წინ (მაგ., ვახშმის წინ), ...-ის შემდეგ (მაგ., სკოლის შემდეგ)? და ა.შ.

წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს: როდის მიდის სკოლაში? როდის აქვს ქართული ცეკვა? როდის უყურებს გადაცემას?

ანა პარასკევს დილით სკოლაში მიდის. შუადღისას, სამ საათზე აქვს ქართული ცეკვის გაკვეთილი. შაბათს გვიან საღამოს საინტერესო გადაცემას უყურებს ცხოველებზე.

მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით (**მით უფრო, 6-7 წლის მოსწავლეებთან**), შესთავაზეთ დამატებით უფრო მარტივი ცხრილი დაკვირვებისათვის:

რომელი საათია?	**რომელ საათზე?**
ორი საათია	ორ საათზე
ორ-ის ნახევარია	ორ-ის ნახევარზე
ორ-ის ხუთი წუთია	ორ-ის ხუთ წუთზე
ორ-ს აკლია ხუთი წუთი	ორ-ს რომ აკლია ხუთი წუთი

სქემაზე დაკვირვებით გაახსენეთ და გააქტიურებინეთ ...-ის წინ / ...-ის შემდეგ ენობრივი ფორმულები:



შეასრულებინეთ ენობრივი სავარჯიშოები:

ა) უნდა აირჩიონ და ჩაწერონ კონტექსტის მიხედვით.

ორი დღის წინ იყო / ორი დღის შემდეგ იქნება

1. 10 მაისია. —---------- 8 მაისი.
2. ორშაბათია. —---------- ოთხშაბათი.
3. შაბათია. —---------- ორშაბათი.
4. 23 აპრილია. —---------- 21 აპრილი.
5. 8 ივნისია. —---------- 20 ივნისი.

ბ) დაასრულონ წინადადებები.

დღეს 18 თებერვალია.

სამი დღის წინ იყო —----------
სამი დღის შემდეგ იქნება —----------

დღეს სამშაბათია.

ორი დღის შემდეგ იქნება —----------
ორი დღის წინ იყო —----------

შეავსონ მოცემული სიტყვთშეხამებები დროის შკალებზე (12-14 წლის მოსწავლეებისათვის).



ახლა ხუთშაბათია



ხვალ

თხუთმეტი წუთის შემდეგ

ათი დღის შემდეგ

მომავალ კვირას

სამი საათის შემდეგ

მომავალ წელს

შემდეგ ხუთშაბათს

მომავალ ზაფხულს

ორი კვირის შემდეგ

ამის შემდეგ წინა დავალებების გამოყენებით შეადგენინეთ წინადადებები.

საკმარისი გავარჯიშების შემდეგ დაუბრუნდით სახელმძღვანელოს და გააგრძელეთ დავალებების შესრულება თანმიმდევრობით.

გვ. 169, 3 — სავარჯიშოები მეხსიერების შესამოწმებლად:

სავარჯიშო 1-ლი: *თოვლი-ზამთარი, ძროხა-რძე, ცხენი-თივა, ცეცხლი-ხანძარი, მთვარე-ღამე.*

სავარჯიშო მე-2: *დილა, ბავშვი, მდინარე, ანკესი, ბურთი, მოედანი, ფეხი.*

სავარჯიშო მე-3: *ერთხელ მოხუცმა მასწავლებელმა ყუთიდან ერთი მუჭა ძვირფასი ქვები ამოიღო, მაგიდაზე დააწყო და თავის მოსწავლეს უბრძანა. რამდენ ხანსაც გინდა, უყურე. შემდეგ კი შევამოწმოთ, რაც დაინახე, დაიმახსოვრე თუ არაო.*

სავარჯიშო მე-4: *1. ცხენი ლამაზი, ძლიერი და ჭკვიანი ცხოველია. 2. ცხენოსანი ანუ მხედარი — ძლიერების, სილამაზისა და ჯანმრთელობის სიმბოლოა. 3. ცხენოსნობა არა მარტო ფიზიკურად აჯანსაღებს ადამიანს, არამედ ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს მასზე.*

მართალია, მოცემული თემა კომუნიკაციური და ენობრივი მიზნების თვალსაზრისით, მრავალფეროვანია, თუმცა სიახლე, ენობრივი თვალსაზრისით, არ შემოდის.

ენობრივი საკითხები, რომელიც აქ მუშავდება, არ არის მოსწავლეებისთვის უცხო. შესაბამისად, წიგნში მოცემული დავალებების შესრულება მათ არ უნდა გაუჭირდეთ. ეს დავალებები ემსახურება დამუშავებული ენობრივი საკითხის ათვისებასა და მის განმტკიცებას. ჩვენი მიზანია მოსწავლეთა წინარე ენობრივი ცოდნის კიდევ ერთხელ გააქტიურება და სხვადასხვა კონტექსტში მისი სათანადოდ გამოყენება.

ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნებია:

- დროსა და სივრცეში ორიენტირება — შესაბამისი ენობრივი მარკერების გაგება და ფუნქციური გამოყენება;
- გარემოს / ადამიანების აღწერა-დახასიათება;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი ქცევის/ მოქმედების მიმართ;
- ფაქტებისა და მოვლენების შედარება და მარტივი დასკვნების გაკეთება;
- შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა — სურვილი, შესაძლებლობა, რჩევა და აუცილებლობა (მეორე კავშირებითი და მისი ფუნქციები);
- წარსულის ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემა.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ. 172. სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედარება და მათი სტრუქტურულ-ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა

შენიშვნა 1: სამივე ტექსტი ერთსა და იმავე თემას ეხება, რაც უფრო მკაფიოდ აჩვენებს სხვადასხვა ტიპის ტექსტის სტრუქტურულ და ენობრივ თავისებურებებს.

რეკომენდაციები 7-8 წლის მოსწავლეებთან სამუშაოდ: შეგიძლიათ, ამუშაოთ ისინი მხოლოდ მეორე და მესამე ტექსტებზე. გთავაზობთ საკვანძო კითხვებს ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მათ პასუხების მოძებნაში — მიუთითეთ ადგილი, სად უნდა მოძებნოს პასუხი; მიუთითეთ საკვანძო სიტყვა (ე.წ. სიტყვა გასაღები), რომელიც მიიყვანს სწორ პასუხამდე და ა.შ.

მეორე ტექსტი:

- როდის არის დაწერილი ეს ტექსტი? (11 აპრილი, პარასკევი, ღამის 10 საათი)
- ჩანს თუ არა ტექსტში ავტორის ვინაობა? (არა)
- ჩანს თუ არა ავტორის სადაურობა? (კი)
- სად ჩანს? მიუთითეთ ფრაზა (მინდა, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს).

შენიშვნა: აქ ორი საკვანძო სიტყვაა — **თბილისი** და **ჩამოსვლა**. იმისათვის, რომ მოსწავლემ ეს გაიგოს, საჭიროა წინარე ენობრივი ცოდნის გააქტიურება (ანუ ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია — მიმართულების ჩვენება). საკვანძო სიტყვების მინიშნების შემთხვევაშიც თუ გაუგებარი დარჩა მოსწავლისთვის ეს პასუხი, აუცილებლად დაუთმეთ დრო ზმნისწინზე მუშაობას და გაახსენეთ ეს ენობრივი საკითხი.

ზმნისწინი და მისი ერთ-ერთი ფუქცია (მიმართულების ჩვენება): წასვლა ზმნა

დაკვირვების გზით გაამახვილებინეთ ყურადღება წარმოების წესსზე. წააკითხეთ ზმნური ფორმები — მიდის, მოდის, ადის, ჩადის, გადადის, გადმოდის — და ჰკითხეთ, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან / რა აქვთ ამ ზმნებს სხვადასხვა?

მი(დის), მო(დის), ჩა(დის), ა(დის), გადა(დის), გადმო(დის).

საჭიროებისამებრ, მიანიშნეთ ამ განსხვავებაზე. აუხსენით, რომ ეს არის ზმნისწინი და მიუთითებს სხვადასხვა მიმართულებას:

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

მიდის იქით, მაგრამ მოდის აქეთ; ადის ზევით, მაგრამ ჩადის ქვემოთ და ა.შ.

გამოიყენეთ სქემა და პარალელურად კიდევ ერთხელ დააკვირვეთ ამ ენობრივ მექანიზმზე.



მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს პირველი პირი — **მე**



<u>მესამე ტექსტის კითხვები:</u>

- რა ჰქვია წერილის ავტორს?
- რამდენი წლისაა ბექა?
- ვის წერს ბექა წერილს?
- როდის დაწერა ბექამ წერილი?
- ვის შესახებ წერს ბექა მშობლებს?
- ვინ არიან მაქსი და ირენა?
- ვინ არიან ლაშა და თაკო?
- რით ჰგვანან ბექა და მაქსი ერთმანეთს და რითი განსხვავდებიან ისინი?
- ვინ არიან ტოლები?
- როგორი მშობლები ჰყავს მაქსს?

შეადარებინეთ მეორე და მესამე ტექსტები ერთმანეთს. მოაძებნინეთ საერთო ინფორ-მაცია — არის მეორეშიც და მესამეშიც.
დაუბრუნდით მეორე ტექსტის ავტორს და თავიდან დაუსვით შეკითხვა: ვინ არის მისი ავტორი და საიდან ჩანს ეს ინფორმაცია?

შესაძლებელია, მისცეთ მათ სქემები და შეავსებინოთ ისინი ტექსტების მიხედვით.

ა) <u>სქემა ბექას შესახებ:</u>



ბ) შეადგენინეთ მსგავსი სქემა მაქსის შესახებ და შეავსებინეთ.

გვ. 174 — ბექას დღიურზე მუშაობა

დამატებითი აქტივობები ბექას დღიურის შინაარსის გასაგებად — მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ ტექსტი, შემოხაზონ სწორი ვარიანტი და დაასრულონ წინადადება. დავალების შესრულების შემდეგ გადაამოწმონ ტექსტის მიხედვით.

შენიშვნა: პატარებს ქვემოთ მოცემული დავალება შეასრულებინეთ წიგნის დახმარებით. მიუთითეთ, რომელი დღის ჩანაწერში უნდა ეძებოს სწორი ვარიანტი. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ საკვანძო სიტყვების მითითებითაც.

შემოხაზეთ სწორი ვარიანტები:

1. სკოლა მაქსის სახლთან ახლოსაა, ამიტომ ისინი:
   ა) ყოველთვის ადრე მიდიან.
   ბ) არასდროს მიდიან ადრე.
   გ) ყოველთვის ფეხით მიდიან.

2. მაქსი ხუთი წელია, ფეხბურთზე დადის და, როგორც ამბობენ:
   ა) ძალიან მოსწონს ფეხბურთი.
   ბ) ძალიან კარგად თამაშობს ფეხბურთს.
   გ) უკვე გამოცდილი ფეხბურთელია.

3. ბექამ ხიდზე გადასვლისას სურვილი ჩაიფიქრა. მას ძალიან უნდა, რომ:
   ა) მაქსი თბილისში ჩამოვიდეს.
   ბ) მაქსთან ერთად ზოოპარკში წავიდეს.
   გ) არ გაწვიმდეს.

4. მაქსმა რაღაც იცის სიურპრიზის შესახებ, მაგრამ:
ა) აღარ ახსოვს.
ბ) არაფერს ამბობს.
გ) არ მალავს.

5. კოშკიდან ბექამ ისეთი სილამაზე დაინახა, რომ,
ა) თვალებს არ დაუჯერა.
ბ) აღტაცება ვერ დამალა.
გ) თავი ზღაპარში ეგონა.

ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შეკითხვებს წინა დავალების მიხედვით.

1. რატომ მიდიან ბექა და მაქსი სკოლაში ფეხით?
2. რა გააკეთა ბექამ ხიდზე გადასვლისას?
3. რა სურვილი ჩაიფიქრა ბექამ?
4. შენი აზრით, რატომ უნდა ბექას, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს?
5. რა დაინახა კოშკიდან ბექამ?
6. რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ბექა, როცა მან კოშკიდან გადაიხედა?

გვ. 179 — პროექტი: **4 დღის დღიურის** დაწერა

წერის დაწყებამდე კარგად დარწმუნდით, რომ ყველამ ზუსტად გაიგო შესასრულებელი დავალების პირობა. დააზუსტებინეთ მათთვის უცნობი ლექსიკა და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ საჭირო ინფორმაციის შეგროვებაშიც.

შესაძლებელია, პატარებს კიდევ უფრო გაუმარტივოთ დავალება:

- შესთავაზეთ მხოლოდ ერთი ან ორი დღის გარშემო მუშაობა;
- თქვენ მიეცით მონაცემები (სრულად ან ნაწილობრივ), რომლებსაც გამოიყენებს ტექსტის ასაგებად.

გვ. 182, 1 — რობინზონ კრუზოს ისტორია

დავალების შესრულებამდე, იმუშავეთ ვარიანტების სახით მოცემული ლექსიკის გარშემო.

დააკვირვეთ სიტყვებზე და მიეცით საშუალება, თავად მიხვდნენ მათ მნიშვნელობას, საჭიროების შემთხვევაში, მინიშნებებით მიიყვანეთ სწორ განმარტებამდე, მაგ., **მთაგორიანი** — დაშალეთ სიტყვა: მთა და გორა; გაახსენეთ, რას ნიშნავს —იანი: რაღაცის ქონას . მოიტანეთ პარალელები — ჩანთიანი ბავშვი, ე.ი. ბავშვი, რომელსაც აქვს ჩანთა; გრძელთმიანი — აქვს გრძელი თმა და ა.შ. მთაგორიანი — ადგილი, სადაც მთები და გორებია (გორა — პატარა მთა).

იმუშავეთ სინონიმებსა და ანტონიმებზე: კამკამა — სუფთა / კამკამა — ჭუჭყიანი; ერთფეროვანი / მრავალფეროვანი; ბობოქარი — მღელვარე / ბობოქარი — წყნარი; ნოტიო- მშრალი და ა.შ.

სურათის აღწერისას დაეხმარეთ მათ შეკითხვებით.

გვ. 182, 2 — ტექსტზე მუშაობა

გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციები და ისე ამუშავეთ მოსწავლეები ტექსტის გაგებაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ არ მოეთხოვებათ ამ ტექსტის არც სიტყვასიტყვით გაგება და არც მათი დასწავლა. მთავარია, გაიგონ ზოგადი შინაარსი — რაზეა საუბარი და მიხვდნენ ავტორის მთავარ სათქმელსა და ცალკეულ დეტალებს.

მათთვის, ვისთვისაც მაინც რთული აღმოჩნდება დავალება, შესთავაზეთ მარტივი საკითხავი ამოცანები:

- ტექსტის მითითებული მონაკვეთიდან კონკრეტული სიტყვების, მარტივი წინადადებების მოძებნა და ამოწერა;
- კონკრეტული ინფორმაციით ცხრილის შევსება (გვ. 183, 4);
- მიეცით რომელიმე მონაკვეთის ნაკლული ვარიანტი და შეავსონ კონტექსტის მიხედვით (ასევე უნდა მისცეთ ჩასასმელი სიტყვების ჩამონათვალი, ოღონდ არეულად). დასრულების შემდეგ კითხულობენ წიგნში შესაბამის მონაკვეთს და ამოწმებენ სისწორეს.
- მიეცით პატარა მონაკვეთის შეცვლილი ვარიანტი. უნდა შეადარონ ძირითად ტექსტს, იპოვონ განსხვავება და მონიშნონ (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქტივობაა მათთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ დაძლეული კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.

გვ. 184-185: ბიოგრაფიული ტექსტები — გააააქტიურებინეთ რთული რიცხვები.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების შესრულების შემდეგ, ამუშავეთ მოსწავლეები რობინზონ კრუზოსა და სელკირკის შედარებით დახასიათებაზე.

გვ. 186 — რობინზონ კრუზოს თავგადასავალი

პირველ რიგში, დაამუშავეთ ილუსტრაციები ზემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით და ისე გადადით დავალებების შესრულებაზე. ილუსტრაციებზე მუშაობა წარმართეთ მარტივი შეკითხვების დახმარებით. ეს შეიძლება იყოს სურათის გარშემო კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, სურათების აღწერა და ა.შ.

ნუ შეეცდებით, რომ პირველივე წაკითხვისას ყველა სიტყვა განუმარტოთ ან გადაუთარგმნოთ მოსწავლეებს. უცნობი სიტყვების შემთხვევაში, გამოიყენეთ ის რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია მეთოდურ განმარტებაში ლექსიკის სწავლებისას. მოცემული ტექსტი არ არის რთული და მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდებათ მისი გაგება.

შენიშვნა: რაც შეეხება მოსწავლეებისათვის უცნობ ლექსიკასა და გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც შეხვდებათ მათ — კონტექსტის მიხედვით მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მათი გაგება. შესაბამისად, ეს არ შეუშლის ხელს მათ დავალების შესრულებაში. აუცილებლობის შემთხვევაში, არ გამოირიცხება თარგმნაც.

დამატებითი აქტივობები საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად:

ა) <u>შეავსებინეთ გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით.</u>

ეძებდა	შეჭამა	მიცურდა	გააკეთა	წავიდა	წამოიღო	გადაწყვიტა	შეწვა

1. რობინზონ კრუზო გემთან —---------- და იქიდან ნივთები —----------.
2. ის მთელი დღე მოხერხებულ ადგილს —----------.
3. რობინზონ კრუზომ ანკესი —---------- და სათევზაოდ —----------.
4. მან კუს კვერცხები —---------- და —----------.
5. რობინზონ კრუზომ იქ აგარაკის მოწყობა —----------.

ბ) <u>სწორი ვარიანტის პოვნა და შემოხაზვა.</u>

1. სათევზაოდ წავიდა, მაგრამ

ა) ერთი თევზი დაიჭირა.
ბ) ერთი თევზიც ვერ დაიჭირა.
გ) ბევრი თევზი დაიჭირა.

2. ხეზე დაიძინა, რადგან

ა) სახლი არ ჰქონდა.
ბ) წვიმის ეშინოდა.
გ) ნადირის ეშინოდა.

3. მთელი ღამე წვიმდა, მაგრამ

ა) რობინზონ კრუზოს მაინც ეძინა.
ბ) ის არ დასველდა.
გ) მას წვიმის არ ეშინოდა.

4. ისეთ ადგილს არჩევდა, სადაც

ა) წვიმა არ ჩავიდოდა.
ბ) მოხერხებულად მოეწყობოდა.
გ) ნადირი ვერ შეაშინებდა.

ენობრივი საკითხები არც ამ თემაში არ არის მოსწავლეებისთვის უცხო. შესაბამისად, წიგნში მოცემული დავალებების შესრულება მათ არ უნდა გაუჭირდეთ. წინა თემის მსგავსად, ეს დავალებებიც ემსახურება დამუშავებული ენობრივი საკითხების ათვისებასა და მის განმტკიცებას. ჩვენი მიზანია მოსწავლეთა წინარე ენობრივი ცოდნის გააქტიურება და სხვადასხვა კონტექსტში მისი ფუნქციური გამოყენება.

ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნებია:

- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;
- მსაზღვრელის ფუნქციური გამოყენება;
- შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულება — წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი, გაგება/გააზრება და მისი ფუნქციური გამოყენება;
- მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების გაგება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და მათი გაგება-გააზრება.

თემა მთლიანობაში არ არის რთული, მიჰყევით დავალებებს თანმიმდევრულად და, აუცილებლობის შემთხვევაში, იმოქმედეთ ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით:

გვ. 198 — ინფორმაცია მასწავლებლებისთვის

პირველი ფოტო: ლინზისმაგვარი ღრუბლები — როგორც მეცნიერები განმარტავენ, ბუნების ამ უნიკალურ მოვლენას რამოდენიმე ფაქტორის ერთობლიობა ქმნის: ძლიერი ატმოსფერული ფრონტი, მაღალი მთების სისტემა, ჰაერის მასების ჰორიზონტალური გადაადგილება და მაღალი ტენიანობა. ლინზისმაგვარი ღრუბლების ნახვა შესაძლებელია კამჩატკაზე, შეერთებულ შტატებში, ალიასკაზე და იაპონიაში, კერძოდ, ფუძიამას მთის თავზე. როგორც მეცნიერები განმარტავენ, სილამაზესთან ერთად ლინზისმაგვარი ღრუბლები საფრთხესაც შეიცავს, განსაკუთრებით საჰაერო ხომალდებისვის, ვინაიდან მათ გარშემო მძლავრი ტურბულენტური ზონა წარმოიშობა.

შენიშვნა 1: მეოთხე ფოტოზე ორი ვარიანტი შეიძლება დასახელდეს — გრძელნისკარტა ჩიტი და თმაშეკრული გოგო. სავარაუდოდ, ალბათ, პირველ ვარიანტს დაასახელებენ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მეორე ვერსიაც შესთავაზოთ მოსწავლეებს საკუთარი ვარიანტების დასახელების შემდეგ (ფანტაზიორებსაც ხომ სხვადასხვაგვარი აღქმა აქვთ).

შენიშვნა 2: შეგიძლიათ მსგავსი მასალა მოიძიოთ ინტერნეტში და მეტი არჩევანი შესთავაზოთ მოსწავლეებს.
ასევე კარგი იქნება, თუკი მოსწავლეებსაც მივცემთ საშუალებას, თავადაც მოიძიონ მსგავსი ფოტოილუსტრაციები და წარუდგინონ ერთმანეთს.

გვ. 208 — ჰერბარიუმი

ვისწავლოთ ჰერბარიუმის გაკეთება და აპლიკაციების შექმნა:

ა) აჩვენეთ ჰერბარიუმისაგან შექმნილი აპლიკაციები — გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება, მოსწონთ თუ არა, რა მოსწონთ; ისაუბრონ, რისგან არის ეს აპლიკაციები შექმნილი და ა.შ.

ჰკითხეთ, რა არის ჰერბარიუმი? სმენიათ თუ არა ეს სიტყვა? ჩამოწერეთ ვარიანტები დაფაზე და სთხოვეთ, კიდევ ერთხელ დააკვირდნენ აპლიკაციებს და დაასახელონ, ამ ვარიანტებიდან, მათი აზრით, რომელია ჰერბარიუმი (ვარიანტები წაიკითხეთ ნელა და გარკვევით) და ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე:

ა) სპეციალურად შეგროვებული სხვადასხვა ყვავილი;
ბ) სპეციალურად შეგროვებული და გამხმარი მცენარეების კოლექცია;
გ) ახლად მოკრეფილი ყვავილების თაიგული.

სწორი პასუხის დაზუსტების შემდეგ გადადით შემდეგ შეკითხვაზე: <u>როგორ ამზადებენ ჰერბარიუმს?</u>

ა) წიგნის ფურცლებს შორის დებენ და ახმობენ;
ბ) მზეზე აწყობენ და ახმობენ;
გ) მაგიდაზე შლიან და ახმობენ.

ბ) ვარაუდების გამოთქმის შემდეგ წააკითხეთ ტექსტი და შეამოწმებინეთ საკუთარი ვერსიები.

გრაფიკული სქემის გამოყენებით სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ ინფორმაცია ჰერბარიუმის შესახებ:



გ) <u>როგორ გავაკეთოთ ჰერბარიუმისაგან აპლიკაციები?</u>

ჯერ დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები ტექსტის გარშემო: რა არის საჭირო აპლიკაციისთვის? — გამხმარი ფოთლები და ყვავილები; კიდევ რა დაგვჭირდება? რაზე უნდა დავალაგოთ ფოთლები და ყვავილები? — ქაღალდის ფურცელზე; რა ჰქვია ამ ქაღალდის ფურცელს აპლიკაციაში? — ფონი; კარგი, ვიღებთ ფონს და შემდეგ რას ვაკეთებთ? — (ვალაგებთ ფოთლებსა და ყვავილებს და ვაწყობთ სურათს, რისთვის გვჭირდება წებო? ბოლოს რა შეგვიძლია გავუკეთოთ სურათს? როგორ შეგვიძლია ეს აპლიკაციები გამოვიყენოთ?

დ) ამის შემდეგ ვურიგებთ ფურცლებს და ვასრულებინებთ იქ მოცემულ დავალებას: წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია და დაალაგეთ თანამიმდევრულად — რა უნდა გაკეთოთ პირველად, რა — შემდეგ და რა — ბოლოს.

ა) განალაგე ნახატზე გამხმარი მცენარეები და ნახე, მოგწონს თუ არა. —------
ბ) დახატე ფანქრით ქაღალდზე ესკიზი. —----------
გ) აიღე ფერადი ქაღალდი. —-----1------
დ) შეარჩიე შესაფერისი ყვავილები და ფოთლები. —----------
ე) გაუკეთე სურათს მუყაოს ჩარჩო. —----------
ვ) დააწებე განლაგებული მასალა სათითაოდ. —----------

ე) წინა დავალებაში მოცემული ინსტრუქციის დახმარებით გააკეთებინეთ მოსწავლეებს მსგავსი აპლიკაციები.

დამატებითი მასალა პრაქტიკული სამუშაოსათვის: **როგორ გავაკეთოთ კომპასი**

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

კომპასი გამოიგონეს ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეში. მოგვიანებით, XII საუკუნეში კი მისი გამოყენება ევროპაშიც დაიწყეს.
კომპასის ისრად ჩინელები მაგნიტური რკინისაგან დამზადებულ საგნებს იყენებდნენ, მაგალითად, თევზის ფიგურას. თევზი თავსდებოდა ტივტივაზე, ტივტივა კი წყლის ზედაპირზე, რათა თევზის ფიგურას თავისუფლად ეტრიალა. როგორც კი თევზის ფიგურას წყალზე მოათავსებდნენ, მისი ცხვირი ჩრდილოეთისაკენ, კუდი კი სამხრეთისაკენ ტრიალდებოდა.

შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი ჩინელების გამოცდილება და სახელდახელოდ გააკეთოთ კომპასი. გთავაზობთ ორ ვარიანტს. შეარჩიეთ ერთი რომელიმე და შეუდექით საქმეს. შესაძლებელია, ზოგს პირველი ვარიანტი მისცეთ და ზოგს — მეორე.

კომპასი 1.

<u>კომპასის გასაკეთებლად აუცილებელი მასალა:</u>

- მაგნიტი
- პერგამენტის ქაღალდი
- საკერავი ნემსი
- გამჭვირვალე ჭიქა
- წყალი
- ჭიკარტი ან საკანცელარიო პატარა ლურსმანი

<u>ცდის მიმდინარეობა:</u>

1. გაუყარე ნემსი პერგამენტის ქაღალდში, როგორც სურათზეა ნაჩვენები.
2. ნემსის წვეტიანი ბოლო გაუსვი 40-ჯერ მაგნიტს. ყოველთვის ერთი მიმართულებით (თითქოს დანით ხის ძელს თლიდე). ნემსი უნდა დამაგნიტდეს. ამის შემოწმება ადვილია: მიუახლოვე ნემსის წვერი ჭიკარტს ან ლურსმანს — ისინი დამაგნიტებულ ნემსს მიეკრობა.
3. ჩაასხი ჭიქაში წყალი და ჭიქის შუაში, ზედაპირზე, მოათავსე ქაღალდი ნემსითურთ.

<u>ცდის შედეგი:</u>

ნემსის დამაგნიტებული წვერი ჩრდილოეთის მიმარტულებით განლაგდება.
შეამოწმე, ხომ არ მოხდა ეს შემთხვევით. შემოატრიალე ქაღალდი.
როდესაც ხელს გაუშვებ, ნემსის წვერი კვლავ ჩრდილოეთის მიმართულებით გადაინაცვლებს.

კომპასი 2. (ეს კომპასიც ჩინელების მოგონილია)

<u>კომპასის გასაკეთებლად აუცილებელი მასალა:</u>

- მაგნიტი
- საკერავი ნემსი
- ძაფი
- ფანქარი
- გამჭვირვალე ჭიქა
- ჭიკარტი ან საკანცელარიო პატარა ლურსმანი

<u>ცდის მიმდინარეობა:</u>

1. საკერავ ნემსს შუაში მოაბი ძაფი. ძაფის მეორე ბოლოს გაუკეთე ყულფი ფანქარზე ჩამოსაცმელად.
2. ნემსის წვეტიანი ბოლო გაუსვი 40-ჯერ მაგნიტს მხოლოდ ერთი მიმართულებით (თითქოს დანით ფანქარს თლიდე). ნემსი უნდა დამაგნიტდეს. ამის შემოწმება ადვილია: მიუახლოვე ნემსის წვერი ჭიკარტს ან ლურსმანს — ისინი დამაგნიტებულ ნემსს მიეკრობა.
3. ძაფის ყულფში გაუყარე ფანქარი და დადე ჭიქაზე ისე, რომ ნემსი ჭიქის შუაგულში ჩაეშვას.

<u>ცდის შედეგი:</u>
ნემსის დამაგნიტებული წვერი ჩრდილოეთის მიმართულებით განლაგდება. შეამოწმე, ხომ არ მოხდა ეს შემთხვევით?
შემოატრიალე ფანქარი. ნემსის წვერი კვლავ ჩრდილოეთის მიმართულებით გადაინაცვლებს.

ენობრივი საკითხები:

მასალა დამატებით სავარჯიშოდ:

- გადაიყვანეთ წყვეტილში ნიმუშების მიხედვით.

1. ნიმუში: მე შემიძლია, გავაკეთო. — მე გავაკეთე.
ა) მე შემიძლია, ჩავატარო.
ბ) მე შემიძლია, ვაჩვენო.
გ) მე შემიძლია, გამოვიგონო.
დ) მე შემიძლია, დავამზადო.

2. ნიმუში: მას შეუძლია, გააკეთოს. — მან გააკეთა.
ა) მას შეუძლია, ჩაატაროს.
ბ) მას შეუძლია, აჩვენოს.
გ) მას შეუძლია, გამოიგონოს.
დ) მას შეუძლია, დაამზადოს.

- გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში. **ნიმუში:** <u>მას</u> შეუძლია, ჩაატაროს. — <u>მათ</u> შეუძლიათ, ჩაატარონ. <u>მან</u> ჩაატარა. — <u>მათ</u> ჩაატარეს.

  ა) მას შეუძლია, აჩვენოს. —
  ბ) მას შეუძლია, გამოიგონოს. —
  გ) მას შეუძლია, დაამზადოს. —
  დ) მან აჩვენა. —
  ე) მან გამოიგონა. —
  ვ) მან დაამზადა. —

- შეუწყვეთ ქვემოთ მოცემულ ზმნებს პირები და გაანაწილეთ ცხრილში.

ერთპირიანი	**ორპირიანი**
	მოუხდება ის მას

- მოცემული ფორმები გადაიყვანეთ II კავშირებითში ნიმუშის მიხედვით და წაიკითხეთ.

  1. ის **მოუხდება** მას. — *ის უნდა* ***მოუხდეს*** *მას.*
  2. ის გამოდის.
  3. მე გავაკეთებ მას.
  4. მე მოვრჩები ამას.
  5. მან გამოიგონა ის.
  6. ის ერთობა.
  7. ის უკრავს მას.
  8. ის ატარებს მას.
  9. მე მივალ.

- დააკავშირეთ ერთმანეთთან.

მე	ქმნის
შენ	ქმნით
ის	ვქმნი
ჩვენ	ქმნიან
თქვენ	ქმნი
ისინი	ვქმნით

მე	შექმენი
შენ	შექმენით
მან	შევქმენი
ჩვენ	შექმნეს
თქვენ	შექმნა
მათ	შევქმენით

- დაასრულეთ წინადადებები და წაიკითხეთ. შეადარეთ სხვების ვერსიებს.

  1. ჩემმა ძმამ გუშინ ლამაზი აპლიკაცია —---------- (შექმნა).
  2. მათ შეუძლიათ, წყლის საათი —---------- (დამზადება).
  3. თქვენ შეგიძლიათ, ეს კერძი —---------- (მომზადება)?
  4. ჩვენ ორი დღის წინ საინტერესო ცდა —---------- (ჩატარება).
  5. ეს მე და ჩემმა ბიძაშვილმა —---------- (გამოგონება).

მოსწავლეთა შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ სწავლის შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე ორიენტირებასაც. ამიტომ მოსწავლის შეფასება, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებისას ორიენტირებული უნდა იყოს უფრო მეტად უკეთესი შედეგების მიღწევაზე, ვიდრე უბრალოდ ცოდნის შემოწმებაზე. ცხადია, შეფასებაში არ იგულისხმება არც ნიშნებისა და არც ქულების დაწერა.

მაშ, რისთვის გვჭირდება მოსწავლეთა შეფასება?

თქვენმა შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და, მეორე მხრივ, განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს საკუთარი შესაძლებლოებების გამოვლენა და განვითარება.

თქვენი შეფასების მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა უნდა იყოს.
თქვენ გჭირდებათ მოსწავლეთა მიღწევის დონის შემოწმება არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის პროცესში დააკვირდეთ თითოეულ მოსწავლეს და შეისწავლოთ მათი საჭიროებები იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოთ ხელი წინსვლაში და, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოთ საგაკვეთილო პროცესი.

<u>ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასებისას უნდა შეამოწმოთ მოსწავლის:</u>

- ლექსიკური ცოდნა
- გრამატიკული ცოდნა
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები (ანუ, როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის კონტექსტში გამოყენება)
- გამოთქმა
- მართლწერა

<u>კომუნიკაციური უნარების შეფასებისას კი მოწმდება:</u>

- კითხვა-გაგება
- ხმამაღალი კითხვა
- მოსმენა-გაგება
- ზეპირი კომუნიკაცია (ინტერაქცია, გაბმული ლაპარაკი)
- წერითი კომუნიკაცია

ენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ხდება შემდეგი დავალებებით:

1. სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით (მაგ., რამდენად ახერხებს მოსწავლე: სწორი ფორმის ამოცნობას; ფორმის / კონსტრუქციის შეცვლას ნიმუშის მიხედვით; შეცდომების ამოცნობა-გასწორებას; სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება / მოფიქრებას; ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმასა და სხვა.

2. სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრით (მაგ., შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა; ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით და სხვა);

3. სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულებით როგორც დამოუკიდებლად, ისე მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად (მაგ., დიალოგის გათამაშება მეწყვილესთან ერთად; მინიინტერვიუები; აღწერა-დახასიათება; საკუთარი თავის ან სხვის შესახებ საუბარი; თანაჯგუფელების გამოკითხვის გზით კონკრეტული კითხვარების შევსება და შემდეგ ამ კითხვარებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადაცემა და სხვა).

წერითი და ზეპირი დავალებებისათვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (მაგ., გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას;
- საუბრობს გარკვევით; აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას და ა.შ.)
- ენობრივი უნარ-ჩვევები (სწორად იყენებს ნასწავლ ზმნებს; ადეკვატურად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებსა და შესაბამის ენობრივ ფორმებს; იყენებს ნასწავლ ლექსიკას და ა.შ.);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით; არ უფრთხის შეცდომებს და ა.შ.).

ხმამაღალი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს: კითხულობს თუ არა:

- უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- გარკვევით და მკაფიოდ;
- გამომსახველობით — შესაბამისი ინტონაციით, სასვენ ნიშნების მართებული გამოყენებით და ა.შ.

ჩუმი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.

გთავაზობთ შეფასების სქემებს, რომლებიც დაგეხმარებათ, რა შემთხვევაში, როდის და როგორ შექმნათ მსგავსი სქემები.

ნიმუში 1: (საანბანო პერიოდში)

პირველი თემა (ანბანი)	**ათვისებულია**	**ათვისების პროცესშია**	**ასათვისებელია**
კითხვა			
ასოების ცნობა და გახმოვანება			
კითხვის მოქნილობა (სავარჯიშო ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა)			
კითხვა-გაგება (სიტყვების, წინადადებების დაკავშირება შესაბამის სურათთან)			
წერა			
ოთხხაზოვან სისტემაში ასოს ჩაწერის წესების დაცვა (განლაგება, ზომა და მიმართულება)			
სიტყვების სწორად გამოწერა			
ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების გადაწერა			

მოსწავლეთა შესაფასებლად შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის ტიპური სავარჯიშოები, რომელთაც სწავლების პროცესში იყენებდით.

ნიმუში 2: ზეპირმეტყველების შეფასების ზოგადი სქემა — ინტერაქცია (დიალოგური საუბარი):

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	I მონაწილე	**II მონაწილე**
შეფასების კრიტერიუმები		
• სათანადოდ რეაგირებს კითხვა-პასუხზე (0 – 1 – 2)		
• რეპლიკები გასაგებია (0 – 1 – 2)		
• საუბრობს გარკვევით და ხმამღლა (ინტონაცია, ხმის ტონი, მიმიკა-ჟესტიკულაცია) (0 – 1 – 2)		
• იყენებს შესაბამის ფორმულებს (0 – 1)		
• სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხებს (კუთვილებითობისა და სადაურობის გამოხატვა; აქვს/ჰყავს ზმნებს, ნაცვალსახელებს) (0 – 1 – 2)		
• ავლენს ფანტაზიას, ენობრივ გაბედულებას (0 – 1)		

ნიმუში 3: წერითმეტყველების შეფასების ზოგადი სქემა

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• ასრულებს პირობის (დავალების ინსტრუქციის) შინაარსობლივ მოთხოვნებს	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს; • იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას.	0 – 1 – 2

ნიმუში 4: მინისიტუაციების გათამაშება (როლური თამაშები)
სწორი სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად — ენობრივი რესურსების (*მაგ., წინადადებების მოდალობების — თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება; სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულებისა და ა.შ.) და მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებების (ინტონაციის, ჟესტის, მიმიკისა და ა.შ.*) სწორად შერჩევა და გამოყენება.

წყვილებს შესთავაზეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტუაციები. ყოველი ახალი სიტუაციის შეთავაზებისას აუხსენით საკომუნიკაციო სიტუაცია — ვის შორის მიმდინარეობს დიალოგი და ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის, სად მიმდინარეობს ეს დიალოგი, რა არის საუბრის თემა და ა.შ.

<u>ნიმუშის სახით გთავაზობთ რამდენიმე სიტუაციას მინიდიალოგების შესაქმნელად:</u>

სიტუაცია 1: მიხვედი მეგობართან სახლში. კარი მეგობრის ბებიამ გაგიღო. მეგობრის ნახვა გინდა, მაგრამ ის სახლში არ არის. იკითხე, მალე იქნება თუ არა და სთხოვე ბებიას, რომ მეგობარმა დაგირეკოს.
საუბრისას გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი ფორმულები (მისალმება-დამშვიდობება, მოკითხვა, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა) და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

სიტუაცია 2: თანაკლასელმა დაბადების დღეზე დაგპატიჟა. მადლობა გადაუხადე და შეჰპირდი, რომ აუცილებლად მიხვალ.
საუბრისას გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი ფორმულები (მისალმება-დამშვიდობება, დაპატიჟება, მადლობის გადახდა) და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

სიტუაცია 3: შესთავაზე: დახმარება უცნობ ქალს, რომელსაც მძიმე ჩანთა მიაქვს / შენს თანატოლს, რომელსაც ფეხი გადაუბრუნდა.

სიტუაცია 4: შემოიპატიჟე სახლში, მაგიდასთან მიიწვიე და ხილი შესთავაზე: ა) ოჯახის ნაცნობ უფროს ადამიანს, რომელიც პირველად ნახე; ბ) სტუმრად მოსულ შენს მეგობარსა და მის დას;

სიტუაცია 5: გამოიყენეთ მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციები და გაითამაშეთ სატელეფონო დიალოგები: ა) ხვალ შენი დაბადების დღეა და რეკავ კლასელთან, რომ დაპატიჟო. ყურმილს იღებს მისი უფროსი ძმა; ბ) შენი კლასელი არ იყო სკოლაში. რეკავ, რომ გაიგო მისი ჯანმრთელობის ამბავი. ესაუბრები მის ბებიას; გ) ხვალ აპირებ ზოოპარკში წასვლას და გაინტერესებს, წამოვა თუ არა შენი კლასელი შენთან ერთად. ის სახლში არ არის.

<u>მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი.</u>	**I წყვილი**	**II წყვილი**	**III წყვილი**
პირობასთან შესაბამისობა: იცავენ შინაარსობრივ მოთხოვნებს - კი / არა			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები <u>საუბრობენ:</u> • მკაფიოდ და გასაგებად - კი / არა • სათანადო პაუზებით - კი / არა • შესაბამისი ინტონაციის დაცვით - კი / არა • პარაზიტი ჩანართების გამოყენების გარეშე - კი / არა			
ენობრივი უნარ-ჩვევები <u>სწორად არჩევენ ენობრივ რესურსებს:</u> • ლექსიკას - კი / არა • წინადადებების მოდალობებს - კი / არა • სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს - კი / არა			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები: ექსპრესიულად თამაშობენ როლს - კი / არა			

<u>რეკომენდაციები ზოგად რუბრიკებთან დაკავშირებით:</u>

- რუბრიკები უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- შეფასების სქემაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს პირველი სამი კრიტერიუმი (პირობასთან შესაბამისობა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ენობრივი უნარ-ჩვევები);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შემოწმება დამოკიდებულია დავალებასა და საგანმანათლებლო პრიორიტეტებზე.
- ენობრივი სიზუსტის დაცვა მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ნასწავლ მასალასთან მიმართებით. უცნობ ენობრივ მასალაში დაშვებული შეცდომის გამო მოსწავლეს ქულა არ უნდა დააკლდეს.

შენიშვნა: მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერ საფეხურზე დიალოგური მეტყველების (მინიდიალოგებში, ინტერვიუებში, ზეპირი კითხვარების შევსებისას და ა.შ.) შესამოწმებლად.

რეკომენდაცია: მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია ნებისმიერ ნასწავლ ტექსტში მოცემული თემის გარშემო პირად გამოცდილებაზე გადატანით. მაგალითად, სასწავლო ტექსტი ეხება ცხოველების თემას. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს ამ თემაზე ერთმანეთთან მინიინტერვიუების მოსაწყობად. ა) შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად წინასწარ კითხვარის შედგენა, რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვან ერთმანეთს, მაგ., უყვარს თუ არა ცხოველები? რომელი ცხოველი უყვარს/არ უყვარს და რატომ? ჰყავს თუ არა სახლში ცხოველი? რომელი ცხოველი ჰყავს, რა ჰქვია, როგორია? და ა.შ. ბ) მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია: საკუთარი ნახატების გარშემო; საყვარელ ავტორთან, ნაცნობ პერსონაჟებთან (ერთ-ერთი მოსწავლე ირგებს „პერსონაჟის“ როლს, დანარჩენები უსვამენ შეკითხვებს ტექსტის შესახებ) და სხვა.

ცალკე გვინდა შევეხოთ მასწავლებლის **დაკვირვების ფურცლებს**.

დაკვირვების ფურცლების გამოყენება ძალიან ეფექტურია, მით უფრო ზეპირი აქტივობებისათვის (იქნება ეს მარტივი ინტერაქცია თუ როლური თამაშები). შესაძლებელია, მასწავლებელმა ერთი აქტივობის ფარგლებში რამდენიმე დაკვირვების ფურცელი გამოიყენოს (ასეთ შემთხვევაში, ისინი სხვადასხვა უნარს უნდა ამოწმებდეს). გთავაზობთ ორიოდე ნიმუშს:

დაკვირვების ფურცელი 1. (როლური თამაშისთვის)

	I წყვილი	II წყვილი	III წყვილი
საუბარი: 1. საუბრობენ გარკვევით კი / არა 2. საუბარი რთული გასაგებია კი / არა 3. საუბრობენ გაურკვევლად კი / არა			
შინაარსობრივი გამართულობა:[1]			
ენობრივი გამართულობა: 1. მიზნობრივად იყენებს ნასწავლ ენობრივ ცოდნას კი / არა 2. უშვებს გრამატიკულ შეცდომებს კი / არა 3. სწორად იყენებს ლექსიკას კი / არა 4. აქვს მწირი ლექსიკა კი / არა			
ექსპრესიულად თამაშობენ როლს. კი / არა			

[1] **აქ მიეთითება შინაარსობრივი საკითხები — რის შესახებ უნდა ისაუბრონ მოსწავლეებმა, რა უნდა შეეხონ და ა.შ.**

დაკვირვების ფურცლები შეგიძლიათ გამოიყენოთ მონოლოგური მეტყველების დროსაც. მთავარია, წინასწარ უნდა განსაზღვროთ, რა არის თქვენი შეფასების მიზანი.

<u>დაკვირვების ფურცელი 2.</u> (გრამატიკული შეცდომებისათვის)

	I წყვილი	II წყვილი	III წყვილი
შეცდომაა:	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------
უნდა იყოს:	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების რუბრიკის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობას. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, ამ პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებსაც.

დანართი

1. პროექტები და სახალისო აქტივობები

<u>მარტივი მინიპროექტები პატარა ასაკის მოსწავლეებისათვის:</u>

1. გავიცნოთ ერთმანეთი. მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე კლასელს (მაგ., 3 გოგოს და 3 ბიჭს). ერთ ფურცელზე დააწებებს საკუთარ სურათს (ან დახატავს) და ასევე ხატავენ შერჩეულ კლასელებს. აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე ზეპირად (მე ვარ ბიჭი, მე მქვია ...; ეს არის გოგო/ბიჭი, მას ჰქვია ...). საჭიროებისამებრ, მასწავლებელი ეხმარება მათ შეკითხვების დასმით.
2. საკუთარი გენეალოგიური ხის გაკეთება და წარდგენა კლასში.
3. დაბადების დღის იმიტირება (საჩუქრების / მისალოცი ბარათის დამზადება, სიმღერა, მილოცვა...)
4. ყვავილების ჰერბარიუმს. მოსწავლეები აგროვებენ თითო-თითო ყვავილს (რაც იმ დროს იქნება შესაძლებელი), ახმობენ და აკრავენ ალბომში.
5. გაზაფხულის ბარათის შექმნა. მოსწავლეები ხატავენ, აფერადებენ, შემდეგ ამოჭრიან და თეთრ ქაღალდზე ქმნიან კომპოზიციას. შემდეგ აფორმებენ, მასწავლებლის დახმარებით აწერენ საკუთარ სახელს და წარადგენენ კლასის წინაშე.
6. კომპოზიციების შექმნა. მოსწავლეები ჯერ ხატავენ, აფერადებენ, შემდეგ ამოჭრიან და თეთრ ქაღალდებზე ცალ-ცალკე აწებებენ — ხილს ცალკე ფურცელზე, ბოსტნეულს ცალკე. ქვემოთ, მასწავლებლის დახმარებით მიაწერენ, რა რა არის. შემდეგ

აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე. ანბანური (ან თემატური) ლექსიკონის გაკეთება ნახატებით.

7. ჩემი საყვარელი ზღაპარი — ხატავენ ნასწავლი ზღაპრებიდან (ტექსტებიდან) მათთვის ყველაზე საინტერესო (ან საყვარელი) ზღაპრის ერთ-ერთ ეპიზოდს (ან ზღაპრის გმირებს, ან საყვარელ პერსონაჟს...). დასრულებულ ნახატზე მიაწერენ, რა დახატეს და წარადგენენ კლასის წინაშე, აღწერენ. ბოლოს გამოფენენ კლასში
8. ჩემი წიგნი — სხვადასხვა თემატიკითა და შინაარსით.
9. „მრგვალი მაგიდის მოწყობა“ თემებზე (თემები სანიმუშოა):
   - ✓ პეპი უფრო მხიარულია თუ კარლსონი?
   - ✓ სამი დათვის ზღაპარი უფრო საინტერესოა თუ წითელქუდა?
   - ✓ რომელია ყველაზე სწრაფი ტრანსპორტი?

<u>მარტივი მინიპროექტები შედარებით უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის (თუმცა, არ გამოირიცხება პატარების თანამონაწილეობაც):</u>

1. **პანტომიმის თეატრი** — (მოსწავლეები ასახიერებენ და სხვებმა უნდა გამოიცნონ. მაგ., ყოველდღიური აქტივობები თემისათვის ”ორშაბათიდან ორშაბათამდე”).
2. **მინიინტერვიუების მოწყობა** — რა გქვია, რამდენი წლის ხარ, რა გიყვარს, რა არ გიყვარს, ვინ გყავს / რა გყავს, რომელ საათზე რას აკეთებ...
3. **ჩემი გამოფენა** (ერთ დღეს ერთი ჯგუფი მოაწყობს თავისი ნახატების ან პლასტელინით გამოძერწილი ნაკეთობების გამოფენას, მეორე დღეს მეორე ჯგუფი ...). ჯერ თავად წარადგენენ საკუთარ ნაშრომებს (აღწერენ...), საუბრობენ ჯგუფის სხვა წევრების ნამუშევრებზე. შესაძლებელია, სხვა ბავშვებმა მოამზადონ პატარ-პატარა ინტერვიუები მათთან და ა.შ.
4. **ჩემი გაკვეთილების ცხრილი** — მოსწავლეები ადგენენ სასურველი გაკვეთილების ცხრილს და აფორმებენ ნახატებით. ადარებენ ერთმანეთისას, ასახელებენ მსგავსება-განსხვავებას. შესაძლებელია, შევთავაზოთ ცხრილის შედგენა სხვა კრიტერიუმითაც, მაგ., ყველაზე ცუდი ცხრილი, ყველაზე სასაცილო და ა.შ.
5. **წელიწადის დროებზე გასავარჯიშებლად:**
   - ✓ ჯგუფებად იყოფა კლასი. თითო ჯგუფში 12 ბავშვია თვეების რაოდენობის შესაბამისად. თითო ბავშვი თითო თემას წარმოადგენს. შესაძლებელია, ინსცენირების მოწყობაც (შესაბამისი ტანსაცმელით, სიმბოლიკით, აქსესუარებით, შესაძლებელია დაიხატოს კიდეც სურათებზე (მაგ., ხილი, ყვავილები და ა.შ. რისი მოძიებაც გაჭირდება) და მიეკრას ტანსაცმელზე. მთავარია, რომ თითოეულმა უნდა წარმოადგინოს კონკრეტული თვე და დაახასიათოს. სხვა ჯგუფმა უნდა გამოიცნოს, რომელია. ჯგუფები შეიძლება შეეჯიბრონ იმის მიხედვითაც, რომელი ჯგუფი უფრო მეტ ლექსს/გამოცანას იტყვის. ვის რომელი თვე უყვარს და რატომ? ვის როდის აქვს დაბადების დღე.
   - ✓ <u>თამაში ბურთით:</u> მოსწავლეები სხდებიან წრეზე. თითო მოსწავლე თითო თვეა. მკერდზე მიკრული აქვთ ფურცლები, სადაც წერია თვის დასახელება. ვისაც გადაუგდებენ ბურთს, ის ამბობს რომელი დროა და რა არის/რა ხდება ამ თვეში (მაგ., იანვარი არის ზამთრის თვე. იანვარში მოდის თოვლის პაპა, ახალი წელი...; მაისი არის გაზაფხულის თვე. მაისში არის წვიმა და მზე, არის ცისარტყელა. მაისში არის ვარდი... და ა.შ.).

6. **გამოფენის მოწყობა** — ნახატები და ნაკეთობები სხვადასხვა თემაზე (წელიწადის დროები, ცხოველები, მწერები, საყვარელი სათამაშოები...).
7. **ამინდზე სამუშაოდ** — ყოველი კვირის ბოლოს (ჯგუფები ან წყვილები) ადგენენ მომდევნო კვირის ამინდის პროგნოზს და კიდებენ „განცხადებების დაფაზე". მორიგ შეხვედრაზე ადარებენ, ვისი პროგნოზი დაემთხვა და ვისი — არა.
8. **ხატვა ინსტრუქციით** — სახლის მარჯვნივ დგას ბიჭი. სახლის მარცხნივ დგას გოგონა. სახლის წინ არის ძაღლი და სხვა.
9. **ლოტო** — <u>ცალკეული სიტყვებით წინადადებების აწყობა</u> (შესაძლებელია, შეჯიბრის მოწყობა: ვინ მეტ წინადადებას ააწყობს მოკლე დროში და სწორად)
10. მხიარული **ალბომის გაკეთება** სხვადასხვა თემაზე.
11. **მხიარული თეატრი** — ნასწავლი ზღაპრის გმირების იმიტირება/წარდგენა; ნასწავლი ლექსებისა და სიმღერების თქმა.
12. **ოცნების ქალაქი** (ასევე უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იქნება ჯგუფებად მუშაობის შემთხვევაში)
    - ✓ ხატავენ ქალაქს (შესაძლებელია, ცალკეული სურათების გამოყენებაც. ასეთ შემთხვევაში ისინი ქმნიან ერთ კომპოზიციას საკუთარი ნახატისა და სურათის გამოყენებით)
    - ✓ შესაძლებელია, გამოვიყენოთ პლასტელინებიც.
    - ✓ დასრულებული პროექტების გამოფენა/ წარდგენა კლასში.
    - ✓ შემდეგ მათი გამოყენება შემდგომი საჭიროებისამებრ.
13. მსგავსი პროექტის გაკეთება — **„ჩემი მაღაზია"**
14. სახალისო და სასაცილო **ტესტების მომზადება ბავშვებისთვის** — „როგორი ხარ?"
    - ✓ ტესტები შედგენილია არჩევითი პასუხების პრინციპით (არასოდეს, იშვიათად, ხშირად, ყოველთვის; ჯერ რას აკეთებ და შემდეგ რას აკეთებ; როდის/რომელ საათზე რას აკეთებ; ძილის წინ/სადილის შემდეგ...)
    - ✓ ბოლოს მასწავლებელი აჯამებს ქულებს და მოსწავლეები კითხულობენ შესაბამის აღწერილობას — ვინ როგორია (ამ აღწერილობებს, რა თქმა უნდა, ადგენს მასწავლებელი)
15. **მხიარული ვიქტორინა** — „სად, რა, როდის"?

განმარტება: მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ ვიქტორინის ფორმატი, ორგანიზების ფორმა და მისი განხორციელების გზები. დაყავით კლასი ჯგუფებად და ყველა ჯგუფთან ცალ-ცალკე იმუშავეთ ვიქტორინის შეკითხვების მომზადებაზე:

- შეკითხვები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ცოდნას და ეხებოდეს სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოს მასალას (შესაბამისად, ვიქტორინის მომზადებაში ქართულის მასწავლებელთან ერთად შესაძლებელია ჩაერთონ სხვა საგნების მასწავლებლებიც);
- შეკითხვების მომზადებაზე მუშაობაში ჩართული უნდა იყოს ჯგუფის ყველა წევრი — ისინი მასწავლებლის მითითებით აგროვებენ მასალას; შემდეგ თითოეული ჯგუფი მასწავლებელთან ერთად განიხილავს ამ მასალას და ერთობლივად ადგენს შეკითხვების საბოლოო ვარიანტებსა და რაოდენობას;
- შეკითხვები უნდა შეირჩეს სირთულის მიხედვით და მიენიჭოს სათანადო ქულები: მარტივი (1 ქულა), საშუალო (2 ქულა) და რთული (3 ქულა). შეკითხვის

სირთულეს გასაზღვრავს მასწავლებელი (მომდევნო კლასებში შესაძლებელია, მასწავლებელთან ერთად თავად მოსწავლეებმაც მიიღონ ამ კუთხით გადაწყვეტილება);
- შეკითხვების საბოლოო ვარიანტს კიდევ ერთხელ ამოწმებს მასწავლებელი და ათავსებს კონვერტში ვიქტორინის დაწყებამდე.

ამის შემდეგ შეთანხმდით: რამდენი წუთი იქნება დრო მოსაფიქრებლად, ვინ იქნება წამყვანი, ვინ იქნებიან ჟიურის წევრები; ჯგუფიდან ვინ, როგორ და რამდენი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას ვიქტორინაში და ა.შ.
მოაწყვეთ საკლასო სივრცე ვიქტორინისათვის და განახორციელეთ აქტივობა.
მოსწავლეებთან ერთად შესაძლებელია სხვადასხვა ნომინაციის დაწესებაც: ყველაზე მოხერხებული; ყველაზე ორიგინალური პასუხი; ყველაზე სწრაფი; ყველაზე მეტი სწორი პასუხის მქონე და ა.შ.

16. კონკურსის მოწყობა გამომსახველობით კითხვაში (**„პოეზიის საღამო“**)

განმარტება: გამომსახველობითი კითხვა გულისხმობს წერილობითი ტექსტის შინაარსის სხვისთვის გადაცემას. ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა...). რეკომენდებულია, მასწავლებელმა ხშირად მოასმენინოს მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერები და ასაუბროს ისინი მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

მოსწავლესთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).
აქტივობის შესასრულებლად მიეცით მოსწავლეებს შემდეგი ინსტრუქცია: „შეარჩიეთ ლექსები ან კონკრეტული ეპიზოდები თქვენთვის სასურველი ნაწარმოებებიდან, ისწავლეთ ზეპირად და მოემზადეთ კონკურსისათვის“.

ჟიურის წევრებთან ერთად შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსიის მონაწილეებს.
კონკურსის ჩატარება შესაძლებელია ორ ტურად: მონაწილეები ჯერ კითხულობენ (ზეპირად ამბობენ) ერთსა და იმავე ნაწარმოებს (როგორც პროზაულს, ისე პოეტურს), შემდეგ ტექსტს ირჩევენ საკუთარი სურვილით. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საკონკურსო პირობები, მაგ., *საკუთარი სურვილით შერჩეული ტექსტების წაკითხვა.*

- გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:
- წაკითხვამდე განსაზღვრონ, რისი აქცენტირება სურთ ტექსტში;
- ივარჯიშონ შესაბამის ინტონაციებზე, რომლითაც უნდა გამოხატონ ტექსტში მოცემული ემოციები;
- ყურადღება მიაქციონ სასვენ ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
- იმეტყველონ გარკვევით და მკაფიოდ;

- სათანადოდ გამოიყენონ არავერბალური ენა — მიმიკა და ჟესტები;
- შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით; მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

<u>შეფასების სქემა გამომეტყველებით კითხვაში:</u>

კრიტერიუმები	**ნინო**	**სანდრო**	**ელენე**
მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს — **კი / არა**			
აქცენტებს აკეთებს საკვანძო სიტყვებზე — **კი / არა**			
ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს — **კი / არა**			
ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით — **კი / არა**			
ხმის სიმაღლისა და ჟერადობით ზუსტად გადმოსცემს ავტორისეულ განწყობას — **კი / არა**			
ცდილობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებას — **კი / არა**			

17. სახალისო თამაში შემაჯამებელი გაკვეთილისათვის („რა ვიცი და რა შემიძლია?“)

განმარტება: სასურველია, კონკრეტული თემის (ან გარკვეული თემების) დასრულების შემდეგ ჩაატაროთ შემაჯამებელი აქტივობა და მას მისცეთ სახალისო თამაშის სახე. თამაშზე დაკვირვებით შეაფასეთ სასწავლო პროცესის დინამიკა — რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა და არიან თუ არა მზად ახალი საკითხ(ებ)ის / თემ(ებ)ის დასაწყებად. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმეთ სასწავლო პროცესის შემდგომი ეტაპი.
თამაშისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ნიმუში და მხოლოდ სასწავლო მიზნების გათვალისწინებით ცვალოთ მისი შინაარსი. შეეცადეთ, რომ დავალებები იყოს მრავალფეროვანი და იძლეოდეს სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში სამეტყველო ქცევის გამოვლენის საშუალებას. მოცემული აქტივობის განსახორციელებლად გამოიყენეთ თაბახის ფურცელზე ან ფორმატზე მომზადებული „კითხვარი“ და კამათელი.

მკაფიოდ <u>აუხსენით მოსწავლეებს თამაშის პირობა:</u> დადექით პირველ უჯრაზე, წაკითხეთ იქ მოცემული დავალება და შეასრულეთ; ამის შემდეგ გააგორეთ კამათელი და გადადით იმდენ უჯრაზე, რამდენი წერტილიც ხატია კამათელზე. შეასრულეთ იქ მოცემული დავალება და შემდეგ თავიდან გააგორეთ კამათელი. თამაშს გააგრძელებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დავალებას წარმატებით გაართმევთ თავს. თუ ვერ შეასრულებთ დავალებას, მაშინ დროებით შეწყვეტთ თამაშს და დაელოდებით თქვენს რიგს. როცა თქვენი რიგი მოვა, თამაშს იმავე უჯრიდან გააგრძელებთ, სადაც შეწყვიტეთ. თავიდან შეასრულებთ იმ დავალებას და შემდეგ გააგორებთ კამათელს. გამარ-

ჯვებული იქნება ის, ვინც პირველი გავა ბოლოში. გაამხნევეთ მოსწავლეები და დააწესეთ სახალისო პრიზები.

შენიშვნა: არასწორი პასუხის (ან დავალების არცოდნის) შემთხვევაში, მიეცით მოსწავლეს საშუალება, რომ საკუთარი ძალებით ან სხვების დახმარებით მოემზადოს თამაშის გასაგრძელებლად — მოძებნოს პასუხი წიგნში, ჰკითხოს თანაკლასელს და ა.შ.

17 **ანდერსენი** გაიხსენე საინტერესო ამბავი მისი ცხოვრებიდან და მოგვიყევი.	გაუკეთე რეკლამა შენს საყვარელ მოთხრობას/ზღაპარს. რატომ უნდა წავიკითხოთ ჩვენც? 16	6 წაიკითხე ლექსი	რა გაინტერესებს ყველაზე მეტად და რატომ? 5
	აღწერე შენი სახლი / ოთახი 15	საქართველოს რომელ კუთხეში ხარ ნამყოფი? რით დაგამახსოვრდა? 7	გვიამბე ზაფხულის არდადეგების ერთი დღის შესახებ. 4
გაიხსენე, რა მოხდა გუშინ სკოლაში და მოგვიყევი 18	გაიხედე ფანჯრიდან — რას და ვის ხედავ? აღწერე იქაურობა. 14	წელიწადის რომელი დრო გიყვარს და რატომ? რას აკეთებ იმ დროს? 8	3 **მიუნჰაუზენი** ვინ არის და რა იცი მის შესახებ? გაიხსენე მისი პირველი წერილი. რა დაგამახსოვრდა იქიდან და რატომ?
დაასახელე შენი საყვარელი წიგნი და გვესაუბრე მის შესახებ. 19	მოგვიყევი შენი გეგმების შესახებ — რას აპირებ არდადეგებზე? 13	გაითამაშე დიალოგები თანაკლასელებთან ერთად: 9 1. შესთავაზე ტრანსპორტში ადგილი მოხუცს. 2. დაპატიჟე მეგობარი კინოში. 3. ჰკითხე უფროსს, როგორ მიხვიდე უახლოეს გაჩერებამდე.	
რა გინდა, გააკეთო ისეთი, რომ შენი სახელი დაამახსოვრდეს ხალხს? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე. 20	რას ნიშნავს ანდაზა — „თავის ქება კიტრზე უარესიაო!“ გაიხსენე ამბავი, რომელიც ამ ანდაზას შეესაბამება. 12		ისაუბრე შენს მეგობარზე: 1. რა ჰქვია, სად ცხოვრობს...? 2. აღწერე და დაახასიათე, როგორია. 3. რით ჰგავხართ და რით განსხვავდებით ერთმანეთისაგან? 2
	11 წაიკითხე ლექსი	გაიხსენე ტექსტი ან ამბავი, რომელშიც ჭკუის სასწავლი გაკვეთილია მოცემული. 10	1 წარადგინე საკუთარი თავი

საკითხავი და მოსასმენი მასალა საანბანო პერიოდისათვის

<u>გამოცანები და გასარითმები</u>

ვის შვილს რა ჰქვია?

თან დასდევენ ყოველგან,
აქ არის თუ იქ არის,
ცხვარსა — კრავი — ბატკანი,
თხას კი თავის... (თიკანი).

მარჯვე ბავშვი იქნები,
თუკი უცებ იტყვი:
დიდი სპილოს ნაშიერს —
შვილს რა ა ჰქვია — ... (სპლიყვი).

აბა, გამოიცანი,
ჩემო ოთარ, ოთია:
თხის შვილს ჰქვია თიკანი,
ხოლო ჯიხვის — ... (ფოთრია).

ქორს სიმაღლე ზეცისა
არ აშინებს სრულებით,
ქორის ბარტყებს რა ჰქვიათ?
რა ჰქვიათ და... (ქულები).

ბამბის ქულები ხართო, —
ყვავმა შვილებს ახარა.
შაშვის შვილი ბარტყია,
ყვავისა კი — ... (ბახალა)

თუ შეეჭიდე, ნიადაგ
დიდი ჯახირი მოგელის,
ლომის და ვეფხვის ლეკვებსა
ორთავეს ჰქვია — ... (ბოკვერი)

მწერი ნაზი, ფაქიზი,
უნდა მცირე კვება,
პირველ დღეს რომ იბადება,
მესამე დღეს კვდება (პეპელა)

ნათია ჯანაშია

***

როცა თოვს, ციდან რა ცვივა?
არ უნდა ბევრი ფიქრი,
ბამბის პატარა ფთილას ჰგავს,
გამოიცანით! ... (ფიფქი)

***

აღმართ-აღმართ დავატარებთ,
როცა ფიფქი ცვივა ციდან,
დაღმართებში არხეინად
დაგვაქროლებს. რაა? ... (ციგა)

***

თოვლისაგან გავაკეთე,
რა ახურავს თავზე? — ტაფა!
ცხვირი კურდღელს მოუპარავს,
თქვით, რა არის? ... (თოვლის პაპა)

***

ყინვისაგან როცა წვეთებს
ეყინება ბოლოები,
საწვეთურებს რა ჰკიდია?
გამჭვირვალე ... (ლოლუები)

გივი ჭიჭინაძე

ჭარბად ტვირთს მიათრევს ველად,
გამრჯე მწერი ... (ჭიანჭველა)

ილია სიხარულიძე

ნაწვიმარზე ამოვდივართ
და ცალ ფეხზე სწორად ვდგებით;
ქოლგა მუდამ მიტომ გვხურავს,
რომ სულ წვიმას ველოდებით! (სოკო)

ვასილ გულეური

***

დღისით წიგნებს კითხულობს,
არ შორდება ფულუროს.
ღამით გარეთ დაფრინავს,
ვარსკვლავებს რომ უყუროს. (ბუ)

***

ქსელს ამზადებს იმისთანას,
ვერც ხერხი ჭრის და ვერც დანა...
ირგვლივ ისე შემოფინა,
ბუზიც ვეღარ შემოფრინდა! (ობობა)

<u>ასოებზე სამუშაოდ:</u>

გივი ჭიჭინაძე (ასოხატულა კუნწულები)

*

ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

*

ტატას ბატი ფარფატა
ტალახ-ტალახ ტანტალებს.

*

შარიშურა შინდიანში
შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი,
შეეხვეწა შაქრო შიოს:
— შვილო, შურდულს შეეშვიო.

*

ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! — აცემინებს,
ციცქნა ცხვირი გაუცივდა.

*

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

*

ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის.
ფარფატელა ჭადრის ფოთოლს
მიაქანებს ძირს.

*

მელამ მოგაგნო მ მამალო,
მურას მოუხმე მალეო!
მანამ მშველელი მოგივა,
მაყვლნარში მიიმალეო.

*

ჩუმად გამცალა ყვინჩილამ
ჩარდახში არა დამრჩა რა...
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი
ჩანთით შინ წააჩანჩალა.

*

ბილიკ-ბილიკ ბურტყუნებს
ბრიყვი ბელი — ბელუკა:
— ბანით ვჯობნი ბულბულებს,
ბეჭებით კი — ბერმუხას.

*

გუგუ — გუგუ! დ გუგულმა
გულჭრელათა გვარისამ,
გამარჯობა გვისურვა,
გული გაგვიხალისა.

*

წვიმიანში გაწეწილი
წისქვილის წინ წუხს წიწილი,
— წია, წია! — მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

*

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს
აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.

*

ფრთაფოფინა ფარშავანგი
ფანტავს ფერად ფერებსაო,
ფრინველეთის დედოფლობას
ფრიად შეიფერებსაო.

*

ყანჩა — ყუნტა აყლაყუდა, რიყე-რიყე წალაყუნდა.
აყიყინდნენ ბაყაყები, — გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

*

ღობის თავზე ვეღარ ვხედავ
ღუდღუდელა ღოღნაშოსა!-
ოღროჩოღრო ღელის გაღმა
შეღრუტუნა ღორმა ღორსა.

*

ძეძვის ძირს მიძინებულმა
ძლივს მგაიღვიძა ენძელამ.

*

ჯანსუღმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

*

ჟოლოს ჟვერიდან ჟინჟღლი ჟონავს,
ჟანგისფერ ჟირაფს შეაჟრჟოლა.

*

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვს სტუმარს ერთად ელისო:
ეკუნას, ელგარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს.

*

თეთრ თელასთან ფთილაა თუ
თეოს თეთრი თრითინა თვლემს.

*

ნამნაპკური ნანას ყანა
ტანს იმშვენებს თანდათანა.

კვირტი

— ჭიტა, კვირტმა თვალი ჭყიტა,
მერე ცვარით გაიჭყიპა,
გაიბერა, გაიბურცა,
— ბუჰ! — გასკდა და გაიფურცლა.

II. დამატებითი საკითხავი ანბანის შემდგომი პერიოდისათვის

სალამი დედას!

(რევაზ ინანიშვილის მიხედვით)

დედა, როგორ ხართ, მე კარგად ვარ. მომიკითხე მამა. აკოცე ჩემ მაგივრად. როცა ჩამოხვალთ, საზამთრო არ დაგავიწყდეთ.

დედა, აქ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ერთ დღეს მზესუმზირას ვყიდულობდი და გამყიდველს შევეკითხე, საიდან ბრძანდებით-მეთქი. იმან მითხრა, დიდსერიდანო. რა გვარი ბრძანდებით-მეთქი. — ბერიძეო. მე დიდსერში ბებია მყავს-მეთქი. რა გვარიაო. ვუთხარი ჩვენი გვარი. მაშ, შენ ალექსანდრეს შვილიშვილი ხარო? დიახ-მეთქი. რას ამბობო! მე და პაპაშენი დიდი მეგობრები ვიყავითო.

დედა, კვირას ბანაკში კოცონი დავანთეთ. გუშინ სადილად ქათმის ხორცი გვქონდა. ტყეში დათვი ვნახეთ. მართლა, მართლა, ყველაფერს გეფიცებით! რომ დაგვინახა, ორ ფეხზე ადგა და დაიღმუვლა. სულ თავ-პირის მტვრევით გამოვიქეცით. ჩამოვალ თუ არა, ლეკვი უნდა ვიშოვო და გავზარდო. მერე სადაც წავალ, სულ თან ვატარებ.

დედა, კილო და ასორმოცდაათი გრამი მოვიმატე. მაინც მეუბნებიან, რა ძალიან გამხდარი ხარო. ფიზკულტურის მასწავლებელმა მითხრა, მარტო თვალები ხარო. ძალიან კარგად ვჭამ. ბორშსაც ვათავებ, კატლეტსაც და ფაფასაც. კისელსაც ვსვამ.

დღისით ისე არა, მაგრამ ღამით, რომ დავწვებით, მაშინ სულ თქვენ მენატრებით. შენ და მამა. ჩემი დარდი ნუ გექნებათ.

გკოცნით ბევრს. თქვენი ალიკო.

დაასახელეთ:

1. ვინ არის წერილის ავტორი?
2. ვის წერს ბიჭი წერილს?
3. რომელია მისალმება? მოკითხვა? დამშვიდობება?
4. საიდან წერს ბიჭი დედას წერილს?

დაუბრუნდით წერილს და უპასუხეთ შეკითხვებს.

1. სადაურია და რა გვარია მზესუმზირის გამყიდველი?
2. სად ცხოვრობს პატარა ბიჭის ბებია?
3. ვისი მეგობარი იყო მზესუმზირის გამყიდველი?
4. რა მოხდა ტყეში?
5. რა კერძებს ჭამს ბიჭი ბანაკში?
6. როდის ენატრება მას მშობლები?
7. როგორ გესმით ფრაზა — "მარტო თვალები ხარ"?

- ძალიან გამხდარი ხარ;
- დიდი თვალები გაქვს;
- კარგად ხედავ.

3. ცალკეულ დავალებათა პასუხები

პირველი ნაწილი

გვ. 5, №8

ია თეა ხე უთო თხა თითი

					უ	თ	ო		
		ი	ა					ხ	ე
				თ	ხ	ა			
	თ	ე	ა						
					თ	ი	თ	ი	

გვ. 11, №5

ზებრა თმა ზარი სოსისი ბუზი მაიმუნი მზე საათი

ს	ო	ს	ი	ს	ი				ს
					ბ				ა
	მ	ა	ი	მ	უ	ნ	ი		ა
	ზ				ზ	ა	რ	ი	თ
ზ	ე	ბ	რ	ა	ი				ი
						თ	მ	ა	

გვ. 16, №4

პინგვინი პეპელა კატა ზამბახი ხურმა ველოსიპედი

	პ	ი	ნ	გ	ვ	ი	ნ	ი	
ვ	ე	ლ	ო	ს	ი	პ	ე	დ	ი
	პ			კ					
	ე		ზ	ა	მ	ბ	ა	ხ	ი
	ლ			ტ					
	ა			ა	ხ	ჯ	რ	მ	ა

გვ. 20, №2

ფოთოლი ფარშავანგი ღრუბელი კოღო ქლიავი ქათამი ქოქოსი ლეღვი

ფ	ა	რ	შ	ა	ვ	ა	ნ	გ	ი	
			ქ	ა	თ	ა	მ	ი		
კ	ო	ღ	ო					ლ		
			ქ	ღ	რ	უ	ბ	ე	ლ	ი
		ფ	ო	თ	ო	ლ	ი	ღ		
			ს					ვ		
	ქ	ლ	ი	ა	ვ	ი		ი		

გვ. 27, №8

პირველი	მეორე
ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა.	ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა და ქორს გაუსხლტა. ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა!

გვ. 29, №2

ქუთაისი 2. ვარძია 3. ფიროსმანი 4. თბილისი 5. ჩურჩხელა 6. უშგული
7. ჯიხვი 8. გოგებაშვილი 9. გოზინაყი 10. რუსთაველი

მეორე ნაწილი

თემა 1 — დედამიწა და გარესამყარო

გვ. 34, №2

მთვარე: გ)
მზე: ბ)
ვარსკვლავები: ა)

გვ. 36, №4

ა) ცხელი
ბ) მძიმე
გ) მსუბუქი

გვ. 40, №3

ა) მზისგან ყველაზე ახლოს / **უნდა იყოს:** მზესთან ყველალზე ახლოს
ბ) მზესთან შორს / **უნდა იყოს:** მზისგან შორს
გ) დიდად / **უნდა იყოს:** მეტად
დ) ყველაზე / **უნდა იყოს:** უფრო
ე) შედარებით / **უნდა იყოს:** ვიდრე

გვ. 41, №2

ა) მარსი დედამიწისხელაა. / **უნდა იყოს:** მარსი დედამიწაზე ორჯერ პატარაა.
ე) გიგანტი ვარსკვლავები მაინც მზეზე პატარები არიან. / **უნდა იყოს:** ისინი მზეზე ასჯერ და უფრო მეტადაც დიდები არიან.

გვ. 41, №3

ა) ჩემზე უფრო
ბ) ჩემსავით

გვ. 44, №4

ა) სამხრეთ ოკეანეში მივცურავდით.	---1---
ბ) გადავედით მთვარის ნაპირზე.	---6---
გ) დავფრინავდით ღრუბლებში.	---4---
დ) საშინელი ქარიშხალი ამოვარდა.	---2--
ე) ერთი მრგვალი კუნძული დავინახეთ.	---5--
ვ) ჩვენი გემი პირდაპირ ცაში აიტაცა.	---3---

გვ. 49, №3

გ) 3 — ადამიანების ცუდმა საქციელმა დედამიწა დააბერა.

გვ. 53, №10

	პირველი ტექსტი	**მესამე ტექატი**
1. გადმოცემულია ერთი თეთრი დათვის მხიარული ამბავი.	✓	
2. გადმოცემულია ერთი პატარა გოგონას ემოცია.		✓
3. არის პერსონაჟი.	✓	
4. არის მისალმება, მოკითხვა და დამშვიდობება.		✓
5. არის დიალოგი.	✓	

თემა 2 — წიგნების თარო

გვ. 68, №1, ბ)

სად წააწყდა ზარბაზანს მიუნჰაუზენი? ბ) ქალაქგარეთ	რა არის თივის ზვინი? ა) გამხმარი ბალახის დიდი გროვა

თემა 3 — რაზე ფიქრობენ ჩვენი თანატოლები?

გვ. 86, გ)

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს ტექსტში**
1. ბებიას არ აინტერესებდა შვილიშვილის მომავალი.		✓	
2. ილიკო და ილარიონი სოფლის ცენტრში ცხოვრობდნენ.			✓
3. სოფლის მოსამართლეს ორსართულიანი სახლი ჰქონდა.			✓
4. ზურიკელას სურვილმა ყველა გაახარა.		✓	
5. მეზობლებმა საუბარში მთელი ღამე გაათიეს.	✓		
6. ყველას სურდა, რომ ზურიკელას უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდა.	✓		

თემა 4 — სამშობლო

გვ. 105, №4, დ)

ძველი ტაო, იმერხევი,
საინგილო და ლაზეთი

გვ. 112, №3

ა) დათვები ისევ ხვდებიან ერთმანეთს. ---6---
ბ) თეთრი დათვი თბილ ქვეყანაშია. ---4---
გ) დათვები უკან ბრუნდებიან. ---5---
დ) დათვები თავიანთი ქვეყნებიდან მიდიან. ---1---
ე) დათვები ხვდებიან ერთმანეთს და საუბრობენ. ---2---
ვ) მურა დათვი ყინულოვან ქვეყანაშია. ---3---

გვ. 120, №1 ა)

1) ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები

გვ. 121, ა)

კაცია და გუნება: ბ) ყველას თავისი ხასიათი აქვს.	გაჟეჟილს გატეხილი სჯობია: ა) ღიად და პირდაპირ თქმა ან ქმედება

თემა 5 — მოგზაურობის ციებ-ცხელება

გვ. 131, №3

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს ტექსტში**
ჯუმბერ ლეჟავამ მეგობართან ერთად იმოგზაურა დედამიწის გარშემო.		✓	
მან საერთო ჯამში 11 წელი და 4 თვე გაატარა მოგზაურობაში.	✓		
ჯუმბერ ლეჟავამ ყველა კონტინენტი შემოიარა.	✓		
შეერთებულ შტატებში მან ზაფხულში იმოგზაურა.			✓
ჯუმბერ ლეჟავა იყო ევროპისა და აფრიკის 240 ქვეყანაში.		✓	
მოგზაურობა დაიწყო 54 წლის ასაკში.			✓
ჯუმბერ ლეჟავამ გაიარა საჰარისა და გობის უდაბნოები.	✓		

გვ. 146, №1

გავისეირნებ ქალაქის ძველ უბნებში. ---2---
დავათვალიერებ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ---1---
გავსინჯავ იქაურ სამზარეულოს. ---1---
გადავიღებ ბევრ ლამაზ ფოტოს. ---2---
ვნახავ სვანეთის ულამაზეს მაღალ თოვლიან მწვერვალებს. ---4---
წავალ ერთ პატარა მწვანე კუნძულზე. ---3---
ვესტუმრები გასართობ პარკს. ---1---

გვ. 146, №2

იქაური კერძები.
გემრიელი კერძები.

ბევრი ფოტო.
ლამაზი ფოტო.

სვანეთის მწვერვალები.
ულამაზესი მწვერვალები.
მაღალი მწვერვალები.
თოვლიანი მწვერვალები.

ერთი კუნძული.
პატარა კუნძული.
მწვანე კუნძული.

თემა 7 — დღიურები

გვ. 173, №2

	პირველი ტექსტი	**მეორე ტექსტი**	**მესამე ტექსტი**
ა) კარლოსის ხიდი პრაღაში მდებარეობს.	✓		
ბ) კარლოსის ხიდს სურვილების ასრულება შეუძლია.		✓	
გ) ხიდი მეფე კარლ IV-ის სახელს ატარებს.	✓		
დ) თაკო და ირენა ტოლები არიან.			✓
ე) ბექა გაზაფხულზე იმყოფებოდა პრაღაში.		✓	
ვ) ბექას ხუთ აპრილს აქვს დაბადების დღე.			✓

გვ. 175, №2

ა) ბექას ოცნება. ---11 აპრილი, პარასკევი---
ბ) მაქს ჩაპეკი. ---6 აპრილი, კვირა---
გ) დაბინავება. ---5 აპრილი, შაბათი---
დ) ჩვეულებრივი დღე. ---9 აპრილი, ოთხშაბათი---
ე) განსაკუთრებული დღე. ---18 აორილი, პარასკევი---
ვ) მაქსის არჩევანი. ---13 აპრილი, კვირა---

გვ. 175, №3

ა) პირველი დღეა, რაც ბექა პრაღაში ჩაფრინდა. ---დაბინავება---
ბ) როგორც ყოველთვის, 8-ის ნახევარზე ისაუზმეს. ---ჩვეულებრივი დღე---
გ) ბექა სიურპრიზს ელოდება. ---განსაკუთრებული დღე---
დ) ბექას უნდა, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს. ---ბექას ოცნება---
ე) მაქსი მხიარული და ცნობისმოყვარეა. ---მაქს ჩაპეკი---
ვ) გრადის ციხესიმაგრე საუკეთესოა პრაღაში. ---მაქსის არჩევანი---

გვ. 176, №2

1. „დღეს პრაღის დათვალიერებას ვაპირებთ. ძალიან მიხარია“.
2. კი. „ერთი სული მაქვს, სკოლიდან როდის მოვალ!“
3. მოეწონა. „მართლაც საოცარი სანახაობა იყო. ციხესიმაგრის ეზოებში სეირნობისას აღტაცებას ვერ ვმალავდი“.

გვ. 188, №4

ა) საფიქრელი, სადარდებელი ---საზრუნავი---
ბ) თავმოყრილი, გროვა ---აჩონჩხლილი---
გ) უნაყოფო, მოუსავლიანი ---მწირი---
დ) უთვალავი, ძალიან ბევრი ---აურაცხელი---

თემა 7 — ფანტაზია და მარჯვე ხელები

გვ. 198, №1

ბ) ადამიანის წარმოსახვა, რომელიც არ ასახავს რეალურად არსებულს;
გ) მოგონილი, შეთხზული, დაუჯერებელი რამ;

გვ. 201, №3

რა მოხდება რეალურად? — 1) გოგონა შევა ტყეში.
რა მოხდება გოგონას წარმოსახვით? — გ) ღამე დაელაპარაკება და დამშვიდდება.

გვ. 203, №5

ბ) რომელსაც მხოლოდ გოგონას თვალები ამჩნევს;